# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 8 ივნისი 2001 №105 (1378) | ფასი 50 თეთრი


# ზღვარდადებულნი

# მიზეზ, მიზეზ თოხლოც მოხარშულია

ხომ გაინტერესებდათ, რა გამოცხადდებოდა საქართველოს ნაკრების გუშინწინდელი მარცხის მიზეზად? ჩვენც გვაინტერესებდა, ოღონდ არა იმიტომ, მიზეზთა პოვნით რამე გამოსწორდება, უბრალოდ, ნაკრების თავკაცთა საზრიანობის ზღვარი გვსურს ვიცოდეთ. ისინი მუდამ პოულობენ დამნაშავეს: ძალიან ძლიერი მეტოქე, რომელიც ჩვენ ვერ უნდა დავამარცხოთ; მსაჯი, რომელსაც ქართველები ეჯავრება; ტრავმები, რომლებმიც ბოლო წამს ყველაფერს რევენ; მეკარე, რომელიც ვალდებულია გუნდი იხსნას და ამას ვერ ახერხებს; ჟურნალისტები, რომლებიც ნაკრების ფეხბურთელებს აყოყლოჩინებენ. ჩვენი ფანტაზია მეტს ვერ წვდება და სწორედ ამიტომ გვაინტერესებდა, თავად მწვრთნელთაგან ახალი მიზეზის მოსმენა.

ეტყობა, ძოძუაშვილ-ყიფიანის საზრიანობასაც ჰქონია საზღვარი, რაკი უნგრეთის ნაკრებთან 1:4 მარცხის ერთ-ერთ მთავარ განმპირობებლად, არც მეტი, არც ნაკლები, ძველთაძველი მიზეზი, მსაჯი დაასახელეს.

იხილეთ მესამე გვერდი




# ბელგიელი: პირველად ისტორიაში

# კაპრიატი: მეორედ სეზონში



ჯენიფერ კაპრიატი

გუშინ როლან გაროსზე ქალთა ნახევარფინალები გაიმართა. ბელგიურ წყვილში კიმ კლაისტერსი თავიდან აგებდა ჟიუსტინ ენენთან, მაგრამ მერე მეტოქის შეცდომებით ისარგებლა და ფინალში ითამაშებს. დღეს კიმი 18 წლისა შესრულდა და თავს მშვენიერი საჩუქარიც უძღვნა. კლაისტერსი დიდი სლემის ტურნირის ფინალში გასული პირველი ბელგიელია.

კლაისტერსი ტიტულისთვის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულ ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატის შეხვდება, რომელმაც ორ სეტში დაჯაბნა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი — 6:4, 6:3.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



კიმ კლაისტერსი

# ქართველებმა უნგრელები გააკვირვეს და ბიჩკეი გადაარჩინეს

კობა ინასარიძე

ბუდაპეშტიდან



„ნეპშტადიონზე“ დაწყებული ზეიმი გუშინწინ უნგრელებმა ქალაქის ქუჩებში განაგრძეს.

ხარობდნენ მადიარები თავიანთი არცთუ ისე ძლიერი გუნდის გამარჯვებით. უხაროდათ, რომ მეტოქე გაანადგურეს, არაფრის შანსი მისცეს და ჩინებულად ითამაშეს. იყო სიმღერა და ცეკვა-თამაში, ღრიალი და ეროვნული დროშების ფრიალი. მათ შორის რამდენიმე ცხვირჩამოშვებულიც გახლდათ, აბა, რა დიდი მიხვედრა უნდა. ესენი ქართველები იყვნენ, დაახლოებით შვიდი-რვა კაცი. უნგრეთის სხვა ქალაქებში რომ მუშაობენ და ბუდაპეშტში საგანგებოდ ამ მატჩისთვის ჩამოვიდნენ. იყვნენ ისეთებიც, ფეხბურთი რომ საერთოდ არ აინტერესებთ, მაგრამ თავისიანთა გამარჯვებამ ისინიც ხალხის ზღვაში გარია. იყო სადღეგრძელოები და ხვევნა-კოცნა... და ყველაფერ ამას განზე მდგომი ვუცქერდი, ვუცქერდი და ვფიქრობდი — რა ეშველება საქართველოს ნაკრებს? როდის გაიხარებენ ასე ქართველი ქომაგები? მერე ერთი აქაური მომიახლოვდა, რაღაცას მთხოვდა, ვერაფერი გავიგე. სადაური ხარო, ბოლოს მკითხა. კი გავიფიქრე, არ ვუპასუხებ-მეთქი, მაგრამ, მაინც — ქართველი ჟურნალისტი ვარ, მატჩის გასაშუქებლად ჩამოვედი — ვუპასუხე ულვაშა, უნგრეთის დროშაშემოხვეულ, ლუდით შეზარხოშებულ მადიარს. ვუპასუხე და მისმა ირონიულმა ხარხარმა კიდევ უფრო დამბოლმა. ეგ არის თქვენი ნაკრები? — რატომღაც რუსულად ჩაიბურტყუნა და მოზეიმეთ შეუერთდა.

არადა, რა იყო მატჩამდე? აქაურთა დიდი შიში და უნგრეთის ნაკრების მწვრთნელ ბერტალან ბიჩკეისთვის ნაკრებში მუშაობისთვის დარჩენილი, თითებზე ჩამოსათვლელი დღეები. თითქმის ყველა, აქაური ჟურნალისტებიდან დაწყებული, ქომაგებით დამთავრებული ქართველთა გამარჯვებას, ჰა-ჰა ფრეს წინასწარმეტყველებდნენ.

„უნგრელმა ფეხბურთელებმა მწვრთნელი გადაარჩინეს“ — წერს გუშინდელი „ბლიკი“ — „ალბათ არავის ეგონა ქართველები ასე სუსტად თუ ითამაშებდნენ, თუმც ეს უნგრელი ფეხბურთელების დამსახურებაც არის.

ჩვენებმა მეტოქე აიძულეს, ძალიან ბევრი შეცდომა დაეშვა. შეუდარებელი იყო კორსოში. მან სტუმრები დააწიოკა“ — წერს გაზეთი.

ირონიული სათაურით დაიბეჭდა „ნეპსაბადსაგში“ ამ მატჩის მიმოხილვა — ბავშვებო, ნუ ცელქობთ — დაახლოებით ასე გადმოქართულდება ამ გაზეთში ნაწერი.

„Futballparade“ — თვალშში მოგხვდებათ გაზეთი „Mai lap“. ჟურნალისტი ქართველთა აბსოლუტურად უსუსურ, უნიათო თამაშზე წერს და უნგრეთის ნაკრებს აქებს და ადიდებს.

„მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ფაქტობრივად აღარ გვაქვს, მაგრამ ძალიან კარგი, სასიამოვნო იყო გუშინ ჩვენების თამაში. მათ ზეიმი მოაწყვეს“.

დაბოლოს, გაზეთი „სპორტ პლუსი“. პირველ გვერდზე გახარებული უნგრეთის ნაკრების ფოტოა და სათაური — იგებს ის, ვინც თამაშობს. მატჩის მიმოხილვა კი ასე იწყება — უნგრელმა ფეხბურთელებმა გუშინ დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ფეხბურთის თამაში. მათ ითამაშეს და მოიგეს. რუმინეთში წაგებით გულგატეხილ ქომაგთ ასიამოვნეს, გმადლობთ ვაჟკაცური თამაშისთვის და ასეთი ანგარიშით მოგებისთვის“.

და უნებურად ჩნდება კითხვა. როდის უნდა ითამაშოს საქართველოს ნაკრებმა, როდის ექნებათ ქართველ ფეხბურთელებს სამადლობელი სათქმელი?

სწორედ ახლა, როცა ამ სტრიქონები იწერება, უნგრეთის ტელევიზიის პირველ არხზე ამ მატჩის დეტალური განხილვა მიმდინარეობს. ეტყობა, სპეციალისტი ლაპარაკობს და მიუხედავად იმისა, რომ უნგრული ენისა არაფერი გამეგება, დაახლოებით მაინც ვხვდები — მადიარებმა ქართველები დაჩაგრეს. ტაქტიკურად უფრო გამართული ფეხბურთი ითამაშეს. მეტოქეს სისწრაფითაც და ჯანითაც აჯობესო — ამბობს ეს ჭაღარაშერეული კაცი. იმეორებენ გატანილ გოლებს, უნგრელთა კომბინაციებს, თვალიც ტელევიზორისკენ კი გამირბის, მაგრამ ისიც მეყოფა, რასაც გუშინ, საათნახევარი „ნეპშტადიონის“ პრესლოჟიდან ვუცქერდი. ეს საშინელება იყო. დაახლოებით მე-20 წუთიდან და მატჩის ბოლომდე ხომ საქართველოს ნაკრები ანტიფეხბურთს თამაშობდა.

და ისევ კითხვა. რა ეშველება ნაკრებს?


გამოიწერეთ

გაზეთი

სარბიელი

თავის ფასში

ტელეფონით!

[illegible] 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97

ფოსტის ყუთეზი და დამონტაჟება უფასოა!

„პრეს-მობილი“








# ახია საქართველოზე!

## წადით, წადით და აღარ მოხვიდეთ!

ეს არ დაწყებულა გუშინ და გუშინწინ... არც მაშინ, 28 მარტს საქართველოს ნაკრები „ეროვნულზე“ რუმინეთთან რომ შერცხვა. ყველაფერს ფეხბურთის ფედერაციამ დაუდო სათავე, როცა ნაკრების მწვრთნელებად ერთნაირი უფლებებით დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი დანიშნა.

ეს მაშინ დაიწყო, როცა ეროვნული გუნდი გასაყოფი შეიქნა. დაცვა ჩემი, თავდასხმა შენი — შეთანხმდნენ მწვრთნელები და ნაკრების ჯგუფებად თუ კლანებად დაყოფასაც მას აქეთ დაედო სათავე.

უბედურება მაშინ გვეწვია, როცა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებელი ციკლი სასეიროდ და გასართობად გადაიქცა.

კულმინაციამ კი 28 მარტს უწია. მოთმინების ფიალა აივსო, გაბზარული გატყდა და ნაკრებიც ფერფლად იქცა. არა, უფრო ნამსხვრევებად და მის გამთელებას სჯობს, ვილაცეებს შეველიოთ.

ახია ფეხბურთის ფედერაციაზე, იმას იმკის, რაც დაუთესია. საკითხავია, რითი მოიწონებენ ჩვენი ფეხბურთის მოხელეები თავს მოახლოებულ ყრილობაზე. ერთი წელიწადი ხომ თვალსა და ხელს შუა გაფრინდება.

უარესი ეკუთვნის ჩვენს ფეხბურთელებს, რომელთაც პირში წყალი ჩაუგუბებიათ და ცხვრის ფარას უფრო მეტად ჰგვანან, ვიდრე ნამდვილ მოთამაშეებს. ცხადია, ერთ ქვაბში ყველას ვერ მოვაქცევთ და საპრეტენზიოც არაფერი გვაქვს რამდენიმე კაცთან.

იმ ქომაგებს, მობაჯბაჯე იტალიასთან წაგება სასახელოდ რომ მიაჩნიათ და ისრაელისა თუ აზერბაიჯანის მსაჯის დახმარებით წაქცევა სასიხარულოდ გაუხდიათ, უკეთესი გუნდი არც ეკუთვნით.

ახია ჩვენზეც, რადგან ნერვებს და ენერგიას ვხარჯავთ, დროსა და ყურადღებას ვუთმობთ იმას, რაც ფაქტობრივად არც არსებობს.

სამ წელიწადზე მეტია, ცხონებული ნოდარ ახალკაცი გარდაიცვალა, მას აქეთ საქართველოს ნაკრებს ფეხბურთი რასაც ჰქვია, არ უთამაშია. ახლა კი გეკითხებით, ვინ ყოფილა მწვრთნელი? დღეს მე მჯერა იმ ჭორად მოსმენილი სიტყვებისა, ეროვნული გუნდის სამზარეულოდან რომ გამოჟონა. ნაკრების წევრებს არაერთ შეკრებაზე უნატრიათ, ნეტავი, ფარსადანოვიჩი ცოცხალი იყოს, ის ფეხბურთს გვათამაშებდაო.

ხომ ყველამ იცის, რომ ყიფიანი და ძოძუაშვილი ნებით წამსვლელები არ არიან. ისიც ხომ ცნობილია, როგორი სცენარით განვითარდება მოვლენები. მწვრთნელთა დუეტი ჯერ შეტევაზე გადმოვა, მერე თავის მართლებას დაიწყებს — არეული და საგანგაშო ვითარება, მაფია და მსაჯი, ცუდი მეკარე და შემსრულებლები, მოკლედ, მოვისმენთ იმას, რაც ათასჯერ გაგვიგონია.

მე აქ მინდა, გავიხსენო რა პირობით ჩაიბარა მწვრთნელთა დუეტმა ნაკრები. მათ ხომ საქვეყნოდ გამოაცხადეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად ვიბრძოლებთო. ბრძოლის გარდა ყველაფერს ველირსეთ.

ცოტა გვეეჭვება, მაგრამ რატომღაც ასე ჩანს, ჩვენი მწვრთნელები სულაც არ უყურებენ მსოფლიო ფეხბურთში დატრიალებულ მოვლენებს. ასე რომ იყოს, ისინი დაკავებულ თანამდებობას კბილებით არ ჩააფრინდებოდნენ და გადადგებოდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მოკლე მიმოხილვა მინდა შემოგთავაზოთ და ამისთვის ევროპაში „გაგასეირნებთ“. კარგი იქნება, ჩვენთან ერთად ჩვენი მწვრთნელებიც თუ წამოვლენ.

პირველ შესარჩევ ჯგუფში ფარერებმა მოახერხა ოთხი ქულის დაგროვება, ხოლო ლუქსემბურგმა რუსეთს გოლი გაუტანა.

რიგითობა უნდა დავიცვათ და მეორე ჯგუფს ვეწვიოთ. ესტონეთმა ირლანდია-პორტუგალია-ჰოლანდიასთან ჭიდილში შვიდი ქულა გაჩარხა. ჰოლანდიას ორჯერ უგებდა და თამაში ბოლოსწინა წუთზელა წააგო.

მალტა დანიას უგებდა, ხოლო ოთხი ქულის მოპოვება ჩრდილოეთ ირლანდიამაც შეძლო.

აზერბაიჯანმა სლოვაკეთი წამოაქცია, მაკედონიამ თურქეთს თავი შეაკლა.

ლამისაა ბელარუსი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდეს, სომხეთმა კი, 7:0-ს რომ ვუგებდით, ჯგუფის ლიდერს ხასიათი გაუფუჭა.

ლატვიას ჩვენზე მეტი მოუხვეჭია და ჩვენი გულის გასახეთქად ქულა სან მარინოსაც აუღია.

ისრაელი, რომლის ძლევითაც ყიფიანი და ძოძუაშვილი ტრაბახობენ, ესპანეთთან ფრედ თამაშობს, ხოლო ალბანეთი გერმანიას ეომება.

რა კარგი იყო ევროპაში, მაგრამ დიდი ხნით აქ ვინ გაგაჩერებს. ამიტომ ქართულ რეალობაში დაბრუნებულები მწვრთნელებს ვეკითხებით — თქვენ რამდენი ქულა მოაგროვეთ?

ამიტომ ვამბობთ, თუ ქვეყნად სამართალი არსებობს, ნამუსი, სინდისი, თავმოყვარეობა და სახელი ჯერაც ფასობს, მაშინ ფეხბურთის ფედერაციამ დუეტი უნდა გადააყენოს.

გაუშვით! თქვენ კი, მწვრთნელებო, წადით, წადით და უკან აღარ დაბრუნდეთ!

**მამუკა ძგანტალიანი**



### ფინეთი

X ტური

ჰაკა 2:0 კუოპიო

ჰიკ 2:2 ტამპერე

მიუპა 1:0 ლაჰტი

როვანიემი 0:1 ინტერი

ვაასა 2:0 ატლანტასი

# ტკბილია ცხოვრება მიზეზ, მიზეზ თოხლოც მოხარშულია

ეს უბრალო ადამიანური ცნობისმოყვარეობაა და მეტი არაფერი, თორემ მრავალჯერ მოსმენილი მიზეზები სინამდვილეში თავის მართლების უხეირო მცდელობა რომ არის, აშკარაა. რა მაძლევს ამის თქმის საბაბს, ახლავე მოგახსენებთ. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა რუმინეთთან შერცხვენის შემდეგ, ჟურნალისტებს შემოგვჩივლა, ზედმეტად აქებდით ფეხბურთელებსო. მწვრთნელი ამაში მართალია, ლიტვა-იტალიის მოვლის მერე ფეხბურთელების მიმართ ტკბილი სიტყვა არ დაგვიშურებია. ახლა, დავუშვათ, რომ მარცხის მიზეზი მართლაც ეს იყო, მაგრამ იმ ორ მატჩს რუმინელთა დახვედრამდე რამდენიმე თვე აშორებდა და მწვრთნელს საკმარისი დრო ჰქონდა, აღნიშნული შენიშვნა იქამდე მოეცა. თუკი ვიღაცის ნათქვამი ნაკრებს ვნებს და ამას მხოლოდ წაგების მერე ამბობ, ორი ვარიანტია: წაგებამდე ვერ ხვდებოდი ან მოსალოდნელი მარცხის შემთხვევაში თავის გასამართლებელ მიზეზად იტოვებდი.

თუ პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მწვრთნელი უნდა გადადგეს, რადგან ურემის გადაბრუნების შემდეგ გზას ყველა ხედავს და ამისთვის მწვრთნელად ყოფნა საჭირო არაა. მეორე შემთხვევაში კი, უფრო სერიოზულადაა საქმე, მაგრამ შედეგი იგივე უნდა იყოს — მწვრთნელის წასვლა.

ის რაც ზემოთ ვთქვით, რუმინეთთან მატჩის შემდეგ იყო. ახლა იგივე, უარესიც, საქართველოს ნაკრებს უნგრეთმა დამართა. რუმინეთის ის ნაკრები, რომელიც თბილისში ჩამოვიდა, ბევრად სუსტი იყო იმაზე, რუმინელებს თუნდაც შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე რომ ჰყავდათ. უნგრეთის ნაკრები კი — რუმინეთისაზე სუსტი. ნაკლებად სუსტმა 2:0 მოგვიგო, უფრო სუსტმა კი — 4:1. ეს რას უნდა ნიშნავდეს? აქ მახსენდება საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის ერთი თვის წინ თქმული: ვერ ატყობთ, რომ აშკარად აღმავლობის გზას ვადგავართ?! ფიცი და ბოლოო, ამაზე იტყვიან.

ალბათ, ორიოდე სიტყვა თავად გუშინდელ მატჩზეც უნდა ითქვას. მაგრამ ჯერ შემთხვევით ვისარგებლებ და საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს მადლობას გადავუხდი რეპორტაჟისთვის. თუ გახსოვთ, ისრაელში ჩვენებმა ამხანაგურად 1:1 რომ ითამაშეს, მწვრთნელები გვარწმუნებდნენ, მასპინძლები დავჩაგრეთ და მხოლოდ უიღბლობით ვერ დავამარცხეთო. მეორე დღეს ისრაელის რომელიღაც არხით იმ მატჩის ჩანაწერი ვნახე და მომეჩვენა, რომ მწვრთნელები რომელიღაც სხვა შეხვედრაზე ლაპარაკობდნენ.

მოკლედ, რაც „ნეპშტადიონზე“ მოხდა, ალბათ ნახეთ და თუ არ გინახავთ, ბევრიც არაფერი დაგიკარგავთ — ერთმა სუსტმა გუნდმა მეორეს 4:1 მოუგო. დიდი ანგარიშია? თუ ასე ფიქრობთ, თამაში არ გინახავთ. აკი ვთქვით, სუსტმა გუნდმა მოიგოო და ეს სისუსტე იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მისი ფეხბურთელები უმარტივეს სიტუაციებში აცილებდნენ ბურთს კარს. ისიც მოახერხეს, ოთხი თუ ხუთი მეტრიდან კარს ზემოთ დაერტყათ, ერთხელაც ძელს გაარტყეს.

ჰო, ერთხელ ჩვენებმაც გაარტყეს ძელს, ოღონდ იერიშის დროს არა — გაბორ კირალი ძალიან წინ იყო გამოსული და არჩილ არველაძემ ლამის ცენტრიდან დაარტყა. სხვათა შორის, ეს მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, რასაც საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ იქამდე ანუ მთელი პირველი ტაიმი საქართველოს ნაკრებს მეტოქის კარში ერთხელაც არ დაურტყია.

ერთი გოლიც გავიტანეთ, რომელიც ვინმეს პრესტიჟისად შეიძლება მოეჩვენოს. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სიტყვა პრესტიჟი ცოტა სხვა რამეს ნიშნავს, თუკი ამ ყბადაღებულ პრესტიჟის გოლს რამე აზრი აქვს — ზედიზედ მეოთხე თამაშს რომ აგებ და იმ კონკრეტულ მატჩშიც 4:0-ია ვეჭვობ, ერთ გოლს რამე ფასი ჰქონდეს.

ერთ რამეზე კი გული მწყდება — უნგრელთა მეორე გოლზე, პენალტით რომ გაიტანეს. საჯარიმოში წესი ნაღდად დაირღვა, უნგრელს მაისურაზე მოქაჩეს, მაგრამ ეს ის დარღვევა არ იყო, რისთვისაც მსაჯები ჩვეულებრივ თერთმეტმეტრიანს ნიშნავენ. სტანდარტული სიტუაციის გათამაშებისას მუდამ ასეთი ქაჩვაა. გული კი აი, რატომ მწყდება — იმ გოლის მერე გავიფიქრე, ჩვენს მწვრთნელებს დამარცხების მიზეზის საძებნად შორს წასვლა აღარ დაჭირდებათ, იტყვიან: იმ პენალტმა და მსაჯის შეცდომამ წაგვახდინა, თორემ მეორე ტაიმში ვაჟკაცურად ვიბრძოლებდით და მოვიგებდითო. ისე ყველაფერი აგიხდეთ, მართლაც ასე თქვეს და მეც ჩვენი მწვრთნელებისადმი ინტერესი დამეკარგა — ახალ ორიგინალურ მიზეზს ველოდი და ბევრჯერ ნაცადი მსაჯისგან გაწირვა შემრჩა. არადა, როგორ დავიჯერო, რომ წაგების ნამდვილი მიზეზი მართლაც ეს იყო.

და რატომ ვფიქრობდი, რომ ყველაფერი მსაჯს დაბრალდებოდა? გაიხსენეთ, რა ითქვა, იტალიასთან წაგების შემდეგ, თურმე მსაჯს გავუწირივართ და თამაშგარედან გატანილი გოლი ჩაუთვლია.

ეგებ ვინმემ თქვას, მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მწვრთნელის სიტყვები ცხელ გულზე ნათქვამია, რამდენიმე დღეში ყველაფერს გაანალიზებს და საკუთარ შეცდომებს მიხვდება და აღიარებსო. ძალიან საეჭვოა.

ზემოთ რომ მწვრთნელის სიტყვები მოვიყვანეთ, ნაკრები აშკარად აღმავლობის გზაზეაო, რუმინელებთან მარცხიდან ერთი კვირის შემდეგ უთხრა ჩვენს კორესპონდენტს. და თუ იმ სირცხვილიდან ერთი კვირის მერეც მწვრთნელი ასე ფიქრობდა, რაღა ახლა გააკეთებს ღრმა ანალიზს.

აქვე ერთი განმარტებაც. აღმავლობაზე ნაკრების ერთმა მწვრთნელმა ილაპარაკა, უნგრეთთან მსაჯის დანაშაულზე — მეორემ. თავს უფლებას ვაძლევ და ერთის ნათქვამს მეორის ნააზრევადაც ვასაღებ, რაკი ისინი თავად იძახიან, ჩვენს შორის აზრთა სრული თანხვედრააო.

ისე, ნუთუ არ შეიძლება, ეს ოხერი მსაჯი ერთხელ ჩვენსკენაც იყოს? კი, როგორ არ შეიძლება. მაგალითად, ახლახან, ისრაელს რომ ვუმასპინძლეთ, მსაჯი არამარტო ჩვენსკენ იყო, სულაც ჩვენიანი გახლდათ და ის თამაში მოვიგეთ. მერე ორი ოფიციალური მატჩი დავთმეთ. დაახლოებით მსგავსი რამ ადრეც მომხდარა. ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს და პირველ მატჩში, ამხანაგურში, სომხები გავანადგურეთ (7:0), რასაც ინგლისში და პოლონეთში ჩვენი განადგურება მოჰყვა.

გიკვირთ? როცა ნაკრების მესვეურნი ასეთი მოგებებით ამაყობენ, პრინციპულ მატჩებში საეჭვოა, რამე ხეირს ველოდოთ. და საერთოდ, რატომ არ თხოვენ მწვრთნელები ფედერაციას წესიერი სპარინგ-პარტნიორების შერჩევას და უარს არ ამბობენ საკუთარი მსაჯების დახმარებაზე? თუმცა მწვრთნელებმა ფედერაციას როგორ უნდა მოთხოვონ რამე, როცა არც ფედერაცია ითხოვს მათგან შედეგს? და ცხოვრობენ ტკბილად.

და ერთიც. როცა ნაკრების ხელმძღვანელები ნიშნის მოგებით მოგიგდებენ, თქვენ უნდა გვასწავლოთ, ფეხბურთიო?! ერთი ჭკვიანი კაცის ნათქვამი მახსენდება — მე კვერცხის დადება არ შემიძლია, თორემ თოხლოს და მოხარშულს ვარჩევო. ჩვენი — სიტყვასროლია ჟურნალისტების და ბოთლისროლია ქომაგების საქმეც ასეა — დიდი ფეხბურთი თუ არ გვითამაშია, არ ნიშნავს, რომ აზრის გამოთქმის უფლება არ გვაქვს. აბა, რა უნდა ვქნათ, მათზე დიდი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე მკვდარია და ვერ დავიხმართ.

სამწუხაროა, რომ ქართული ფეხბურთის მამებს ქომაგები მხოლოდ მაშინ სჭირდებათ, როცა სტადიონის ათ-ოც ლარიანი ბილეთები აქვთ გასაყიდი.

**გიორგი დარჯანია**





დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი: ვეძებთ უნგრული 1:4-ის მიზეზს



# ოფიციანტის ქვალდაქვალ

**ოთხშაბათ** საღამოს პირადად ჩემთვის ერთი ძალიან გულდასაწყვეტი ამბავი მოხდა: კარგი ფილმი ერთ არხზეც ვერ ვნახე. კიდევ, ორი ფეხბურთი იყო. ისრაელი — ესპანეთი და ლუქსემბურგი — რუსეთი. ორივე ისე, რა. და ასე გადართვა-გადმორთვაში გავატარე საღამო.

ამასობაში კი პირველ არხზე საქართველოს ნაკრები დაბობღავდა და გოლებს უშვებდა. ამასაც ცალი თვალით ვუცქერდი და არა იმიტომ, რომ საკუთარ ნერვებს ვუფრთხილდებოდი, არამედ იმიტომ, რომ ეს ყველაზე მოსაწყენი სანახაობა იყო.

სრულიად გულწრფელად ვაცხადებ: ამ პროვინციული გუნდისა არაფერი მაინტერესებს და თუ სარედაქციო დავალება არ იქნა, მის თამაშს თავიდან ბოლომდე არც ვნახავ. ისე, შიგა და შიგ შეიძლება გადავრთო ტელევიზორი. სტადიონზე მისვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ ექვსი წლის წინ იტალიაში გახლდით და იქ, ერთი პიცერიის ოფიციანტმა მითხრა, სანამ ნაკრების მწვრთნელი საკია, მისი გულშემატკივარი არ ვიქნები, მყავს, ეგერ, ჩემი „რომა“ და იმას დავუჭერ მხარს, ამათ კი რაც უნდათ, ის უქნიათო. მეც მანდა ვარ ჩემო ოფიციანტო, სანამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი საკი არ იქნება, ვერ ვუქომაგებ და რაც უნდა, ის უქნია, რაც შეეხება „რომას“, რატომაც არა, ავდგები და შემოგიერთდები, ვუგულშემატკივროთ ერთად.

სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა. ისე, ესეც არ მინდოდა, მაგრამ სარედაქციო დავალება იყო და რა გაეწყობა, ხელფასს ამაში მიხდიან. პირადად ჩემგან კი, უიმე, ეგენი კარგად იყვნენ, მათზე წერით კი არა, თუნდაც ფიქრით შევიწუხო თავი.

ერთი სიტყვით, ჩემო კარგებო, საკის მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პოსტსოციალისტური შიში

*საქართველოს ნაკრების უნგრეთთან გუშინწინდელი მარცხი ბევრ რამეს დაბრალდა, თუმცა, მგონი, არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ საქართველოს ნაკრებს ერთი გარემოების გამოც უნდა წაეგო.*

*არ გჯერათ? მოდით, ჯერ ქვემოთმოყვანილ მატჩთა ნუსხას ჩავხედოთ:*

| | | |
|---|---|---|
| 27.05.90 | საქართველო — ლიტვა | 2:2 |
| 02.09.92 | ლიტვა — საქართველო | 1:0 |
| 25.12.92 | აზერბაიჯანი — საქართველო | 1:0 |
| 07.09.94 | საქართველო — მოლდოვა | 0:1 |
| 12.10.94 | ბულგარეთი — საქართველო | 2:0 |
| 15.11.95 | მოლდოვა — საქართველო | 3:2 |
| 24.04.96 | რუმინეთი — საქართველო | 5:0 |
| 14.06.97 | პოლონეთი — საქართველო | 4:1 |
| 30.05.98 | საქართველო — რუსეთი | 1:1 |
| 12.08.98 | აზერბაიჯანი — საქართველო | 1:0 |
| 19.08.98 | უკრაინა — საქართველო | 4:0 |
| 10.10.98 | ლატვია — საქართველო | 1:0 |
| 20.03.99 | საქართველო — უკრაინა | 0:1 |
| 27.03.99 | საქართველო — სლოვენია | 1:1 |
| 04.09.99 | სლოვენია — საქართველო | 2:1 |
| 08.09.99 | საქართველო — ლატვია | 2:2 |
| 04.02.00 | რუმინეთი — საქართველო | 1:1 |
| 26.04.00 | სომხეთი — საქართველო | 0:0 |
| 04.06.00 | აზერბაიჯანი — საქართველო | 0:0 |
| 11.06.00 | ესტონეთი — საქართველო | 1:0 |
| 28.03.01 | საქართველო — რუმინეთი | 0:2 |
| 06.06.01 | უნგრეთი — საქართველო | 4:1 |

ლიტვა, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, უკრაინა, ლატვია, სლოვენია, სომხეთი, ესტონეთი, უნგრეთი — ყველა ეს ქვეყანა პოსტსოციალისტური ბანაკის წარმომადგენელია. ზემოთ ჩამოთვლილი მატჩებიდან გამომდინარე კი, ადვილი სარწმუნოა, თუ როგორ გვიჭირს ამ ბანაკის წევრებთან თამაში.

გადავხედოთ ჩვენს ახლანდელ ჯგუფს: აქ სამი ასეთი გუნდია — რუმინეთი, უნგრეთი, და ლიტვა. ჩვენი მწვრთნელები კი წაგების მიზეზად მსაჯებს, ჟურნალისტებს, მაფიოზებსა და თვით ფეხბურთელებს ასახელებენ. არადა, ყველაფერი ხომ კენჭისყრის ბრალია. აშკარაა, რომ ფიფა-უეფა ყველანაირად ცდილობს, ყოველ შესარჩევ ჯგუფში ერთი პოსტსოციალისტური ქვეყნის გუნდი მაინც მოახვედროს ჩვენთან ერთად და, ფაქტობრივად, ყველანაირ შანსს გვისპობს. ახლა კი, როცა გაიგეს, რომ კორეა-იაპონიაში წასვლა გადავწყვიტეთ, ერთდროულად სამი ასეთი მეტოქე გვარგუნეს.

ეს ფაქტია. ფაქტი კი ყველაფერზე მეტყველებს.

ასე რომ, ტყუილად ნუ ვაკრიტიკებთ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ ლიტვას 4:0 მოუგეს. თანაც სტუმრად!

და ლიტვა რომელი ბანაკის წევრია? მიხვდით? ძალიან კარგი.

**ძახა შალამბერიძე**


მიშა ახალაძის ფოტო

28 მარტს „ეროვნულზე“ რუმინელებს უხაროდათ

## გაიოზ დარსაძე:

# მწვრთნელი სამაგალითო უნდა იყოს

## ამ ფეხბურთელებით შედეგის მიღწევა შეიძლება

*მორიგი შესარჩევი ციკლიც ჩაგვიფლავდა. მიზეზი ცოტა არ იყო, მაგრამ მომხდარზე პასუხისმგებლობა პირველ რიგში ნაკრების თავკაცებმა უნდა იტვირთონ. მწვრთნელის ხვედრი ყველგან და ყოველთვის ასეთია.*

*გუნდი და მწვრთნელი — ამ თემაზე საუბრისთვის რესპონდენტად გაიოზ დარსაძე შევარჩიეთ, სპეციალისტი, რომელიც უეფას მწვრთნელთა განვითარების პროგრამის ლამის ყველა კურსებსა და სემინარებზეა ნამყოფი. სამშობლოში კი თავადაც წაუკითხავს ლექციები და უშუალოდ მწვრთნელობაშიც გარკვეული წარმატებებისთვის მიუღწევია.*



**— საფრანგეთი 98-ის შესარჩევი ციკლი დაწყებული იყო, როცა დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა საქართველოს ნაკრები ნული ქულით ჩაიბარეს და ათით ჩაამთავრებინეს ტურნირი, რაც, ცხადია, დადებითი შედეგი გახლდათ. მაგრამ ახლა, როცა ისინი ხელმეორედ ჩაუდგნენ გუნდს სათავეში, აშკარად უარესი შედეგი მოიმკეს. ამ პარალელიდან გამომდინარე, რას მიიჩნევთ ჩვენი ნაკრების წარუმატებლობის მიზეზად?**

— საფეხბურთო ცხოვრებაში ეს ნორმალური მოვლენაა. დღეს წარმატებებია, ხვალ პირიქით. თუნდაც მარჩელო ლიპი გავიხსენოთ, მან „იუვენტუსში“ მიაღწია შედეგებს, „ინტერში“ ველარ. ასე რომ, ამაში საოცარი არაფერია.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელები მაქსიმალურად ცდილობდნენ, ყველაფერი გაეღოთ წარმატებისთვის, მაგრამ ასე არ მოხდა. ყველაფერ ამაზე ჩემი შეხედულებები კი მაქვს, მაგრამ ყიფიანისა და ძოძუაშვილის კრიტიკას არ ვაპირებ.

**— გასაგებია, მაგრამ როცა ასეთი მძიმე ვითარებაა, პირველ რიგში ხომ სპეციალისტებმა უნდა აიმაღლონ ხმა.**

— გაჩუმებული არ ვყოფილვარ და არც ვიქნები. თავის დროზე სფფ-ს შევთავაზე, შექმნილიყო ტექნიკური დეპარტამენტი, თუმც მათ მწვრთნელთა საბჭო არჩიეს, რომელიც არავითარი ღირებულის გამცემი არაა, მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი პატივცემული პიროვნებაა. მხოლოდ ტექნიკურ დეპარტამენტს ძალუძს, ყველაფერი დაწვრილებით შეისწავლოს და ღრმა ანალიზი გააკეთოს, ობიექტური, დასაბუთებული ინფორმაცია მიაწოდოს ნაკრების მწვრთნელებს თითოეულ ფეხბურთელზე. ტექნიკური დეპარტამენტის საქმიანობას მეტად ფართო დიაპაზონი აქვს, ოღონდ აუცილებელია, რომ ის თანამედროვე ტექნიკითა და განსწავლული კადრებით იყოს დაკომპლექტებული.

**— ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გუნდში მწვრთნელის როლი შემცირდება, ანუ პირველ პლანზე მისი უნარისა და ნიჭის ნაცვლად უფრო ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობის ინფრასტრუქტურა მოექცევა. აქეთკენ მიგყავთ საუბარი?**

— არა და შევეცდები, ეს დაგისაბუთოდ. ისეთი ინსტიტუტის არსებობა, როგორიც ტექნიკური დეპარტამენტია, მხოლოდ და მხოლოდ მძლავრი დახმარება იქნება მწვრთნელისთვის, როგორც ინფორმაციის ასევე სტრატეგიის ასპექტში. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ფინანსურ და გონებრივ პოტენციასთან არის დაკავშირებული, მაგრამ აქ არ არიან ფიფა და უეფა? ისინი მზად არიან ამ საქმეში დაგვეხმარონ და ჩვენ შეგვიძლია, ეს გამოვიყენოთ.

მწვრთნელი კი ყველა შემთხვევაში მთავარი ფიგურაა. მასზეა დამოკიდებული მთელი სამუშაოს შესრულება, მაგრამ ამავე დროს დამხმარე აუცილებლად სჭირდება. ინგლისის ნაკრების მაგალითი მოვიყვანოთ. სვენ გორან ერიკსონმა მიაღწია იმას, რაც მისმა წინამორბედმა ვერ შეძლო — გუნდმა ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო. კევინ კიგანსაც ხომ მხარში ედგა ყველა, მაგრამ ერიკსონმა განსაკუთრებული უნარი გამოავლინა.

**— შემოგედავებით, ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ჩვენი ფეხბურთელების შესაძლებლობები ხუთი თითივით უნდა იცოდნენ. ნაკრების ბირთვი ბოლო სამ შესარჩევი ციკლისთვის თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია, მოთამაშეებმა ყიფიანისა და ძოძუაშვილის ხელში გაიარეს...**

— მე იმას სულაც არ ვგულისხმობდი, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა ფეხბურთელების შესაძლებლობები არ იციან და არც ფეხბურთელებს ვაკნინებ — ისინი ხომ წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების კლუბებში თამაშობენ. მაგრამ ტექნიკური დეპარტამენტი ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს უდავოდ დიდ სამსახურს გაუწევდა. ბოლოს და ბოლოს, რატომ არ უნდა დავნერგოთ წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების პრაქტიკა ჩვენში? მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაზე კი არა, მომავალზეც უნდა ვიფიქროთ.

**— უშუალოდ გუნდის სამზარეულოში რომ ცუდი სიტუაციაა, ამაზე რას გვეტყვით?**

— სრულ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ თუ გუნდში არაჯანსაღი ატმოსფეროა, ეს ძალიან დიდი ხელისშემშლელი ფაქტორია.

**— თავად დავით ყიფიანს არაერთხელ უთქვამს, საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით ღარიბიაო, მაგრამ ფაქტია, მწვრთნელებმა ჯამარაული და იაშვილი მოიმდურეს და ეს ფეხბურთელები ნაკრებში თამაშზე უარს აცხადებენ.**

— უკვე დაგვიანებულიც კია ამაზე ლაპარაკი — რაც შეიძლება მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი უნდა გავზარდოთ, ვინც გვყავს, იმას გავუფრთხილდეთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდისთვის სწორად უნდა განვითარდეს ბავშვთა ფეხბურთი, ამისთვის კი კარგი ინფრასტრუქტურაა საჭირო, მაგრამ მთავარი მაინც განათლებული მწვრთნელებია. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის რეგიონები. აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ნიჭიერ ფეხბურთელები ველარ მოდიან.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც გვყავს უმაღლესი დონის შემსრულებლები. კალაძე ერთ-ერთი საუკეთესოა იტალიაში და მსოფლიო დონის ვარსკვლავია, ბრიტანეთში დიდად პოპულარულები არიან — ნემსაძე, ხიზანიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, გერმანიაში კი ჩვენებმა საშუალოზე დაბალი დონის გუნდს უეფას თასის საგზური მოაპოვებინეს, შვეიცარიაში ჯამარაული და ყაველაშვილი, ჰოლანდიაში არველაძე, ბელგიაში შეყილაძე... ამ ფეხბურთელებით შეიძლება კარგი შედეგის მიღწევა.

**— თუ ნაკრების მწვრთნელად უცხოელ სპეციალისტს მოვიწვევთ?**

— მასაც მძიმე სამუშაო ელის და იგი აუცილებლად ავტორიტეტული მწვრთნელი უნდა იყოს, ჩვენი ამბიციები რომ დააკმაყოფილოს. უცხოელსაც დრო უნდა მივცეთ და მუშაობის საშუალება. თუმც ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, ნაკრებს ხომ ჯერაც ჰყავს მწვრთნელები.

**— მწვრთნელების რა ვთქვათ, მაგრამ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები საფრანგეთი 98-ის შესარჩევი ციკლის შემდეგ ერთ ადგილზე არ გაჩერებულან. ბევრი მათგანი უკვე საკმაოდ სახელგანთქმულია და შეძლებულიც. ასეთ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის ურთიერთობაზე უეფა სპეციალურ ლექციებსაც კი ატარებს მწვრთნელებისთვის, აგრეთვე პრესასთან ურთიერთობის თაობაზეც.**

— ეს ურთიერთობები უაღრესად სპეციფიურია და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. ფეხბურთელები ინტელექტუალურად ძალიან განვითარდნენ, მწვრთნელებზე შეძლებულები გახდნენ და მათთან მუშტის ქნევით და ძალის პოზიციიდან საუბარი გამორიცხული უნდა იყოს. საფეხბურთო ოჯახს თავისი კანონები აქვს, რისი დაცვაც ყველას მართებს. თუ ფეხბურთელი ხედავს, რომ დამრიგებელი ცოდნაში მოიკოჭლებს, პრესასთან ნორმალური ურთიეთრობა არა აქვს და რეჟიმს არღვევს, ასეთ დროს მწვრთნელი კარგავს კონტროლს ფეხბურთელზე, მისთვის მითითებების მიცემა უჭირს. მწვრთნელი თვითონ უნდა იყოს სამაგალითო.

**— ჩვენში ისეც ხდება, რომ კლუბებში მწვრთნელი ფეხბურთელებზე მეტ გასამრჯელოს იღებს.**

— საქართველოს უმეტეს კლუბებში მათი ბიუჯეტი არასწორად ნაწილდება. ამ შემთხვევაში ყველაფერი პრეზიდენტების უცოდინარობითაა გამოწვეული.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველოს ეროვნული გუნდის

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

27.05.90 ამ საქართველო 2:2 ლიტვა
გურული, კაჭარავა
02.07.91 ამ მოლდოვა 2:4 საქართველო
ქეცბაია, დარასელია,
მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი
02.09.92 ამ ლიტვა 1:0 საქართველო
17.09.92 ამ საქართველო 6:3 აზერბაიჯანი
ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია,
შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
22.12.92 ამ კვიპროსი 1:0 საქართველო
25.05.93 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
08.02.94 მტ სლოვენია 1:0 საქართველო
10.02.94 მტ მალტა 0:1 საქართველო
ქეცბაია
12.02.94 მტ ტუნისი 0:2 საქართველო
ყაველაშვილი, კუდინოვი
23.02.94 ამ ისრაელი 2:0 საქართველო
11.06.94 ამ ნიგერია 5:1 საქართველო
რ. არველაძე
26.06.94 ამ ლატვია 1:3 საქართველო
დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული
19.07.94 ამ საქართველო 1:1 მალტა
შ. არველაძე
07.09.94 ეჩშმ საქართველო 0:1 მოლდოვა
12.10.94 ეჩშმ ბულგარეთი 2:0 საქართველო
16.11.94 ეჩშმ საქართველო 5:0 უელსი
ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
14.12.94 ეჩშმ ალბანეთი 0:1 საქართველო
შ. არველაძე
29.03.95 ეჩშმ საქართველო 0:2 გერმანია
26.04.95 ეჩშმ საქართველო 2:0 ალბანეთი
შ. არველაძე, ქეცბაია
07.06.95 ეჩშმ უელსი 0:1 საქართველო
ქინქლაძე
06.09.95 ეჩშმ გერმანია 4:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.95 ეჩშმ საქართველო 2:1 ბულგარეთი
შ. არველაძე, ქინქლაძე
15.11.95 ეჩშმ მოლდოვა 3:2 საქართველო
დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.)
27.03.96 ამ კვიპროსი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ჯამარაული
24.04.96 ამ რუმინეთი 5:0 საქართველო
08.05.96 ამ საბერძნეთი 2:1 საქართველო
გოგრიჭიანი
01.09.96 ამ ნორვეგია 1:0 საქართველო
09.10.96 მჩშმ იტალია 1:0 საქართველო
09.11.96 მჩშმ საქართველო 0:2 ინგლისი
05.12.96 ამ ლიბანი 4:2 საქართველო
იაშვილი, კიკნაძე
08.12.96 ამ ლიბანი 3:2 საქართველო
გახოკიძე, ცქიტიშვილი
30.03.97 ამ საქართველო 7:0 სომხეთი
შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2,
ქინქლაძე, ყაველაშვილი
30.04.97 მჩშმ ინგლისი 2:0 საქართველო
07.06.97 მჩშმ საქართველო 2:0 მოლდოვა
შ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97 მჩშმ პოლონეთი 4:1 საქართველო
შ. არველაძე
10.09.97 მჩშმ საქართველო 0:0 იტალია
24.09.97 მჩშმ მოლდოვა 0:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.97 მჩშმ საქართველო 3:0 პოლონეთი
ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
06.02.98 მტ საქართველო 2:1 ლატვია
ჯამარაული 2
08.02.98 მტ საქართველო 3:0 ალბანეთი
ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
10.02.98 მტ საქართველო 3:1 მალტა
ყაველაშვილი 2, ჯამარაული
02.05.98 ამ ტუნისი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
30.05.98 ამ საქართველო 1:1 რუსეთი
ზ. ჯანაშია
12.08.98 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
19.08.98 ამ უკრაინა 4:0 საქართველო
05.09.98 ეჩშმ საქართველო 1:0 ალბანეთი
ა. არველაძე
10.10.98 ეჩშმ ლატვია 1:0 საქართველო
14.10.98 ეჩშმ საბერძნეთი 3:0 საქართველო
18.11.98 ამ საქართველო 3:1 ესტონეთი
აშვეთია 2, დ. ჯანაშია
20.03.99 ამ საქართველო 0:1 უკრაინა
27.03.99 ეჩშმ საქართველო 1:1 სლოვენია
ზ. ჯანაშია
28.04.99 ეჩშმ საქართველო 1:4 ნორვეგია
ზ. ჯანაშია
30.05.99 ეჩშმ ნორვეგია 1:0 საქართველო
05.06.99 ეჩშმ საქართველო 1:2 საბერძნეთი
ქეცბაია
04.09.99 ეჩშმ სლოვენია 2:1 საქართველო
შ. არველაძე
08.09.99 ეჩშმ საქართველო 2:2 ლატვია
შ. არველაძე, ყაველაშვილი
09.10.99 ეჩშმ ალბანეთი 2:1 საქართველო
შ. არველაძე
02.02.00 კტ სლოვაკეთი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ყაველაშვილი
04.02.00 კტ რუმინეთი 1:1 (4:23) საქართველო
ქეცბაია
06.02.00 კტ საქართველო 2:1 სომხეთი
ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი
28.03.00 ამ ისრაელი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
26.04.00 ამ სომხეთი 0:0 საქართველო
04.06.00 ამ აზერბაიჯანი 0:0 საქართველო
11.06.00 ამ ესტონეთი 1:0 საქართველო
16.08.00 ამ ირანი 2:1 საქართველო
ყაველაშვილი
07.10.00 მჩშმ ლიტვა 0:4 საქართველო
ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე
11.10.00 მჩშმ იტალია 2:0 საქართველო
14.02.01 ამ საქართველო 0:0 უკრაინა
28.03.01 მჩშმ საქართველო 0:2 რუმინეთი
24.04.01 ამ საქართველო 3:2 ისრაელი
ქეცბაია 2, ა. არველაძე
09.05.01 ამ საქართველო 1:0 აზერბაიჯანი
იონანიძე
02.06.01 მჩშმ საქართველო 1:2 იტალია
გახოკიძე
06.06.01 მჩშმ უნგრეთი 4:1 საქართველო
კობიაშვილი

**სულ: 73 თამაში, 25 მოგება, 12 ფრე, 36 წაგება, ბურთები 93:103**

ამ – ამხანაგური მატჩი, ეჩშმ – ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშმ – მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ – მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სახელი გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 2002-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დანდი (შოტლანდია) | 30 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 56 | 0 | 13 | 0 |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 23 | 8 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 5 | 2 | 0 | 0 | 49 | 17 | 6 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 24 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 47 | 5 | 3 | 0 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 18 | 3 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 42 | 8 | 2 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 20 | 6 | 4 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 41 | 9 | 7 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი (ჰოლანდია) | 16 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 40 | 14 | 0 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 14 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 5 | 1 | 0 | 0 | 33 | 1 | 3 | 0 |
| არჩილ არველაძე | თ | 22.02.73 | კიოლნი (გერმანია) | 14 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 32 | 6 | 2 | 0 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.69 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა კალაძე | მ | 22.02.78 | მილანი (იტალია) | 11 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 28 | 0 | 4 | 1 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 27 | 1 | 2 | 0 |
| კახა ცხადაძე | მ | 07.09.68 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 10 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 4 | 1 |
| ლევან სილაგაძე | მ | 04.08.76 | ტორპედო | 16 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 21 | 0 | 3 | 0 |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| გელა შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი (ბელგია) | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 3 | 0 |
| დავით გვარამაძე | მკ | 08.11.75 | უგუნდო | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | ტორპედო | 9 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0 | 0 |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 10 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 17 | 1 | 2 | 0 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | მერანი | 8 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09.11.77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 15 | 2 | 3 | 0 |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26.09.76 | რეალ სოსიედადი (ესპანეთი) | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | დანდი (შოტლანდია) | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 14 | 0 | 0 | 0 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | თამაში მიატოვა | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| გივი დიდავა | მ | 26.03.76 | ტორპედო | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 2 | 0 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15.09.69 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23.09.68 | თამაში მიატოვა | 7 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 1 | 0 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ტორპედო | 6 | 9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 13 | 0 | 0 |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26.04.76 | ფრაიბურგი | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 1 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო (ლატვია) | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 0 | 0 |
| გელა ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15.05.72 | კრისტალი (რუსეთი) | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 1 | 0 |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო (ლატვია) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 4 | 2 | 1 |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ორიოლი (რუსეთი) | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი (ქფარ სავა, ისრაელი) | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| მამუკა წერეთელი | მ | 17.01.79 | უგუნდო | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 |
| რატი ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი (ინგლისი) | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20.02.68 | სამგურალი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ღუდუშაური | ნ | 18.02.73 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | ტორპედო | 7 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 8 | 0 | 3 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10.11.77 | ტორპედო | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 0 | 0 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | ტორპედო | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 |
| კახა სიდამონიძე | მ | 17.04.71 | სიონი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06.07.75 | ტორპედო | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 |
| გია გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| დავით ცომაია | ნ | 04.09.67 | უგუნდო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02.06.72 | ალანია (რუსეთი) | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09.09.68 | თურანი (თაუზი, აზერბაიჯანი) | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12.08.75 | მერანი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ვალერი აბრამიძე | მ | 17.01.80 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| კახა კაჭარავა | თ | 19.09.66 | თამაში მიატოვა | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | უგუნდო | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16.12.73 | კრისტალი (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ ბიგვავა | თ | 17.01.63 | აისბახტალი (გერმანია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია ჩხაიძე | მ | 23.02.70 | მერანი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო (ლატვია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გია ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ერზურუმსფორი (თურქეთი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05.10.75 | მერანი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11.05.79 | სკონტო (ლატვია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | უგუნდო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მელქაძე | თ | 12.12.79 | ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19.10.70 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური გაბისკირია | ნ | 01.09.68 | სპარტაკი (ნალჩიკი, რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი გემეზაშვილი | მ | 06.07.77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18.07.78 | მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ თორლაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ლიკ (საბერძნეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.02.74 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით მუჯირი | ნ | 02.01.78 | შერიფი (მოლდოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | დილა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მიქაძე | მ | 13.09.73 | ცსკა (კიევი, უკრაინა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04.08.81 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ნ | 26.02.76 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ მახვილაძე | მ | 22.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა ნოზაძე | ნ | 18.03.80 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ედიკ საჯაია | მ | 16.02.81 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01.09.79 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ხმელიძე | მკ | 28.04.79 | როსტსელმაში (რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ე ვ რ ო პ ა

## ჩ ვ ე ნ ი ჯ გ უ ფ ი

# კლდე ოდეს ნწრავს შებვედლებას...

### VIII ჯგუფი

**ლიტვა 1:2 რუმინეთი**

**0:1 ილიე (31), 0:2 მოლდოვანი (49), 1:2 ფომენკა (87)**
**ლიტვა: სტაუჩე, ჟვირგჟდაუსკასი, დედურა, შკარბალიუსი, გრაჟიუნასი, მორინასი (ფომენკა 46), რ. ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, შემბერასი, რაჟანაუსკასი (ბუიტკუსი 73), პოშკუსი**
**მწვრთნელი: ბენიამინას ზელკევიჩიუსი**
**რუმინეთი: სტელია, კონტრა (განეა 54), რადოი, ფილიპესკუ, კივუ, დუმიტრუ, მ. ნიკულაე, დ. მუნტეანუ, მოლდოვანი (პროდანი 57), კოდრია, ილიე (მუტუ 63)**
**მწვრთნელი: ლადისლაუ ბოლონი**
**მსაჯი: ანტონ სტრედაკი (სლოვაკეთი)**
**7 000 მაყურებელი**

**ფეხბურთში** ბევრი მოულოდნელობები ხდებაო, მაგრამ ჯამში მაინც ყველაფერი მეტ-ნაკლებად ლოგიკურად მთავრდება. აი, შემოდგომაზე, როცა რუმინეთმა იტალიასთან სამარცხვინოდ წააგო, ჩვენ კი ლიტვას მოვუგეთ, ალაპარაკდნენ, ჯგუფში „სკუადრა აძურას" მთავარი კონკურენტი საქართველო იქნებაო. აქ ის არეულობაც იგულისხმებოდა, რომელიც მაშინ რუმინელთა ბანაკში სუფევდა. შინაამლილობა მართლაც მოსძალებოდათ. ნაკრებიდან წასულმა ჰაჯიმ და კომპანიამ ლადისლაუ ბოლონის გადადგომა მოითხოვეს. იტალიასთან ლამის ნახევარი გუნდი თამაშს არ აპირებდა, შედეგად მილანში ბოლო ათწლეულის უცუდესი მატჩი ჩაატარეს და 0:3 წააგეს.

ამან მონასტერი კიდევ უფრო არია. ქვეყნის ფეხბურთის თავკაცმა მირჩა სადტუმ ეროვნული გუნდის მოთამაშეებს ცრუპატრიოტიზმი დააბრალა და გუნდის გადახალისება მოითხოვა.

პრობლემები მერეც ბევრი ჰქონდათ, იტალიასთან შინაც წააგეს, მაგრამ ბედის ბორბალმა იტრიალა, იტრიალა და ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. დღეს რუმინეთი ცხრილში მეორეა და თუნდაც დაულაგებელი, უნგრეთსა და საქართველოზე ძლიერია: „ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი გვაქვს. ვფიქრობ, საპლეიოფო საგზურს არავის დავანებებთ, მერე კი ვნახოთ. ბედნიერი ვარ, რომ ბოლო ორ მატჩში ექვსი ქულა მოვიპოვეთ" — თქვა ოთხშაბათ საღამოს, ლიტვასთან გამარჯვების მერე რუმინელთა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ.

ვილნიუსში მზიანი დღე იდგა და ტრიბუნებზე სულ რამდენიმე ათასი ქომაგი შეკრებილიყო. რუმინელებს წლევანდელ შესარჩევ ციკლში პირველად ეცვათ წითელი ფორმა და კაპიტნად კვლავაც ჭაბუკი კრისტიან კივუ ჰყავდათ.

დაწყებიდან ნახევარი საათი გასულიყო, ანგარიში რომ გაიხსნა. ესპანური „ვალენსიას" თავდამსხმელმა ადრიან ილიემ ახლოდან შორეულ კუთხეში დაარტყა, მეკარემ რეაქცია დააგვიანა და 0:1. მანამდე თავის გამოჩენა ლიტველებსაც შეეძლოთ, მაგრამ გრაჟიუნასის დარტყმა ბოგდან სტელიამ მოიგერია.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ვიორელ მოლდოვანმა მეორე შეაგდო. ფრანგული „ნანტის" შემტევმა პასი ალავესელი კოზმინ კონტრასგან მიიღო.

მასპინძლებმა ერთი საპასუხო ბოლოსლა გაიტანეს. დამთავრებას სამი წუთი უკლდა, როცა შეცვლაზე შესულმა არტურას ფომენკამ შეაგდო.

„ერთობ ძნელი მატჩი გახლდათ. ბოლო დღეებში ორი მძიმე თამაში ჩავატარეთ, ამიტომაც იყო, რომ შეცდომებიც მრავლად დავუშვით. მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გავიუმჯობესეთ" — თქვა თამაშის შემდეგ ბედნიერმა ბოლონიმ.

მოკლედ ასე, რუმინელებს კიდევ ორი მატჩი დარჩათ, 5 სექტემბერს ბუდაპეშტში უნგრეთთან და 6 ოქტომბერს შინ ქართველებთან, თუმცა ეჭვი უკვე ალარავის ეპარება, რომ მეორე ადგილს სწორედ ბოლონის გუნდი დაიკავებს.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 16 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:6 | 12 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:7 | 8 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |
| ლიტვა | 6 | 0 | 1 | 5 | 3:18 | 1 |

### I ჯგუფი

# უყურე შენ!

**შვეიცარია 0:1 სლოვენია**

**0:1 ციმეროტიჩი (83)**
**შვეიცარია: პასკოლო, ზელვეგერი, კვენტინი, ეჩერსი, მიულერი, ფოგელი, ნეუფი, ვიკი (ლონფატი 66), ლომბარდო (სფორცა 56), ფურნიე, ფრეი (სესა 79)**
**სლოვენია: სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, კარიჩი (ციმეროტიჩი 32), გალიჩი, კნავსი, ნოვაკი, ჩეჰი, ოსტერცი (აჩიმოვიჩი 46), ზაჰოვიჩი, პავლინი, რუდონია**
**მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)**
**26 000 მაყურებელი**

**სრეჩკო კატანეცის** სლოვენიის ნაკრების ევრო 2000-ზე მოხვედრა, თურმე შემთხვევითი არ ყოფილა. აი, ახალი შესარჩევი ციკლი ლამის ბოლოსკენ მიდის და სლოვენიელები კვლავაც მაგრად დგანან. ოთხშაბათს ბაზელში შვეიცარიელები დაამარცხეს და მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ.

მასპინძლებს შიდა პრობლემები აწუხებდათ. კერძოდ, მწვრთნელი ენცო ტროსერო და „ბაიერნის" ნახევარმცველი ჩირიაკო სფორცა ერთმანეთს წაეკიდნენ. საქმე ისაა, რომ ბოლო სამი თვე სფორცამ ტრავმის გამო გააცდინა და მწვრთნელმა კაპიტნობა სტეფან ენჩოსს გადააბარა. ახლა სფორცა დაბრუნდა, მაგრამ კაპიტნის სამკლავური აღარ მისცეს და ალიაქოთიც ამას მოჰყვა. შედეგად, ტროსერომ სფორცა სასტარტო შემადგენლობაში არ შეიყვანა და მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვა მინდორზე. არადა, თუ შვეიცარიელებმა რაიმე შექმნეს, ყველაფერი პირველ ნახევარში იყო. ორჯერ ალექსანდრ ფრეის უნდა გაეტანა, მაგრამ ვერ ივარგა. მერე სლოვენიელები გაშინაურდნენ და დამთავრებამდე 7 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ციმეროტიჩმა გამარჯვებისა გაიტანა. სხვათა შორის, ამ ეპიზოდში ბავშვურად შეცდა ენჩოსი...

ახლა სლოვენიელები რუსებს ოთხი ქულით ჩამორჩებიან და მომავალ შესარჩევ მატჩში სწორედ მათ მასპინძლობენ.



შვეიცარია — სლოვენია. სტუმარმა ციმეროტიჩმა საგოლე დაარტყა

**ლუქსემბურგი 1:2 რუსეთი**

**0:1 ალენიჩევი (16), 1:1 შნაიდერი (48), 1:2 სემაკი (76)**
**ლუქსემბურგი: ბოლე, შულსი, დევილი, ტაისი, შტრასერი, საიბენე, რ. პეტერსი (რაიტერი 89), პოლცა, პასი (კრისტოფი 64), კარდონი, ს. შნაიდერი (გ. ბრაუნი 83)**
**რუსეთი: ნიგმატულინი, ხოხლოვი, ნიკიფოროვი, სმერტინი (პოპოვი 52), ალენიჩევი (სემაკი 61), კოვტუნი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი (ფედკოვი 66)**
**მსაჯი: იონ სკიერვოლდი (ნორვეგია)**
**2 200 მაყურებელი**

**შეცვლაზე** შესული სერგეი სემაკის გოლით რუსებმა ლუქსემბურგს გამარჯვება გამოსტაცეს. არადა, ჯგუფის აშკარა აუტსაიდერთან ძალიან გაუჭირდათ. მართალია, სტუმრები უდიდეს სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ მოახერხეს გატანა და მეორეს დასაწყისშივე საპასუხო მიიღეს. საქმე ასე იყო, შტრასერმა ბურთი თავით დაუგდო შნაიდერს, ონოპკომ მოწინააღმდეგეს ვერაფერი მოუხერხა, ვერ ივარგა ნიგმატულინმაც და ბურთი ნელა შეგორდა ბადეში. ამან რუსები, ცოტა არ იყოს, დააბნია. არ ელოდნენ ლუქსემბურგელთაგან ასეთ თავხედობას. თუმცა ნელ-ნელა დალაგდნენ და ტიტოვის გადაცემით სემაკმა გადამწყვეტი გაიტანა. მერე კი სტუმრებმა მასპინძლებს ბურთი დაუმალეს, მსაჯის წამატებულ წუთებზე კი პოპოვმა ძელსაც გაარტყა.

წაგების მიუხედავად მასპინძელი მწვრთნელ-ფეხბურთელები უკმაყოფილონი არ დარჩენილან — ჯგუფის ლიდერს ლამის ტოლ-სწორად ვებრძოლეთო.

**სოლომონ ბულისაშვილი**

**ფარერები 0:6 იუგოსლავია**

**0:1 სტანკოვიჩი (20), 0:2 კეჟმანი (29), 0:3 სტანკოვიჩი (55), 0:4 მილოშევიჩი (68), 0:5, 0:6 კეჟმანი (87, 90)**
**ფარერები: მიკელსენი, ბენიამინსენი, ი. ჰანსენი, ე ბორგი, ჰ. ჰანსენი, ო. ჰანსენი, ს. იოენსენი (რ. იაკობსენი 88), ჯ. იონსონი (მორკორე 75), ჯ. იაკობსენი (ჰ. პეტერსენი 75), არგე, ი. პეტერსენი**
**იუგოსლავია: რადაკოვიჩი, მირკოვიჩი (ბუნიევჩევიჩი 46), ჯორიოვიჩი, კეჟმანი, დრულოვიჩი (ილიჩი 74), დმიტროვიჩი, ლაზეტიჩი (ობრადოვიჩი 46), მიატოვიჩი, მილოშევიჩი, დ. სტანკოვიჩი, მიხაილოვიჩი**
**მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)**
**4 371 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:3 | 17 |
| სლოვენია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:7 | 13 |
| შვეიცარია | 7 | 3 | 2 | 2 | 14:6 | 11 |
| იუგოსლავია | 6 | 2 | 3 | 1 | 11:4 | 9 |
| ფარერები | 6 | 1 | 1 | 4 | 5:15 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:18 | 0 |

### II ჯგუფი

# მოგზაურობა სასიამოვნო იქნება

**პორტუგალია 6:0 კვიპროსი**

**1:0 პაულეტა (36), 2:0, 3:0 ბარბოსა (55, 59), 4:0 პაულეტა (71), 5:0, 6:0 ჟოაუ პინტუ (76, 81)**
**პორტუგალია: რიკარდო, რუი ჟორჟე, ნუნუ ფრეშაუ (პაულუ ბენტუ 87), ბარბოსა (ზა პინტუ 72), რუი კოშტა, ჟოაუ პინტუ, ნუნუ კაპუშუ, პაულეტა**
**კვიპროსი: მორფისი, თეოდოტუ, ფილიპუ, მ. ხარალამბუსი, იოაკიმი, საციასი, ენგომიტისი (ასუმი 69), ოკასი (სტრავუ 83), ხრისტოდულუ (მელანარკიტისი 61), გერმანუ, კონსტანტინუ**
**მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)**
**35 000 მაყურებელი**

**პორტუგალიამ** კვიპროსი დაჩაგრა — 6:0, რითაც მეორე შესარჩევ ჯგუფში გატანილ-გაშვებულთა მეტად გამოსწორებული ბალანსით მეორე ადგილზე დამკვიდრდა. ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტთა მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა ძალიან კმაყოფილი დარჩა.

„ვგონებ, ანგარიში რაიმე ეჭვის საბაბს არ ტოვებს. მეტიც შეგვეძლო გაგვეტანა, მაგრამ რაც არის, სრულიად სამართლიანად ასახავს თამაშის შინაარსს, მიუხედავად ყველაფრისა, შეჯიბრების ბოლომდე ჯერ 270 წუთია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზნამდე შორია და ამიტომ მეტოქეთა სრული პატივისცემით ბრძოლა უნდა განვაგრძოთ".

მოგეხსენებათ, პორტუგალიელებს მოედანზე არ ჰყავდათ წინა შეხვედრაში გაფრთხილებული და ამით დისკვალიფიცირებული ლუიშ ფიგუ, რის გამოც, ნუ გაგიკვირდებათ და პირველი ტაიმი ისეთი ლაღი არ გამოუვიდათ. მართალია მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ ბოლო ეტაპზე რაღაც აკლდათ. ამ დროს კვიპროსელებმაც კი შექმნეს მომენტი — 21-ე წუთზე მიხლას კონსტანტინუმ ჩინებული პოზიციიდან ძელს გაარტყა ბურთი.

36-ე წუთზე კუნძულელთა უხეშმა შეცდომამ მასპინძლებს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მისცა — მეკარე მიხაელ მორფისმა ბურთს მის ფეხებს შორის გაძვრომის საშუალება მისცა. დარტყმით კი, საჯარიმოს კიდიდან პედრო პაულეტამ დაარტყა.

მეორე გოლი პორტუგალიამ უკვე შესვენების შემდეგ შეაგდო. ამ ეპიზოდში პედრო ბარბოსამ კარიდან 25-მეტრში ნუნუ კაპუჩოს პასი მიიღო და მარჯვენა კუთხეში დაარტყა.

ოთხი წუთის შემდეგ ბარბოსამ კიდევ ერთი გოლი გაიტანა. და ისევ მეკარემ დაუშვა შეცდომა: მაღალი ჩაწოდების მოხელთება ვერ შეძლო, რადგან ჟოაუ პინტუ ავიწროვებდა და ბარბოსამ უშნოდ გაგდებულ ბურთს ზუსტად დაჰკრა.

71-ზე კაპუჩოს პასით პაულეტამ ახლოდან, მარცხენა ძელთან შეაგდო, ხოლო პინტუმ ხუთი წუთის შემდეგ იმავ კაპუჩოს შორეული პასით თავური გოლი გაიტანა.

ბოლო გოლი ისევ პინტუმ შეაგდო — პაულეტას პასს იგი კვლავ თავურით, ოღონდ გაწოლილი გამოეხმაურა.

ბოლოს კი უნდა ითქვას, რომ პორტუგალიელებს საკმაოდ იოლი შეხვედრები დარჩათ: სტუმრად იმავ კვიპროსთან, სტუმრად ანდორასთან და შინ ესტონეთთან.



პორტუგალია — კვიპროსი. ჟოაუ პინტუმ მეექვსე გოლი გაიტანა და ისე ჩქარობს თითქოს საკმარისი არ იყოს

**ესტონეთი 0:2 ირლანდია**

**0:1 დაფი (8), 0:2 ჰოლანდი (39)**
**ესტონეთი: კაალმა, სავიაუკი, სტეპანოვი, პიიროია, როოპა (ალასი 69), რეიმი, ჰაავისტუ (ტერეხოვი 52), ნოვიკოვი (უსტრიცკი 74), ზელინსკი, კრისტალი, ობერი**
**ირლანდია: გივენი, კარი, ჰარტი, დანი, სტონტონი, მ. ჰოლანდი, გ. კელი, კინსელა, ნ. ქუინი (დოჰერტი 36), დაფი (ობრაიენი 89), კილბეინი**
**მსაჯი: მარიან მირჩა სალომირი (რუმინეთი)**
**9 300 მაყურებელი**

**ირლანდიელებმა** ტალინში მორიგი შეხვედრა მოიგეს. ესტონელები, რომლებიც გასულ შაბათს ჰოლანდიელებთან შეხვედრაში იგებდნენ და სამი ქულის მოსაპოვებლად 4 წუთის გაძლებაღა სჭირდებოდათ, ირლანდიელებთან მე-8 წუთზევე ჩამორჩნენ, როდესაც რიჩარდ დანიმ ფეხი გაიშვირა და ბურთს სწორი მიმართულება მისცა. ამის შემდეგ, შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე კი მეტ ჰოლანდმა 20 მეტრიანი გამართული დარტყმით გააორმაგა ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდი იმ დღეს დისკვალიფიცირებული როი კინის ნაცვლად თამაშობდა.

„ძალიან კარგად ვითამაშეთ" — თქვა მატჩის შემდეგ ირლანდიელთა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ — „ჩემი ფეხბურთელები ნამდვილი პროფესიონალები არიან. ისინი იმდენად ძლიერად თამაშობენ, რომ სტუმრადაც არ მარცხდებიან. ფანტასტიკური გუნდი მყავს".

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 8 | 5 | 3 | 0 | 18:5 | 18 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 3 | 0 | 18:5 | 15 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 21:8 | 14 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | 7 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:22 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4:25 | 0 |



პორტუგალია — კვიპროსი. მასპინძელი რუი კოშტას (№10) შეჩერება მართლაც ძნელია

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ე ვ რ ო პ ა

III ჯგუფი

## ჩრდილოეთ ირლანდია პოლიციასაც ეთამაშა

**ჩეხეთი 3:1 ჩრდ. ირლანდია**
1:0 კუკა (40), 1:1 მალრინი (45), 2:1 კუკა (88), 3:1 ბაროში (90)
ჩეხეთი: სრნიჩეკი, ტისი, რეპკა, ვოტავა (ბეთბლი 46), პობორსკი (ლოკვენცი 83), ნედვედი, ბერგერი, გალაშეკი, როსიცკი, კოლერი (ბაროში 65), კუკა
ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი, ნოლანი, ა. ჰიუზი, მ. უილიამსი, მერდოკი, გრიფინი, დ. ჯონსონი (გ. ფერგიუსონი 77), მალრინი (მ. კენედი 82), ჰელი, მ. ჰიუზი, ს. ელიოტი (ჯ. ქუინი 66)
მსაჯი: ლეიფ სუნდელი (შვედეთი)
14 850 მაყურებელი

**ჩეხებმა** ბოლო ორ წუთში გამოგლიჯეს გამარჯვება ბრიტანელებს. „ფრე ხელს არ გვაძლევდა და შესვენების შემდეგ გუნდი იმ განწყობით გავიდა მინდორზე, რომ გოლს გავიტანდით და საჭირო სამი ქულის მოპოვებას შევძლებდით. ბიჭებმა თავი დადეს და მიზანს მიაღწიეს. დღეს ისინი ქებას იმსახურებენ" — განაცხადა ჩეხთა მწვრთნელმა იოჟეფ ხოვანეცმა.

ჩეხთაგან ყველაზე გამორჩეული „სლავიას" ფორვარდი პაველ კუკა იყო, რომელმაც მე-40 წუთზე ანგარიში გახსნა, ხოლო 88-ზე მასპინძლები დააწინაურა. თუმცა მან მეორე გოლამდე ორი რეალური მომენტი ვერ გამოიყენა.

„გამიმართლა, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი" — თქვა კუკამ.

მატჩიდან რამდენიმე საათის შემდეგ პრაღის ერთ-ერთ ღამის კლუბში ხუთი ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი დააკავეს, წაგებით გამწარებულებს იქ ჩხუბი აუტეხიათ. საქმეში უმალ ჩაერია ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია და შფოთისთავებს, ალბათ, მალე გაათავისუფლებენ.

**დანია 2:1 მალტა**
0:1 მალია (8), 1:1, 2:1 სანდი (43, 83)
დანია: სორენსენი, ტოფტინგი (ა. ნილსენი 74), ჰენრიკსენი, გრავესენი, ჰაინცე, ჰელვეგი, იენსენი, რომედალი (გრონკიაერი 56), ტომასონი (ნიგაარდი 68), იორგენსენი, სანდი
მალტა: ჯ. ბერი, დებონო, დიმეში, საიდი, ტურმა, ბრინკატი (ჯ. ჰოლანდი 72), კამილერი, ტურნერი, აგუსი (ოკოში 78), მალია (ნოვოკო 65), მიფსუდი
მსაჯი: სერგეი შმოლიკი (ბელარუსი)
38 499 მაყურებელი



REUTERS ფოტოები

ჩრდილოირლანდიელი დევიდ ჰელი სტადიონიდან პოლიციაში მოხვდა

**ბუნდესლიგის** საუკეთესო ბომბარდირმა, დანიელმა ებე სანდმა ბოლო ორ სანაკრებო შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. კოპენჰაგენში მალტასთან მატჩში მან დუბლის შესრულება შეძლო და ეროვნულ გუნდს მოაგებინა.

არადა, კოპენჰაგენური მატჩი სენსაციურად დაიწყო. ანგარიში მალტელებმა მე-8 წუთზე გახსნეს. მასპინძელი იან ჰაინცე, რომელიც 75-ე სანაკრებო შეხვედრას ატარებდა, დაცვაში შეცდა და მეტოქეს კარისკენ დაარტყმევინა.

გოლმა მასპინძლები გამოაცოცხლა. პირველი ტაიმის ბოლომდე უკანმოუხედავად უტევდნენ მეტოქეს და მხოლოდ სტუმართა მეკარის ერნესტ ბერის დამსახურებაა, 43-ე წუთამდე მათ კარში ბურთი რომ არ გავიდა. ბოლოს კი ძალამ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ებე სანდმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

მეორე ტაიმიც თითქმის მსგავსი სცენარით წარიმართა, დანიელთა შეტევებმა კი შედეგი ისევ ბოლო წუთებზე გამოიღო. სანდმა ბურთს თავი წაჰკრა, გამარჯვებისა შეაგდო და მწვრთნელი მორტენ ოლსენიც დიდად გაახარა.

„სამი ქულა დაძაბულ ბრძოლაში მოვიპოვეთ, ვფიქრობ, მოგებას ვიმსახურებდით. ჯგუფის ლიდერობამ ძალიან გამახარა" — განაცხადა ოლსენმა, რომლის გუნდიც ჯგუფის სათავეში სულ მცირე, პირველ სექტემბრამდე დარჩება, მომავალ ტურამდე, როცა ჩრდილოეთ ირლანდიას შეხვდება.

**ნიკა შუბლაძე**

**ისლანდია 1:1 ბულგარეთი**
1:0 დადასონი (43), 1:1 ბერბატოვი (81)
ისლანდია: არასონი, ჰელგასონი, ვიდარსონი, გრეტარსონი, გუნარსონი, კრისტინსონი, ჰრეიდარსონი, სვერისონი, გუდიონსენი, სიგურდსონი, დადასონი (ჰელგუსონი 46)
ბულგარეთი: ზდრავკოვი, მარკოვი, ჩომაკოვი (მ. პეტროვი 65), კირილოვი, ბ. ივანოვი, გ. ივანოვი, ბალაკოვი (ტოდოროვი 73), ბერბატოვი, პეევი, სტოილოვი, ჰაჯიევი (ს. პეტროვი 53)
მსაჯი: დერმოტ გალაჰერი (ინგლისი)
4 316 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 7 | 4 | 3 | 0 | 13:5 | 15 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| ისლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | 4 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 2:18 | 1 |

IV ჯგუფი

## რა ვართ კავკასიელები!

**აზერბაიჯანი 2:0 სლოვაკეთი**
1:0 ვასილიევი (26), 2:0 ტაგიზადე (55)
აზერბაიჯანი: ჰასანზადე, ნიფტალიევი, იუნუსოვი, ახმედოვი, რ. მამედოვი, იადულაევი, მ. ყურბანოვი, ტაგიზადე (რ. გულიევი 82), გეტმანი, გ. ყურბანოვი (ისმაილოვი 89), ვასილიევი (რზაევი 75)
სლოვაკეთი: კონიგი, კარჰანი, ჟურიკი, ვიტეკი (ბეჩნიკი 69), ვარგა, ლაბანტი, იანოჩკო, ტომაშეკი, გრეშკო, შ. ნემეტი, პინტე (ბაბნიკი 62)
მსაჯი: ნიკოლაი ვოლკარცი (დანია)
20 000 მაყურებელი

**ჩვენი** დროით ღამის 12 საათამდე, ანუ იმ მომენტამდე, როცა უნგრეთი ორბურთიანი ჰანდიკაპით გადიოდა შესვენებაზე, საოცრად სწყალობდათ ბედი კავკასიელებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის გუშინდელ ტურში.

„კავკასიური დღე" საქართველომ გააუფერულა, სამარცხვინოდ რომ გადაათელინა თავი უნგრეთს. სომხეთმა ჯიგარი ჩადო ჯგუფის ლიდერ პოლონეთთან მატჩში, სტუმრებს ყბებიც გვარიანად ალეწა და საპატიო ფრესაც გამოჰკრა ხელი.

გამორჩეული და საკვირველი კი, რაღა თქმა უნდა, აზერბაიჯანელთა მოგება გახლდათ. ჩვენმა მეზობლებმა ალმავლობის გზაზე მდგარი და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მაძიებელი სლოვაკეთი წამოაქციეს შინაურ კედლებში.

სტუმრებს უპირობო გამარჯვება სჭირდებოდათ ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსის შესანარჩუნებლად. მასპინძელთა საკითხი კი კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად მოტივაციის არქონისა, ჯგუფის აუტსაიდერმა თავი არ დაზოგა და 26-ე წუთზე ვასილიევის გოლით დაწინაურდა. სლოვაკები შოკში ჩავარდნენ და ტაიმის ბოლომდე ღირებული ბევრიც ვერაფერი შექმნეს. შესვენებიდან დაბრუნებულებმა კი თავგამოდებით შეუტიეს. ჯერ პინტეს დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანეს მცველებმა, 59-ე წუთზე კი ტომაშეკის გასროლილი ძელს მოხვდა. მერე კი დაცვაში ჩამჯდარმა აზერბაიჯანელებმა ეფექტური კონტრშეტევა წამოიწყეს და ტაგიზადემ სისწრაფეში ორი მეტოქე დაჯაბნა, მეორე გაუტანა სტუმრებს და სიხარულისგან გაგიჟებული ქომაგი რესპუბლიკური სტადიონის თავზე აიყვანა. ამ მოგებით აზერბაიჯანმა ორწლიანი ნავსი გატეხა, ბოლოს ჩვენმა მეზობლებმა 1999 წელს გაიმარჯვეს, როცა ლიხტენშტეინი დაამარცხეს 4:0.

**თურქეთი 3:3 მაკედონია**
0:1 შაკირი (7), 0:2 სერაფიმოვსკი (20), 1:2, 2:2 ალფაი (43, 58), 2:3 ნიკოლოვსკი (62), 3:3 ალფაი (70)
თურქეთი: რუშთუ, უმით ოზატი, ბიულენთი, ტაიფური (ფათიჰი 84), ალფაი, აბდულა, ოკანი (ბასტურკი 69), თუგაი, ჰაქან შუქური, ემრე ოქთაი (ჰასან ოზერი 46)
მაკედონია: ცილევსკი, სტავრევსკი, სტოიანოვსკი, გუზელოვი, ნიკოლოვსკი, მიტრესკი, სერაფიმოვსკი (ტრაიანოვი 72), ნაჩევსკი (ლაზარევსკი 48), შაკირი, ბექირი (ჰანდჟიევი 66), მ. კრსტევი
გაძევება: კრსტევი (48)
მსაჯი: პასკუალე როდომონტი (იტალია)
42 000 მაყურებელი

**სენსაციური** შედეგით დამთავრდა მატჩი ბურსაში თურქეთსა და მაკედონიას შორის. მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს ლამის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში კაცნაკლულ მეტოქეს და საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ. ამის უპირველესი მიზეზი ის გახლდათ, რომ თურქებმა საზიზღრად ითამაშეს დაცვაში და უკვე მე-20 წუთისთვის 0:2 აგებდნენ. 58-ე წუთზე, როდესაც ალფაიმ დუბლი გააზერხა და ანგარიში გაათანაბრა, ყველამ იფიქრა, რომ მასპინძლები სასურველი შედეგით დაამთავრებდნენ მატჩს, მაგრამ მეტოქის კარს მიმწყდარ თურქებს ნიკოლოვსკის გარღვევა გამოეპარათ და ისევ გასათანაბრებელი გაუხდათ ანგარიში — ალფაიმ დუბლი ჰეთ თრიქამდე გაზარდა. დარჩენილ დროში მასპინძლებს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ მთელი გუნდით დაცვაში ჩამჯდარ მაკედონიელებს შეცდომა ვერ დააშვებინეს. თურქები მეორე ადგილზე დარჩნენ სატურნირო ცხრილში და ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობას 5 სექტემბერს გადაწყვეტენ შვედებთან მატჩში.

**ბაატა ძვანტალიანი**

**შვედეთი 6:0 მოლდოვა**
1:0, 2:0, 3:0 ლარსონი (38პ, 58, 68პ), 4:0 ალექსანდერსონი (74), 5:0 დ. ანდერსონი (77), 6:0 ლარსონი (79პ)
შვედეთი: ჰედმანი, მელბერგი, პ. ანდერსონი, საარენპაა (კრისტოფერ ანდერსონი 34), ლუკიჩი, ლინდეროთი, ალექსანდერსონი, მაგნუს სვენსონი (მატიას სვენსონი 83), ა. სვენსონი (დ. ანდერსონი 71), ლარსონი, ოლბოკი
მოლდოვა: რომანენკო, კოვალენკო, რებეჯა (ოსიპენკო 63), ტესტიმიცანუ, კატინსუსი, სტროენკო, ებურიანუ, ობრია, პოგრებანი (ბარბუროში 46), გაიდამაშჩუკი, კლეშჩენკო (მიშკინი 78)
გაძევება: კოვალენკო (37)
მსაჯი: სტივენ დანი (ინგლისი)
30 233 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 13:1 | 17 |
| თურქეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:6 | 15 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 9:10 | 6 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | 4 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 2:13 | 3 |

V ჯგუფი

## ფეხბურთი და არაფეხბურთი

**ნორვეგია 1:1 ბელარუსი**
0:1 ბელკევიჩი (23), 1:1 კარეუ (80)
ნორვეგია: მირე, ბასმა (ასსი 90), ჰოფტუნი, ჰ. ბერგი, რისეტი, სტრანდი (ნევლანდი 69), ლეონარდსენი, ბაკე (რუდი 69), ტ. ანდერსენი, კარეუ, ფ. იონსენი
ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, ოსტროვსკი (ტარლოვსკი 85), ლუხვიჩი, შტანიუკი, გურენკო, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, შუნეიკო, ვასილიუკი (ხომუტოვსკი 81), მილევსკი (იასკოვიჩი 50)
გაძევება: ტუმილოვიჩი (81)
მსაჯი: მიროსლავ რადომანი (იუგოსლავია)
17 164 მაყურებელი

**გავიდა გოლი?** საწყენია, მაგრამ ჩათვლილს რომ მსაჯი აღარ გააუქმებს, პირში წყალი უნდა ჩაიგუბო. ეს დაავიწყდა ბელარუსთა მეკარე ტუმილოვიჩს, ეძგერა არბიტრს — კარეუმ წესები დაარღვიაო — და თავიც გააძევებინა. ამას დაუმატეთ, რომ მცველმა რახიმოვიჩმა ტურნირში მეორე გაფრთხილება მიიღო. მოკლედ, ორი ქულის დაკარგვასთან ერთად ბელარუსებმა პლეი ოფში მოსახვედრი გზაც მეტად გაიმრუდეს.

არადა, მე-80 წუთამდე ანუ იონ კარეუს ზუსტ თავურამდე, მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, ბურთი კი სწორედ მათ კარში გავიდა — ბელარუსული პრესის მიერ სომხებთან უგულო თამაშისთვის გაკრიტიკებულმა ვალენტინ ბელკევიჩმა 22 მეტრიდან უძლიერესად და უზუსტესად დაარტყა, ამან თამაშში გარდატეხა შეიტანა და ტაიმის ბოლომდე სტუმრებს ალარაფერი გამოსვლიათ. შესვენების შემდეგ ნორვეგია კვლავ მიაწვა. სტუმარ მცველებს და მეკარეს დიდი ჯაფა დაადგათ, ხშირად უბრალო მოგერიებასაც არ თაკილობდნენ და მაშინ, როცა ყველაფრის მიუხედავად, ჰორიზონტზე მნიშვნელოვანი სამი ქულა გამოიხატა, კარეუმ დაჰკრა და...

**სომხეთი 1:1 პოლონეთი**
0:1 კალუჟნი (4), 1:1 პეტროსიანი (11)
სომხეთი: აბრამიანი, სუკიასიანი, ხოვლიანი, ოვსეპიანი, ვარდანიანი (დემირჭიანი 41), ხაჩატრიანი, პეტროსიანი, ა. დოხოიანი (აკოფიანი 33; გევორქიანი 66), კ. დოხოიანი, სარქისიანი, ქარამიანი
პოლონეთი: დუდეკი, კუკიელკა, ა. ბაკი, მიხალ ჟევლაკოვი, კოზმინსკი (ცეცბელი 84), ჰაიტო, სვიერჩევსკი, ა. ბაკი, იუსკოვიაკი (მარჩინ ჟევლაკოვი 64), კალუჟნი (კრჟინოვეკი 36), კრიშალოვიჩი
გაძევება: სარქისიანი (58), კ. დოხოიანი (58), გევორქიანი (90), ა. ბაკი (90)
მსაჯი: ერიკ რომენი (ბელგია)
10 000 მაყურებელი

**„ეს მატჩი** სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ, რადგან ნამდვილ ფეხბურთთან მას საერთო არაფერი ჰქონდა" — თქვა მატჩის შემდეგ ეჟი ენგელმა.

მაინც რა მოხდა ასეთი, რომ შეხვედრა, სადაც პოლონელებმა უძვირფასესი ქულა მოიპოვეს, მათმა მწვრთნელმა მსწრაფლ ისტორიის სანაგვეზე მოისროლა? ოქმში ერთი თვალით ჩახედვითაც კარგად ჩანს, რაც — მატჩის მიწურულს სტუმრებს მოედანზე 10 კაცი შემორჩათ, მასპინძლებს კი მთლად 8! ზუსტად ამ მომენტში დაპირისპირებული მხარეები ტრიბუნაზეც ეკვეთნენ ერთმანეთს.

ერევანში გუშინწინ მართლაც ძალზე ცოტა ფეხბურთი იყო: ჯგუფის ლიდერებმა ანგარიში მეკარე აბრამიანის შეცდომის შედეგად გახსნეს, აუტსაიდერებმა კი (თუკი ამ ჯგუფში ასეთი არსებობს) წონასწორობა 7 წუთში აღადგინეს, როცა სომხეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა არტურ პეტროსიანმა სამსვლიანი კომბინაცია დაასრულა. ეს იყო და ეს — პირველ 11 წუთში მომხდარს მერე მხოლოდ ჩხუბი და აყალ-მაყალიღა დაემატა, ყველაფერი კი ბოლო წუთებში გუნდი-გუნდზე ჩხუბით დამთავრდა.

**უკრაინა 1:1 უელსი**
1:0 ზუბოვი (44), 1:1 პემბრიჯი (80)
უკრაინა: შოვკოვსკი (ლევიცკი 90), სტაროსტიაკი (ლუჟნი 46), პარფიონოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (ნესმაჩნი 46), ტიმოშჩუკი, ზუბოვი, ვორობეი, შევჩენკო, რებროვი
უელსი: პ. ჯოუნსი, მ. დილანი (ჯენკინსი 37), ბარნარდი, მელვილი, პეიჯი, პემბრიჯი, ს. დევისი, ნ. ბლეიქი (კუმასი 78), ჰარტსონი, სპიდი, გიგზი
მსაჯი: ჟოაკიმ გომეში (პორტუგალია)
33 000 მაყურებელი

**„უელსელებთან** უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე შაბათს ნორვეგიელებთან, თუმცა როცა ამდენ საგოლე მომენტს ვერ გამოიყენებ, გამარჯვება შეუძლებელია. მეორე გოლი რომ გაგვეტანა, ალბათ მოვიგებდით კიდეც. არ გამოვიდა, მაგრამ არა უშავს, ცხოვრება გრძელდება. აწი პლეი ოფში მოსახვედრად ვიბრძოლებთ" — მატჩისშემდგომი კომენტარი, როგორც ყოველთვის, ლობანოვსკის თანაშემწე ლეონიდ ბურიაკმა გააკეთა. სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა კი თავისი ბიჭები შეაქო, თუმცა სინანულით აღნიშნა, მოგება ხელიდან გავუშვითო.

მართლაც ასეთი მატჩი იყო — ორმხრივი შეტევებით და შესაძლებლობებით. ზუბოვის ზუსტი დარტყმა ევერტონელმა მარკ პემბრიჯმა დამთავრებამდე ათი წუთით ადრე გაქვითა, როცა შოვკოვსკის შორი გზიდან მოფრენილი ბურთი ხელებს შუა გაუძვრა. სამაგიეროდ, უკრაინელთა მეკარემ წამატებულ წუთებში რაიან გიგზის დარტყმული კარის ხაზიდან ფეხითღა მოიგერია.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| ბელარუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:7 | 12 |
| უკრაინა | 7 | 2 | 4 | 1 | 7:7 | 10 |
| უელსი | 7 | 0 | 5 | 2 | 7:9 | 5 |
| ნორვეგია | 7 | 0 | 4 | 3 | 5:8 | 4 |
| სომხეთი | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | 4 |



უკრაინა — უელსი. სტუმრებს ქულა მარკ პემბრიჯის გოლმა მოუტანა

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

VI ჯგუფი

## მოიგე? დაისვენე



სან მარინო — ბელგია.
მარკ ვილმოტსმა
მასპინძლები ორჯერ დაიღონა

**სან მარინო 1:4 ბელგია**

0:1 ვილმოტსი (10), 1:1 ა. სელვა (11), 1:2 ვერმეინი (60), 1:3 სონკი (68), 1:4 ვილმოტსი (89პ)
სან მარინო: ფ. გასპერონი, ალბანი (რ. სელვა 69), დელა ვალდა, ვაჩოკი, მარანი, ჟენარი, მუკიოლი, ვანუჩი, ძონძინი (უგოლინი 82), ა. სელვა, ბ. გასპერონი (ბული 74)
ბელგია: დე ფლიგერი, დეფლანდრე, ვალგაერენი, ვან მეირი, ვან კერკჰოვენი (ბოფინი 79), ვანდერეგე გოორი (ვერმანტი 76), ვალემი, ვერჰეინი, ბ. პეეტერსი (სონკი 52), ვილმოტსი
მსაჯი: ჰაიმ იაკობი (ისრაელი)
1 000 მაყურებელი

**მე-60** წუთამდე დაბა, სერა ვალეში, სადაც სან მარინოს ნაკრები მეტოქეებს მასპინძლობს, დიდი სენსაციის სუნი ტრიალებდა. ბელგიელები, ბოდიში სან მარინოს ნაკრების ქომაგებთან, მაგრამ მეთევზეებს, მუშებს და მისთანებს ვერ უგებდნენ. მარკ ვილმოტსმა მე-10 წუთზე გაიტანა გოლი, გაიხარეს ბელგიელებმა, მაგრამ...

ანდი სელვა, ეს სახელი ქომაგთ არაფერს ეუბნება, თავად ფეხბურთელი კი თავისი ქვეყნის ისტორიაში შევა, რადგან 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში სანმარინოელთა მესამე გოლი გაიტანა, ვილმოტსის გოლიდან ერთ წუთში.

თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე კი კლასმა, ცხადია, თავისი გააკეთა, ბელგიელთა თავკაცმა რობერ ვასეჟმაც გუშინწინდელი უსახური თამაში მომქანცველ სეზონს დააბრალა, ბიჭები გადაიღალნენ და ერთი სული ჰქონდათ, შვებულებაში როდის გავიდოდნენო.

ასეა, ზოგი უსახური მატჩებითაც იგებს.

**ლატვია 0:1 ხორვატია**

0:1 ბალაბანი (39)
ლატვია: კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი (მიხოლაპსი 70), ზემლინსკისი, ლაიზანსი, ბლაგონადეჟდინსი, ზაკრეშევსკისი, ბლეიდელისი (დობრეცოვსი 87), ისაკოვსი, რუბინსი (ვერპაკოვსკისი 61), შტოლცერსი
ხორვატია: პლეტიკოშა, სარიჩი, იარნი, ტომაში, ტუდორი, სიმიჩი, რაპაიჩი (ვუგრინეცი 74), პროსინეჩკი, შუკერი, ნ. კოვაჩი (აჯიჩი 89), ბალაბანი (ვლაოვიჩი 64)
გაძევება: შტოლცერსი (73)
მსაჯი: ჯონ მაკდერმოტი (ირლანდია)
5 000 მაყურებელი

**მართალია,** ხორვატებმა რიგაში ბოშკო ბალაბანის გოლით ლატვიელებს მოუგეს, მაგრამ თამაშის ბოლოსკენ ათი კაცით დარჩენილმა მასპინძლებმა ბალკანელებს კინაღამ ქულა გამოსტყუეს.

— ვიცოდით, ძნელი თამაში გველოდა და ასეც მოხდა. მატჩამდე პრობლემები გვქონდა, ძირითადის ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა. ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ, დასახული მიზანი — სამი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ შესრულება არ გვივარგოდა — განაცხადა ნამატჩევს პრესკონფერენციაზე ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა მირკო იოზიჩმა.

ლატვიელთა თავკაც ალექსანდრ სტარკოვს კი დანა პირს არ უხსნიდა, მას ხომ დღესდღეობით საუკეთესო ლატვიელი მარიანს პახარსი ეკლდა. იგი დისკვალიფიცირებული გახლდათ. სტარკოვს უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად ჰქონდა, მეორე ტაიმში იმანტას ბლეიდელისმა, ალექსანდრს ისაკოვსმა და ბოლოს იურის დაიზანსმა ისეთი მომენტები გააცუდეს, გატანა უფრო ადვილი იქნებოდა.

რაც შეეხება გოლს, მაშინ გავიდა, როცა პირველი ტაიმის დასრულებას ექვსი წუთი უკლდა, ზაგრების დინამოელმა ბოშკო ბალაბანმა თურქულ „ფენერბაჰჩეში“ მოთამაშე მილან რაპაიჩის უნაკლო პასს ასევე უნაკლო თავური მიაყოლა.

გიორგი მუზაკიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 2 | 0 | 23:5 | 14 |
| ხორვატია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 11 |
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ლატვია | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 |
| სან მარინო | 7 | 0 | 1 | 6 | 3:26 | 1 |

IX ჯგუფი

## დაბოლილებმა მოიგეს



საბერძნეთი — ინგლისი.
სტუმარმა სტივენ ჯერარდმა გიორგის კარაგუნისი დაიჩოქა

**საბერძნეთი 0:2 ინგლისი**

0:1 სქოულზი (64), 0:2 ბექჰემი (87)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (იანაკოპულოსი 71), ფისასი, დაბიზასი, უზუნიდისი, გუმასი, ბასინასი, ზაგორაკისი, მახლასი (ალექსანდრისი 65), კარაგუნისი (ლიბეროპულოსი 25), ვრიზასი
ინგლისი: სიმენი, ფ. ნევილი, კოული, რ. ფერდინანდი, ეშლი კოული, ბექჰემი, სქოულზი (ბატი 88), ჯერარდი, ჰესკი (მაკმანამანი 76), ოუენი, ფაულერი (სმიტი 80)
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
46 000 მაყურებელი

**პოლ სქოულზის** ბრწყინვალე გოლმა და დევიდ ბექჰემის კიდევ უფრო უკეთესმა საჯარიმომ ინგლისს ათენში სამი ქულა მოაპოვებინა. კაცი ვარო, სვენ გორან ერიკსონმა უნდა თქვას — ნაკრებში მეხუთე მატჩი ჩაატარა და ხუთივე მოიგო. „საბერძნეთში გამარჯვება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — თქვა შვედმა — ბერძნები ხომ სხვებზე მეტად იყენებენ საკუთარი კედლების უპირატესობას. თამაშის ხარისხითაც ძალიან კმაყოფილი დავრჩი, პირველ ტაიმშიც კი, გოლი ვერ გავიტანეთ, მაგრამ რამდენიმე სახიფათო მომენტი შევქმენით. მე უკვე გერმანიასთან მატჩზე ვფიქრობ. თუმცა პროგნოზს ვერ გავაკეთებ — ყველანაირი შედეგი მოსალოდნელია“.

უფრო თამამი განცხადება გააკეთა დევიდ ბექჰემმა: „თუ გერმანიასთან ისევე ვითამაშებთ, როგორც დღეს, გამარჯვება და პირველ ადგილზე გასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს“.

ბოლოს დავუმატებთ, რომ ინგლისელმა ფანებმა ათენშიც აურიეს და პოლიციამ ცხრა მათგანი დააკავა. ამასთანავე, 70 ინგლისელი სტადიონის შესასვლელიდან უკან გააბრუნეს, დაბოლილ ხალხს მატჩზე არაფერი ესაქმებაო.

**ალბანეთი 0:2 გერმანია**

0:1 რემერი (28), 0:2 ბალაკი (68)
ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, ჩიპი, ჯუმშა (ბელაი 46), რ. ვატა, ჰასი (მჯელა 62), ა. ჰაჯი (მუკა 81), ბუში, მურატი, ფ. ვატა, ტარე
გერმანია: კანი, რემერი, ციგე, ლინკე, ნოვოტნი, რამელო, ასამოა (რიკენი 70), ბალაკი, იანკერი, დაისლერი (ფ. ბაუმანი 84), ნოივილი (ციკლერი 46)
გაძევება: მურატი (34), რამელო (34)
მსაჯი: ჟოლ ვესიე (საფრანგეთი)
22 000 მაყურებელი

**„ჩვენებმა** ცუდად ითამაშეს — წერდა მეორე დღეს „ბილდი“ — მაგრამ ჩვენ მოვიგეთ და მთავარი ესაა“. კორეა-იაპონიის კარი ფართოდ გავაღეთ“ — ეს „ოსნაბრუკერ ზაიტუნგში“ წერია.

უშედავათო მატჩში გერმანიას გამარჯვება მარკო რემერისა და მიხაელ ბალაკის გოლებმა მოუტანა, თამაში კი ორივე გუნდმა ათი კაცით დაასრულა — მსაჯმა კარსტენ რამელო და ედვინ მურატი გააძევა.

მატჩი დაძაბული რომ გამოდგა, გასაკვირი სულაც არაა, თუ ამათ ურთიერთშეხვედრებს გავიხსენებთ, მუდამ ისე თამაშობენ, როგორც საქართველო და იტალია. ანუ გერმანელთათვის ალბანეთი ისეთივე უხერხული მეტოქეა, როგორც იტალიისთვის საქართველო. თუმცა თავისთავად არც ალბანეთი წარმოადგენს რამეს და არც ჩვენი ნაკრები.

თავში გერმანული პრესის ალტაცებული გამონათქვამები რომ მოვიყვანეთ, რუდი ფიოლერი ცოტა სხვაგვარად ფიქრობს: „ცხადია, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების საუკეთესო შანსი გვაქვს, მაგრამ სულაც არა მგონია, რომ საქმე უკვე გავაკეთეთ“.

გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13:5 | 16 |
| ინგლისი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| საბერძნეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:10 | 6 |
| ფინეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:10 | 3 |

24 საათის ინფორმაცია განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

VII ჯგუფი

## ისრაელში ისევ გაიცინეს



ისრაელი — ესპანეთი. ხაგი მორენომ (№9) მასპინძლები გააწვალა, მაგრამ ვერ გაუტანა

**ისრაელი 1:1 ესპანეთი**

1:0 რევივო (4), 1:1 რაული (63)
ისრაელი: დავიდოვიჩი (ავატი 46), ბრუმერი, ტალქარი, ბენადო, გერშონი, კეისი, ზეიტუნი, რევივო (ბანინი 70), ნიმნი, ბერკოვიჩი (ბენაიონი 87), ტალი
ესპანეთი: კანისარესი, მანუელ პაბლო, სერხი, გვარდიოლა (დიეგო ტრისტანი 60), ნადალი, იერო, ლუის ენრიკე (მუიოლი 83), ბარახა, ვალერონი (ელგერა 76), რაული, ხავი მორენო
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
25 000 მაყურებელი

**მატჩში,** ცხადია, ფავორიტად ესპანელები ითვლებოდნენ. თუმცა თამაშის დასაწყისი მათ კარგს არაფერს უქადდათ. მასპინძლებმა შეუტიეს და პირველივე წუთებზე იხეირეს. ბერკოვიჩ-რევივოს კომბინაციით გატანილმა გოლმა და ქომაგთა მხარაჭერამ ისრაელელებს ფრთები შეასხა და ისინი რამდენიმე წუთის შემდეგაც ახლოს იყვნენ მიზანთან. ეიალ ბერკოვიჩის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე კი ავი ნიმნიმ ვერ ივარგა. მაგრამ ეს იყო და ეს, მასპინძლებმა მეტი ველარ შეძლეს. ესპანელებმა თამაში დაალაგეს. ვერ ვიტყვით, რომ მათ ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ მასპინძლები ძალიან იშვიათად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე. ესპანელთა ზეწოლამ შედეგი გამოიღო, რაულმა თავისი ბომბარდირული ნიჭი გამოავლინა და ანგარიშიც გათანაბრდა.

მატჩი ამის შემდეგაც სტუმართა კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა.

კმაყოფილნი დარჩნენ მასპინძლები. ისრაელის ეროვნულ გუნდს მცირედი შანსი გაუჩნდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლისა. ხარობდნენ მათი მწვრთნელი დანიელი ნილსენი და თელ ავივის სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრებიც: „ვამაყობ, რომ ჩვენი ქომაგების სახეებზე კვლავ ვხედავ ღიმილს. ნაკრები ვაჟკაცურად გაუმკლავდა ძლიერ მეტოქეს. მადლობა გულშემატკივარს თანადგომისთვის — განაცხადა ისრაელის ნაკრების თავკაცმა რიქარდ მიოლერ ნილსენმა.

ნილსენისგან განსხვავებით, ნაღვლიანი ჩანდა ხოსე ანტონიო კამაჩო. ესპანელთა მწვრთნელი მატჩის შედეგს პირველ წუთებზე შეგირდების უგერგილო თამაშს მიაწერს: „ისრაელმა წარმატებას ჩვენი უჯიგრობის წყალობით მიაღწია და შეხვედრის დასაწყისშივე გაგვიტანა, შემდეგ კი დაცვაში ჩადგა. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ერთი გოლზე მეტი ვერ გავიტანეთ. თუმცა, ისევ პირველ ადგილზე ვართ და მდევარ ავსტრიელებსაც შინ ვხვდებით“.

გიორგი მამარდაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:4 | 14 |
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ბოსნია | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:16 | 0 |

# ბარსელონა გაძუნწებულა

## აღარც კუპერი, არც ლიპი, არამედ...



კარლოს რექსაჩი



კარლოს პარედესი (მარცხნივ)

„ბარსელონას“ მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა კარლოს რექსაჩმა განაცხადა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს, მაგრამ არ ჩქარობს, რადგან გასამრჯელო ეცოტავება. ამ ცნობიდან ჩანს, რომ კლუბს სხვა მწვრთნელის ძებნისთვის თავი დაუნებებია. თავდაპირველად „ბარსელონას“ უფროსობას რექსაჩის დატოვება მომავალი სეზონისთვის არ სურდა, მაგრამ „კამპ ნოუზე“ უფრო სახელოვანი კანდიდატის ჩაყვანას საშველი არ დაადგა.

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და რექსაჩმა კლუბს თავისი პირობები წაუყენა. შეგახსენებთ, რომ მან კატალონიური სუპერკლუბი აპრილში ლორენს სერა ფერერის წასვლის შემდეგ ჩაიბარა.



გაბრი

ასევე ფინანსურ უთანხმოებათა გამო შესაძლოა, „ბარსელონა“ ახალგაზრდა ნახევარმცველმა გაბრიმ დატოვოს. ფეხბურთელის აგენტმა გუნდის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ მისი კლიენტით ბევრი ევროპული სუპერკლუბია დაინტერესებული და ფეხბურთელს ნებისმიერში გადასვლა შეუძლია. გაბრის თურმე ძალიან სურს „კამპ ნოუზე“ დარჩენა, მაგრამ, აგენტის თქმით, „ბარსელონა“ ფეხბურთელს სასაცილო ხელფასს უხდის. გაბრი ყველაზე დაბალხელფასიანი მოთამაშეაო — აღნიშნა აგენტმა.

გაბრის კონტრაქტის გამოსყიდვის ღირებულება 15 მილიონი დოლარია, კონტრაქტს ვადა კი ორ წელიწადში მთავრდება.

„ბარსელონაში“ მატებაცაა. „პორტუს“ 24 წლის ნახევარმცველი კარლოს პარედესი კატალონიაში გადადის, ორივე მხარე უკვე შეთანხმდა კონტრაქტის პირობებზე და ფეხბურთელი ძველ კლუბს ოფიციალურად კვირას დატოვებს, პორტუგალიის თასის ფინალში „პორტუსა“ — „მარიტიმუს“ მატჩის შემდეგ.

პარედესი პორტუგალიაში პარაგვაული „ოლიმპიიდან“ ჩავიდა. მისი ღირსება სტაბილურობა და შესაძლებლობების მინდორზე კეთილსინდისიერად გამოყენებაა. ამიტომ „ბარსელონას“ შეფები ახალ შენაძენს დიდი იმედით უყურებენ.

**ლუკა გეგეჭკორი**

# ჯენტლმენი ბილი

## ალესანდრო კოსტაკურტას გულმა გული აჩუქა

**მილანში** ასეთი გამოკითხვა ყოველწლიურად ტარდება. სეზონის ბოლოს, სასტუმრო „მარიოტში“ „მილანის“ ტიფოზები იკრიბებიან და, გამოკითხვასაც აწყობენ — „მილანის“ რომელი ფეხბურთელია წლის „სან სიროს“ ჯენტლმენი“.

ნომინაციაში კაპიტანი პაოლო მალდინი, ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი და მცველი ალესანდრო კოსტაკურტა მოხვდნენ.

ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ გამარჯვებაც ცნობილი ფოტომოდელის, მარტინა კოლომბარის ბოიფრენდ ალესანდრო „ბილი“ კოსტაკურტას ერგო.

„დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემი შრომა დააფასა, თუმცა დაბეჯითებით ვაცხადებ, ამ წოდებას მალდინიც და ალბერტინიც არანაკლებ იმსახურებდნენ. „მილანში“ თამაში ერთი სიამოვნებაა, „სან სირო“ ჩემი გულია“ — განაცხადა ჯენტლმენმა კოსტაკურტამ.

„მილანის“ მეხუთე ნომერმა სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა: „ახალი სეზონისთვის აქედანვე ვემზადები. მიზანი სკუდეტოს მოგებაა. თუ ინძაგი და ტურამი მართლაც დაგვემატნენ, ძალიან გავძლიერდებით“.

**გიორგი ჯუჯაძე**

## ბრაზილია

**თასის 1/2 ფინალი. II მატჩები**

**კორინთიანსი — პონტე პრეტა 3:0 (2:0); კურიტიბა — გრემიო 0:1 (1:3)**


### იყიდება როტვეილერის ლეკვები



☎ 39 42 65

(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)


# კონფედერაციათა თასი

## ნახევარფინალი

### იაპონია 1:0 ავსტრალია

1:0 ჰ. ნაკატა (43)

**იაპონია:** კავაგუჩი, მატსუდა, მორიოკა (უემურა 22), ინამოტო, კ. ნაკატა, ტოდა, ჰატო, ჰ. ნაკატა, ნიშიზავა (მორიშიმა 80), ონო (მატორი 55), სუძუკი

**მწვრთნელი:** ფილიპ ტრუსიე

**ავსტრალია:** შვარცერი, მუსკატი, კ. მური, ოკონი, ტ. ვიდმარი, პოპოვიჩი, ლაზარიდისი, ზდრილიჩი (ა. ტომპსონი 71), ბრეშიანო (სტერიოვსკი 60), კორიცა, ჩიპერფილდი (ალოიზი 60)

**მწვრთნელი:** ფრენკ ფარინა

**გაძევება:** სუძუკი (55), მური (88)

**მსაჯი:** ბენიტო ტელიესი (მექსიკა)

47 525 მაყურებელი

### საფრანგეთი 2:1 ბრაზილია

1:0 პირესი (7), 1:1 რამონი (30), 2:1 დესაი (54)

**საფრანგეთი:** რამე, სანიოლი, დესაი, ლებეფი, ლიზარაზუ, ვიეირა, კარამბუ, პირესი, ჟორკაეფი (კარიერი 61), ანელკა, ვილტორდი (რობერი 87)

**მწვრთნელი:** როჟე ლემერი

**ბრაზილია:** დიდა, ზე მარია, ლუსიო, ედმილსონი, ლეო, ლეომარი, ფაბიო, რამონი, ლეანდრო (ჟამპეტა 57), კარლოს მიგელი (რობერტი 69), ვაშინგტონი

**მწვრთნელი:** ემერსონ ლეაო

**მსაჯი:** ჯამალ ღანდური (ეგვიპტე)

34 527 მაყურებელი

**იოკოჰამაში** თავსხმა წვიმის მიუხედავად, იაპონია — ავსტრალიის ნახევარფინალურ მატჩზე ორმოცდაშვიდი ათასმა ქომაგმა მოიყარა თავი. არც შემცდარან — ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნული გუნდი კონფედერაციათა თასის ფინალში გავიდა.

იაპონელებს ფინალის საგზური პირველი ტაიმის მიწურულს იტალიურ „რომაში“ მოთამაშე ჰიდეტოში ნაკატას გოლმა მოუტანა. მასპინძელთა კაპიტანმა საჯარიმოთი გახსნა ანგარიში. ჯარიმა პოპოვიჩმა „აიკიდა“. მან საჯარიმო ხაზთან ახლოს სუზუკი მოცელა. ჰიდეტოში ნაკატამ დაბალი ბურთი კედელში გააძვრინა. ავსტრალიელთა კარის დარაჯი შვარცერი თითქოს უნდა მისწვდომოდა ბურთს, მაგრამ ნაკატას დარტყმული ერთ-ერთ მცველს ფეხზე მოხვდა და კარის ბადეშიც გაეხვა.

ავსტრალიელებმა გაშვებულ გოლს მძაფრი, მაგრამ არეული შეტევები მოაყოლეს. კარის აღების რამდენიმე შანსი მათ გოლამდეც ჰქონდათ და გოლის შემდეგაც, მაგრამ კავაბუჩის ოსტატობის წყალობით იაპონელთა კარი შეუბილწავი დარჩა.

მატჩის მიწურულს თამაში ხისტი გახდა და არბიტრის ჯერიც დადგა: მექსიკელმა ბენიტო არჩუნდია ტელიესმა სუზუკი მინდორს მიღმა გაისტუმრა. იაპონელი პოპოვიჩთან უხეშობის გამო დაისაჯა, ვისაც პირველ ნახევარში გოლად გარდასახული ჯარიმა დასტყუა.

თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სუზუკის კვალს კრეგ მური გაუყენეს, თუმცა მისთვის ეს არცთუ ისე ბევრს ნიშნავს. აი, სუზუკი კი ფინალურ შეხვედრას გამოტოვებს. იაპონელები ფინალში კაპიტანსაც მოისაკლისებენ. ჰიდეტოში ნაკატას გადაწყვეტილი აქვს, ეროვნულ გუნდს უგანოს და „რომას“ სკუდეტოსთვის გაჩაღებულ ბრძოლაში შეეწიოს.

იაპონელთა მეტოქე იოკოჰამაში გამართული მატჩის შემდეგ რამდენიმე საათში გაირკვა. მასპინძლები ფინალში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფრანგებს დაუპირისპირდებიან. ფრანგებმა ნახევარფინალში ბრაზილიელებს სძლიეს. მსოფლიოს ჩემპიონები ადრიანად დაწინაურდნენ. რობერ პირესმა თვრამეტი მეტრიდან ჯანიანად მოიქნია და მილანელ დიდას შანსი არ დაუტოვა. ასევე ლამაზი გამოდგა გოლი, რომლითაც რამონმა ფრანგებს გაუთანაბრა. მან საჯარიმოდან ოსტატურად გაახვია ბურთი მეტოქის კარში. ტაიმი ფრედ დასრულდა. მეორე ნახევარიც დაძაბული გამოდგა. ფრანგებმა რამდენიმე საგოლე მომენტით ვერ იხეირეს.

გადამწყვეტი გოლი ვეტერანთა კომბინაციას მოჰყვა. იური ჯორკაეფის საჯარიმოდან მოწოდებულ მაღალ ბურთს მარსელ დესაიმ თავი მარჯვედ დაჰკრა, მეკარე დიდა არც განძრეულა და ბურთიც ფრანგთათვის სასურველ ალაგას მოთავსდა.

ბრაზილიელები შაბათს ავსტრალიელებს მესამე ადგილს შეეცილებიან, ხოლო შეჯიბრების თანამასპინძელი იაპონიის ნაკრები კონფედერაციათა თასის ფინალურ მატჩს კვირას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფრანგებთან გამართავს.

**გიორგი მამარდაშვილი**



საფრანგეთი — ბრაზილია. კრისტიან კარემბეუმ ლეო (№16) დასცა

REUTERS სურათი

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 9 ივნისი. ბაქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზერბაიჯანი — საქართველო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფუად ნიფთალიევი | უკანა ხაზი | აზანსი | 1980 | 182 |
| ზაურ ფაშაევი | უკანა ხაზი | აზანსი | 1983 | 180 |
| ელშან იუსუფოვი | უკანა ხაზი | დასავლ. უნივერსიტეტი | 1971 | 190 |
| ვაგიფ ჰაჯიმეტოვი | უკანა ხაზი | აზანსი | 1963 | 183 |
| ანტონ ბელოუსოვი | ფორვარდი | აზანსი | 1982 | 193 |
| მეჰრან ჰამიდ-ზადე | ფორვარდი | ასკ | 1979 | 195 |
| ემინ ისქენდეროვი | ფორვარდი | დასავლ. უნივერსიტეტი | 1980 | 196 |
| ანარ სარიევი | ფორვარდი | ხაზარი | 1981 | 196 |
| თაირ ბახშიევი | ცენტრი | აზანსი | 1982 | 198 |
| რუსლან ჰუსეინოვი | ცენტრი | დასავლ. უნივერსიტეტი | 1970 | 203 |

მთავარი მწვრთნელი: თიმურ ჰუსეინოვი
მწვრთნელი: ვლადიმირ სოროკინი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არჩილ ქლენტი | უკანა ხაზი | აზოტი | 1975 | 185 |
| რამაზ გოგობერიშვილი | უკანა ხაზი | აზოტი | 1974 | 195 |
| რევაზ ჩხეიძე | უკანა ხაზი | ოდესა (უკრაინა) | 1973 | 198 |
| დავით თორთლაძე | უკანა ხაზი | დინამო | 1970 | 185 |
| ვლადიმერ ბოისა | ფორვარდი | სლოვანი (სლოვენია) | 1981 | 205 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | ფორვარდი | ბასკო | 1976 | 205 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ფორვარდი | სლოვანი (სლოვენია) | 1983 | 210 |
| დავით უგრეხელიძე | ცენტრი | სლოვანი (სლოვენია) | 1983 | 208 |
| დავით ბერძენიშვილი | ცენტრი | ლევიცე (სლოვაკეთი) | 1976 | 208 |
| კახა შენგელია | ცენტრი | აზოტი | 1972 | 206 |

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ტომარაძე
მწვრთნელი: ნუგზარ კანდელაკი

## რად გვინდა აზერბაიჯანთან ფაჩუნდია?

დღეს საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები აზერბაიჯანში გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი წრის ბოლო მატჩს გამართავს ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან. ჩვენი ნაკრები ბაქოს ცენტრში მდებარე სასტუმრო „აფშერონში" დაბინავდება, თამაშს კი შორიახლო მდებარე საკალათბურთო დარბაზში გამართავს. წინა ტურებში ჩვენგან ძლეულმა ბელარუსმა და ბულგარეთმა თითო-თითო კარგი საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს აზერბაიჯანის გუნდს და თუ ჩვენმა ნაკრებმაც მოახერხა მისი ძლევა, რაშიც ეჭვი არავის ეპარება, მეორე წრეს, რომელიც აგვისტოს მიწურულიდან დაიწყება, ჯგუფის ლიდერის რანგში შეხვდება.

გამგზავრებამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს მომავალ თამაშებთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— რა იცით მოწინააღმდეგე ნაკრების შესახებ?**

— მე ვიდეოფირზე ვნახე აზერბაიჯანელთა თამაში ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ. მართალი გითხრათ, რაიმე დასკვნების გამოტანა გამიჭირდა, რადგან ბელარუსთა გუნდი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ათი თავით მაღლა იდგა მათზე. აზერბაიჯანელებმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს და 71 ქულით დამარცხდნენ. მათი კალათბურთელები სიმაღლითა და დიდი ოსტატობით არ გამოირჩევიან. ისინი ჩვენი ჯგუფის აშკარა აუტსაიდერები არიან. მიუხედავად ამისა, ჩვენ დიდი სერიოზულობით ვეკიდებით მათთან შეხვედრას. აზერბაიჯანელები მასპინძლები არიან და ყველანაირად ეცდებიან წარმატების მიღწევას, მაგრამ არა მგონია, მათ ეს მოახერხონ, თუმც დარწმუნებული ვარ, არაფერს დათმობენ. ჩვენ ჩვენი მხრივ მათთან შეხვედრაშიც ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ჯგუფის ლიდერები ვართ.

**— გუნდში რაიმე ცვლილებები ხომ არ არის?**

— ზაზა ფახულიას გუნდი, „ულქერი" თურქეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში გავიდა და ძალიან მნიშვნელოვანი თამაშები აქვთ ჩასატარებელი. მისი გუნდის ხელმძღვანელობამ მთხოვა, ზაზა ბელარუსის ნაკრებთან თამაშის შემდეგ გაათავისუფლეთ, აზერბიჯანი ხომ არ არის იმ დონის გუნდი, მასთან რაიმე პრობლემა შეგექმნათო. ჩვენც დავთანხმდით. ზაზა ბაქოში ვერ დაგვეხმარება. მას დავით ბერძენიშვილი შეცვლის. ბელარუსთა წინააღმდეგ ნათამაშევ შემადგენლობაში კიდევ ერთი ცვლილებაა: ნუგზარ კოკოლიშვილის ნაცვლად აზერბაიჯანში დავით თორთლაძე წამოვა, რადგან მინდა, მომავალ მატჩში რაც შეიძლება მეტმა უკანახაზელმა მიიღოს მონაწილეობა, რაც მათი თამაშის დახვეწას შეუწყობს ხელს. გვინდოდა, ამ მატჩში ახალგზრდები გამოგვეცადა — მანუჩარ მარკოიშვილი და გიორგი მარხვაშვილი, მაგრამ ეს ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. მაქსიმალურად ვეცდებით, აზერბაიჯანელებთან თამაში მომავალი გასვლითი მატჩებისთვის სწორი სტრატეგიის შესარჩევად გამოვიყენოთ.

**ირაკლი ბერტაია**


საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა დავით ბერძენიშვილი (მარცხნივ) და დავით თორთლაძე (ზის მარჯვნივ) სააზერბაიჯანოდ ნაკრებში დააბრუნეს

NBA. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 0 |
| ფილადელფია | 1 |

6 ივნისი

**ლეიკერსი 101:107 ფილადელფია**

(ძირითადი დრო 94:94)

**ლეიკერსი: ფიშერი, ბრაიანტი (15), ფოქსი (19), გრანტი (8), ონილი (44 ქულა, 20 მოხსნა); შოუ (7), ლუ (5 ქულა, 5 ჩაჭრა), ჰორი (3)**

**ფილადელფია: მაკკი (9 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), აივერსონი (48 ქულა, 5 ჩაჭრა), ჯონსი (4), ჰილი (4), მუტომბო (13 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება); სნოუ (13), გეიგერი (10), ბელი (6), მაკალოფი, ოლი**

## კერპთამსხვრევა

ექვს ივნისს „სტეიპლზ სენთერში" მეხი გავარდა, თან ისეთი მძლავრი, რომ მისი ხმა მთელ საკალათბურთო სამყაროში გაისმა. 2001 წლის ნბა-ს ფინალის გამოკვეთილმა ფავორიტმა, ყოვლისშემძლე და ყველასმძლეველმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა", ფინალური სერიის პირველი თამაში წააგო „ფილადელფიასთან", რომელსაც სპეციალისტები ფინალში 0:4 მარცხს უქადდნენ. ყველაზე ცუდ დროს დამთავრდა ლოსანჯელესელთა ზედიზედ გამარჯვებათა 19-მატჩა ტრიუმფალური სერია. ის, რაც ვერ შეძლეს დასავლელმა გრანდებმა — „პორტლენდმა", „საკრამენტომ" და „სან ანტონიომ", მოახერხა „ჭინკა" ალენ აივერსონის „სიქსერზმა", რომლის გულშემატკივრები იმითაც კმაყოფილნი იქნებოდნენ, „ფილადელფიას" შუა სერიაში თუნდაც ერთი გამარჯვება რომ გამოერია. ახლა კი მრისხანე „ლეიკერსი" პირველივე თამაშშია დამარცხებული, ამასთან საკუთარ კედლებში და ქომაგთა გარემოცვაში. ყველაფერი აირია. ჟურნალისტები „ლეიკერსს" ისტორიაში ოქროს ასოებით მოხვედრას ჰპირდებოდნენ — შაკილ ონილი, კობი ბრაიანტი და სხვები პირველები იქნებიან, ჩემპიონის თასს პლეი ოფში თამაშის წაუგებლად რომ ზეალმართავენო, ახლა კი აღარც „ლეიკერსის" ზედიზედ მეორე ჩემპიონობას აქვს ბეჭედი დასმული.


ალენ აივერსონმა შაკილ ონილსაც ჩაუგდო

„ჩვენ ხომ ამდენი კარგი სპეციალისტი გვყავს, რომლებიც წინასწარ ხვდებიან ყველაფერს... ჰმ, მგონი, ბევრი მათგანი საკუთარ სიცოცხლეზე დაენაძლევებოდა, რომ ეგენი (ლოსანჯელესელები) 4:0 მოგვიგებდნენ, არა? მე ბედნიერი ვარ, რომ მათ ეს არ გააკეთეს, რადგან... ასეთ შემთხვევაში სიცოცხლესთან გამოთხოვება მოუწევდათ — ალენ აივერსონის ეს რეპლიკა გვარიანად ემწარათ მისი გუნდის განადგურების მოწინასწარმეტყველე ექსპერტებს და ჟურნალისტებს — რეალურად მხოლოდ კალათბურთელები ხვდებიან თამაშის მსვლელობისას როგორ შეიძლება დამთავრდეს მატჩი. ყოველგვარი წინასწარი პროგნოზი სისულელეა. როგორ მოვიგეთ? უფრო მოვინდომეთ, თამაშში გული ჩავდეთ, რაც ასეთ მატჩებში უმნიშვნელოვანესია, აქ ნიჭი მეორეხარისხოვანია. მოვიგეთ იმიტომ, რომ სხვებს არ ვგავართ და „ლეიკერსთან" ხუთქულიანი ჩამორჩენით არ გვიჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ვაგრძელებთ თამაშს და ბოლომდე ვიხარჯებით, რათა ძილის წინ სარკეში ჩახედვისას არ შეგვრცხვეს".

აივერსონს სრული უფლება აქვს, კალათბურთის ექსპერტებს „ტკბილი" სიტყვები უთხრას. შესანიშნავად ითამაშა მასპინძელთა გოლიათმა ცენტრმა შაკილ ონილმა და ყულაბაში 44 ქულა და ოცი მოხსნა მოაგროვა, თუმც მისი შრომა-გარჯა სად მივა 183-სანტიმეტრიანი ფილადელფიელის მიერ დაღვრილ ოფლთან, რომელსაც კუდუსუნის, იდაყვის, ცერის, მენჯის, მკერდისა თუ სხეულის სხვა ნაწილების მსხვილმან-წვრილმანი ტრავმები აწუხებს და ამასთან, რაც პლეი ოფი დაიწყო, ხეირიანად არც დაუსვენია. ლოს ანჯელესში 6 ივნისს მან ყველაფრის მიუხედავად, იმდენი იშრომა, სხვას იქნებ ერთი კვირაც ეყოს. „მთელი ცხოვრება ველოდი ამას. ტრავმებზე და დაღლილობაზე სულაც არ ვფიქრობ. დაღლილობა ცუდი გასამართლებელი საბუთია" — ამბობდა აივერსონი ნამატჩევს. ცუდმა ფიზიკურმა კონდიციებმა ფილადელფიელს ხელი ვერ შეუშალა, 48 ქულა ჩაეგდო მასპინძლებისთვის, მან ზედიზედ მესამედ გადააბიჯა 40-ქულიან ზღვარს.

ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ ალენ აივერსონმა ამჯერად აშკარად მოუგო დუელი კობი ბრაიანტს, რომელიც იმ დღეს 15 ქულას დასჯერდა. ისე კი კობის ცუდ თამაშში აივერსონის ხელი ნაკლებად ურევია. „ლეიკერსის" სუპერყმაწვილს ძირითადად ერიკ სნოუ იყვანდა, რომელსაც აარონ მაკკი და რაჯა ბელი ენაცვლებოდნენ. ბრაიანტმა საზიზღრად ითამაშა, აშკარად დაალალატა თავისიანები, 22 სროლიდან ოდენ შვიდი ჩააგდო, ხოლო როდესაც მეტოქეს დიკემბე მუტომბოს დარი მომხსნელი ჰყავს, ამდენი გაფუჭებული სროლა დიდი ფორაა მისთვის. გარდა ამისა, კობიმ ექვსჯერ, სულ მისმა გუნდმა კი 19-ჯერ დაკარგა ბურთი, რაც „ფილადელფიამ" 25 ქულად აქცია. „ლეიკერსის" ქომაგებს, რომელთა რიგებში ბევრ სახელოვან გვამს გადააწყდებით, იმედი აქვთ, რომ შემდეგ მატჩებში კობი ათამაშდება და აივერსონს სალაპარაკოს დაუხშობს.

თავად მატჩი „ფილადელფიას" 5:2 დაწინაურებით დაიწყო, ხოლო როცა თამაში გახურდა და ლოსანჯელესური მანქანა ჩვეულად ამუშავდა, მეოთხედის შუაწელში ტაბლოზე 18:5 ანგარიში აკიაფდა. „ლეიკერსმა" ზედიზედ 16 ქულა გააკეთა და შეიქმნა შთაბეჭდილება, თამაში ისე ჩამთავრდებოდა, შაკილ ონილს ვერავინ გააჩერებდა, „ლეიკერსიც" პირველივე ტაიმში გაინაღდებდა გამარჯვებას. თუმც არა, სტუმრები სწრაფად გამოფხიზლდნენ. ათამაშდა აივერსონი და მიუხედავად იმისა, რომ მას პირველივე მეოთხედში ორჯერ დაუფარა კობი ბრაიანტმა, ფილადელფიელმა ჩვეული „სითავხედით" ითარეშა როგორც ფარსგარეთ, ისე ფარქვეშეთშიც, სადაც თავს ბატონად გრძნობდა მუტომბოს შემზღუდავი შაკილ ონილი. „ფილადელფიამ" მეოთხედის დარჩენილი დრო 17:5 მოიგო, მეორეში კი 34:27 იმარჯვა და შესვენებაზე ექვსქულიანი უპირატესობით წავიდა. „ლეიკერსის" იოლ გამარჯვებებს ნაჩვევი ლოსანჯელესური ელიტარული აუდიტორიისთვის ეს უკვე სიახლე იყო. გადაჭედილი დარბაზი პირველ წუთებზე თავისი კერპისგან „სიქსერზის" 4:0 განადგურებას ითხოვდა, რაც სიჩუმემ, შეხვედრის ბოლო წუთებზე კი სასოწარკვეთილმა ამოძახილებმა შეცვალა.

პირველ ტაიმში 30 ქულის ჩამგდები აივერსონი, მეორეში ოდნავ მოლილად გამოიყურებოდა, თუმც ის და მისი თანამებრძოლები იმას კი ახერხებდნენ, თანაბრად ებრძოლათ მეტოქესთან. ლამის ქულა ქულაში წარმართული შეხვედრა, შემდეგ დამატებით დროში გადავიდა. თუმც „ფილადელფიას" ძირითადში გამარჯვებაც შეეძლო. სირენამდე 34 წამით ადრე უკვე 94:94 ანგარიშზე დიკემბე მუტომბომ ორი საჯარიმო ააცილა. აღსანიშნავია, რომ ფილადელფიელებს არც მანამდე და არც მერე საჯარიმო არ აუცილებიათ. მათ სულ 25-დან 23 ჩააგდეს.

ოვერტაიმის დასაწყისში მასპინძლები დაწინაურდნენ, თუმც აივერსონმა საქმე ბოლომდე მიიყვანა, ზედიზედ შვიდი ქულა მიითვალა და „ლეიკერსის" უძლეველობის მითიც დაამსხვრია.

სერიის მეორე თამაშსაც ლოს ანჯელესი უმასპინძლებს 8 ივნისს.

**ირაკლი ფირაშვილი**

საფრანგეთი

# 17-წლიანი ლოდინი გრძელდება?

**პლეი ოფი**

ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 1 |
| სტრასბური | 0 |

**ვილერბანი 94:70 სტრასბური**

| | |
|---|---|
| პო ორტეზი | 1 |
| ლე მანი | 0 |

**პო ორტეზი 82:74 ლე მანი**

ოთხშაბათს, ანუ იმ დღეს, როცა საქართველოს კალათბურთელებმა ბელორუსები დაამარცხეს, ფეხბურთის ნაკრები კი უნგრეთში გათახსირდა, საფრანგეთში ნახევარფინალები გაიმართა.

ორივე მატჩი ფავორიტთა წარმატებით დასრულდა. თუ „ვილერბანს“ მოსაგებად ოფლი წესიერად არც მოსდენია, „პო ორტეზმა“ უფრო იწვალა, მაგრამ მაინც მოიპოვა დაგეგმილი გამარჯვება. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ფინალშიც სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდება ერთამანეთს და პოელებს რევანშის მშვენიერი შესაძლებლობა მიეცემათ, რევანში კი მათ კვირას საფრანგეთის თასის ფინალში შერცხვენისათვის (74:99) უნდა აიღონ.

„სტრასბურთან“ მასპინძლები მთელი შეხვედრის მანძილზე აკონტროლებდნენ სიტუაციას და მეტოქისთვის იმედი წამითაც არ მიუციათ. დასაწყისიდანვე ვილერბანელებმა ძალიან მაღალი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს და უკვე პირველი მეოთხედი მოიგეს 7 ქულის სხვაობით — 29:22. ამ ათწუთეულში მასპინძელთა მთავარი დამარტყმელი ძალა საფრანგეთის ნაკრების წევრი ლორან სკიარა იყო, რომელმაც 15 ქულას და ორ-ორ პასს, მოხსნასა და ჩაჭრას მოუყარა თავი.

დაცვაში კარგად მოთამაშე და შორი მანძილებიდან ტყორცნებისას საკმაოდ ზუსტი (11 სამქულიანი) „მწვანეები“ მეორე მეოთხედის შუაწელში იმდენად მოსწყდნენ (48:27) სტუმრებს, რომ მატჩის ბედი გადაწყვიტეს კიდეთ. მათ ტაიმი 57:40 მოიგეს.

შესვენების შემდეგ ვილერბანელები ოდნავ დამშვიდებულნი ჩანდნენ და ცოტა არასერიოზულადაც განაგრძეს თამაში. ისინი სულ სამქულიანებზე გადაერთვნენ, აქაოდა, რაც შეიძლება მეტი სხვაობით მოვიგოთო, მაგრამ კინაღამ დაისაჯნენ. 7 შორეული სროლიდან მასპინძლებმა ერთიც ვერ ჩააგდეს და 30-ე წუთისთვის აზასელებს ათ ქულამდე წამოწევის საშუალება მისცეს.

ამ დროს „ვილერბანის“ მთავარმა მწვრთნელმა გრეგბენიომ წუთშესვენება აიღო და მესამე-მეოთხე მეოთხედების მიჯნაზე მისმა შეგირდებმა მეტოქეს 16:2 აჯობეს (32-ე წუთზე 83:52), ამის მერე კი ყველა მატჩის ჩამთავრებაზედა ფიქრობდა.

პოში რეგულარული სეზონის ორი ყველაზე შედეგიანი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს, მაგრამ ამას ქულების წვიმა არ გამოუწვევია. შეხვედრამ მეტად ნერვიულ და დაძაბულ ატმოსფეროში ჩაიარა. მეტოქეები ძალიან ხშირად კარგავდნენ ბურთს, უხეიროდ ესროდნენ და ამიტომაც ტაიმი საკმაოდ პატარა ანგარიშით (34:32) დამთავრდა. წინ პოელები იყვნენ, რომელთაგან საუკეთესო ახალგაზრდა მიკაელ პიეტრუსი იყო.

ბეარნელთა რიგებში მცირეხნიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა რუმინელი გოლიათი გეორგე მურეშანი (231 სმ), რამაც მასპინძლებს ფარზე პატარა, მაგრამ მაინც უპირატესობა მოუპოვა. მათ ამით კარგად ისარგებლეს და 27-ე წუთისთვის 10 ქულითაც დაწინაურდნენ (52:42), თუმც ლემანელთა თითის სიგრძე გამთამაშებელმა როჯერსმა (161 სმ) თავისიანები ცოტა გამოაფხიზლა და მათაც ნელ-ნელა დაიწყეს ჩამორჩენის შემცირება. სტუმრები დასკვნითი მეოთხედის შუაში 4 ქულასღა (67:63) აგებდნენ. ამ დროს ისევ პიეტრუსმა იყოჩაღა და ესტელერთან ერთად „პო ორტეზს“ ამოსუნთქვის საშუალება მისცა — 76:67.

ასე რომ, „ლე მანმა“ საპასუხო თამაშში თუ არ გაიმარჯვა და გადამწყვეტი მატჩის გამართვის უფლება არ მოიპოვა, პოში წარმატების მისაღწევად 17-წლიანი ლოდინის გაგრძელება მოუწევს.

**გაგი გურული**

თურქეთი

**პლეი ოფი**

ფინალი (ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ულქერი | 2 |
| ეფესი | 2 |

**ეფესი 84:86 ულქერი**

ეფესი: მულაომეროვიჩი (19), ბიბო, ონანი (21), შჩეპანოვიჩი (10), თუნჩერი, ილმაზი (3), ბეშოქი (13), ოქური (2), დროზნიაკი (14), პეკერი (2)

ულქერი: ლოლისი (5), შენდლოგტენი (4), გოლიოვიჩი (21), ერდენაი (36), აჩიკი (10), გონლუმი, ილდირიმი (10), სარიჯა

იტალია

**პლეი ოფი**

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| სკავოლინი | 0 |
| ფორტიტუდო | 3 |

**სკავოლინი 74:88 ფორტიტუდო**

| | |
|---|---|
| კინდერი | 3 |
| ბენეტონი | 0 |

**კინდერი 98:77 ბენეტონი**

ფინალი (სამ მოგებამდე)

**კინდერი — ფორტიტუდო**

*ფინალი დაიწყება 14 ივნისს*


# იყიდება

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე.
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 78 28 77**



**ავტომოყვარულთა საყურადღებოდ!**

**შაბათს 9 ივნისს 11.00 საათზე რიყის მოედანზე**
**სტარტს აიღებს ავტომოყვარულთა რალის მეორე ეტაპი.**
**მონაწილეობის მიღება შეუძლია**
**ნებისმიერ ავტომოყვარულს.**

მონაწილეების რეგისტრაცია ჩატარდება პარასკევს 8 ივნისს 13.00 საათიდან 18.00 საათამდე საქართველოს საავტომობილო ფედერაციის შენობაში. მის. სანდრო ეულის №1.
დამატებითი რეგისტაცია ჩატარდება შაბათს 10.00 საათზე.
საკონტაქტო ტელეფონები: 536 536, 305 503.




საქართველოს ჩემპიონატი. II ტური



ყოჩი ბაკურ ფირიაშვილი მეტოქემ მარწუხებში მოაქცია

# ქარის წაღებული ქარმა მოიტანა

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა
7 ივნისი

**სტუ-ყოჩები 18:13 უნივერსიტეტი**

**სტუ-ყოჩები:** კობერიძე, კ. მხეიძე, ტრაპაიძე, ბარძიმიშვილი, ნ. მხეიძე, კაჭარავა, გიორხელიძე, ჩიქავა (ზუკაშვილი), გულუხია (კიკუაშვილი), ფირიაშვილი, გ. ხაბეიშვილი, ხურცილავა, ქელიძე, ცხვედიანი, ჯორჯაძე
3 ლ: გიორხელიძე (2), ცხვედიანი; 1 ს: გიორხელიძე
**უნივერსიტეტი:** მაჩხანელი, კ. ელოშვილი, გუნდიშვილი, ო. ელოშვილი, ეფხოშვილი (მაისურაძე), ი. მოდებაძე, ჭყონია (დანელია, კობახიძე); კობიაშვილი (ქარაბაკი), ჯალაღონია, კიკელია, გუჯარაიძე, ცხომელიძე (კუთარაშვილი), ავსაჯანაშვილი, წიკლაური, ქირიკაშვილი
2 ლ: ავსაჯანაშვილი; 1 ა: მოდებაძე
გაფრთხილება: კობიაშვილი (უნივერსიტეტი)
გაძევება: ნ. მხეიძე (ყოჩები), კ. ელოშვილი (უნივერსიტეტი)
მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა
მეთვალყურე: მიხეილ კალანდაძე

„სტუ-ყოჩები“ „აიასთან“ გამართული მატჩის შემდეგ განსხვავებული შემადგენლობით წარსდგა მეტოქის წინაშე. მისმა მთავარმა მწვრთნელმა ამირან თეზელაშვილმა ტაქტიკური გადაადგილებებიც მოახდინა. ტრავმირებულ სანდრო საკანდელიძეს გიორგი ტრაპაიძე შეუნაცვლა, ზურაბ ხოსრუაშვილს კი ახალბედა გიორგი გულუხია ამჯობინა. წინა ტურში შერკინების მესამე ხაზში მოთამაშე გიორგი ხაბეიშვილი მეორეში გაამწესა, მისი პოზიცია კი გიორგი ჯორჯაძეს ჩააბარა.

ექსპერიმენტებს მიმართა „უნივერსიტეტის“ მწვრთნელთა დუეტმაც. გურამ მოდებაძეს და დავით კილასონიას ამ ნაბიჯისკენ ტრავმების ეპიდემიამ უბიძგა. შერკინების მარჯვენა ბურჯი აკაკი სანაძე აგერ უკვე მეორე მატჩია, ვერაფრით ეხმარება თავისიანებს. „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში დაშავდა მარცხენა ბურჯი ანგელი ალიბეგაშვილი, დამტვრეულია გარემარბი დავით მხეიძეც, ბორჯღალოსანი მალხაზ ურჯუკაშვილი კი მხოლოდ გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა თბილისში. მახო ბრიტანეთში შვიდკაცობდა. იგი ტრავმირებულია და ისედაც ვერ შეეშველებოდა „უნივერსიტეტს“. სიურპრიზი იყო შერკინების ფრთის ირაკლი გუნდიშვილის შუამარბად გამწესებაც. თუმც ეს ყველაფერი სიტუაციიდან გამომდინარე მოხდა.

ასე იყო თუ ისე, მატჩიც დაიწყო. აქედანვე უნდა ითქვას, რომ ორი სტუდენტური კლუბის დაპირისპირება დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. თავიდანვე სტუმრებმა შეუტიეს, თუმც სტუმარ-მასპინძელს პირობითად თუ ვიხმართ, ვინაიდან ორივე გუნდი თავის საშინაო მატჩებს ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე ატარებს. „უნივერსიტეტმა“ დიდხანს უტრიალა „ყოჩთა“ ლელოს, აქედან რომ არაფერი გამოვიდა, ირაკლი მოდებაძემ ახლო მანძილიდან არეკნი შეაგდო და თავისი გუნდი დააწინაურა. პასუხი არ დააგვიანეს „ყოჩებმა“. შესანიშნავ ფორმაში მყოფმა ირაკლი გიორხელიძემ არეკნს ლელოთი უპასუხა, მანამდე კი საჯარიმოს ნიშნულიდან ვერ ივარგა. გიორხელიძემ ვერც ლელო გარდასახა. ამის მიზეზი დამრტყმელის უზუსტობა კი არა, ვარკეთილის მეურნეობაში გაბატონებული ქარი გახლდათ.

თავბრუდამხვევი დასაწყისის შემდეგ საკმაოდ ულიმღამო ოცწუთეული ვიხილეთ. თამაშმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა და მწვავე შეტევებმაც იკლო. მეტოქეთა მწვრთნელებმაც შეცვლებს მიმართეს. პასიურ მე-9 ნომერ ჭყონიას კილასონიამ და მოდებაძემ კობა დანელია ამჯობინეს, ამირან თეზელაშვილმა კი ახალგაზრდა კვაჭ გულუხიას ნაცვლად კიკუაშვილი შეიყვანა. სწორედ აქ მოხდა პირველი უსიამოვნო ინციდენტი. მწვრთნელის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გულუხია ამირან თეზელაშვილს შეეკამათა. საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა და მწვრთნელმორაგბეს შორის ხელჩართული ბრძოლაც გაიმართა. მოჩხუბარნი სათადარიგო მორაგბეებმა გააშველეს. თეზელაშვილმა თავისი საქმიანობა განაგრძო, გულუხია კი საერთოდ განერიდა იქაურობას.

მატჩი მოსაწყენი სცენარით გაგრძელდა. მხოლოდ ტაიმის მიწურულს გამოცოცხლდა მცირერიცხოვანი გულშემატკივარი, ირაკლი გიორხელიძემ ამ მატჩში მეორე ლელო მიითვალა. გარდასახვა კი გამოუყენებელი დარჩა. პირველი ორმოცწუთეული იწურებოდა, როდესაც იგივე გიორხელიძე და უნივერსიტეტელი კახა ელოშვილი წაეკიდნენ ერთმანეთს, თუმც მოქიშპენი მალევე დააშოშმინეს თანაგუნდელებმა. აქვე მიხეილ ჩაჩუას სასტვენიც გაისმა და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ.

მეორე ნახევარი დაიწყო თუ არა, „უნივერსიტეტი“ მეტოქის ლელოს მიეძალა. მაგრამ რად გინდა? ხელსაყრელი მომენტი გამოუყენებელი დარჩა. უშედეგო შეტევის დასრულებისთანავე, ნიკა მხეიძემ და კახა ელოშვილმა გააჩაღეს სალაღობო კრივი. ერთი-ორი მოქნეული მუშტის შემდეგ მთავარმა მსაჯმა ორივე მორაგბეს წითელი ბარათი აუფრიალა და მოედნიდან გააძევა. ცოტა ხანში კი უნივერსიტეტელი ლევან კობიაშვილი გააყვითლა. დარჩა სტუმარი ორკაცნაკლული. რამდენიმე წუთში გიორხელიძემ პირად მონაგარს სამი ქულაც მიამატა. კობა ავსაჯანაშვილმა კი ძალისმიერი ლელოთი შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ირაკლი მოდებაძემ ახლო მანძილიდან ვერ ივარგა. ახლა უკვე მასპინძლებმა შეუტიეს. „ყოჩთა“ მიწოლა მოწინააღმდეგემ წესების დარღვევით შეაჩერა. გიორხელიძემ კარში დარტყმა გადაწყვიტა, მაგრამ პირქარმა ბურთის ტრაექტორია შეუცვალა და მოედანზე დააბრუნა. მიწიდან ასხლეტილი ბურთი კი დავით ცხვედიანმა მოიხელთა და აუღელვებლად დადო მეტოქის ლელოში — 18:8. დარჩენილ დროში ბევრს ეცადა „უნივერსიტეტი“, მატჩი გადაერჩინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. შეხვედრის ბოლო წუთზე ავსაჯანაშვილის მიერ გატანილი ლელო კარის გაჯახუნება იყო და მეტი არაფერი.

ბათუმი. ანგისა. 7 ივნისი

**დათვები 24:19 ლოკომოტივი**

**დათვები:** კიკნაძე, სვინტრაძე, ხონელიძე, პინჩუკოვი, დაველაძე (კაპანაძე), მაჩიტიძე, ხელაძე, ნინიძე, აშვეთია, ლლონტი, ბერიძე, გურეშიძე, სვანიძე, უჩავა, ჩირგაძე
6 ს: მაჩიტიძე; 2 ა: მაჩიტიძე
**ლოკომოტივი:** ძნელაძე, გუგავა, ბუგიანიშვილი, ალანია, კოტრიკაძე, კვინიხიძე, აბუსერიძე, ქავთარაძე (ჭელიძე), ხინჩაგაშვილი, მაჭუტაძე, მოგელაძე, ღლონტი (გიორგაძე), სუჯაშვილი, კახიანი, უდესიანი
3 ლ: გუგავა (2), კვინიხიძე; 2 გ: კვინიხიძე
მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი
მეთვალყურე: ზურაბ ხარბილაძე



# საუკუნის მოცურავე ნილოსის ნიანგია

**სპორტის** სხვა ფედერაციებისგან განსხვავებით, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) ყველაზე გვიან გამოავლინა საუკუნის მოცურავე.

მართალია, ცურვის სამყაროში ბევრი იმსახურებს პატივს, იწოდებოდეს საუკუნის მოცურავედ, მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.

საუკეთესოთა შორის საუკეთესოს გამოვლენა მაშინ, როდესაც ცისფერ ბილიკებს უნახავს მარკ სპიცი, მეტ ბიონდი, დონ ფრეზერი, ჯენი ტომპსონი, ჯონი ვაისმიულერი... მართლაც ძალიან ძნელია. ალბათ, ამანაც განაპირობა ფინა-ს დაგვიანებული გადაწყვეტილება. თუმცა, ვაისმიულერმა ნაწილობრივ მაინც გადაწყვიტა საუკუნის მოცურავის ბედი.

ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ საუკუნის მოცურავის წოდება „ნილოსის ნიანგად“ ცნობილ ეგვიპტელ სპორტსმენს, აბდელ ლატიფ აბუ ხიფუს მიანიჭა.

„ნილოსის ნიანგის“ ცურვისადმი ინტერესი ბავშვობიდან გასჩენია. ფილმი „ტარზანი“ რომ უხილავს, ჯონი ვაისმიულერის ოსტატობით მონუსხულს გულში მოცურავეობა ამოუჭრია. მისმა მონდომებამ ნაყოფიც გამოიღო. აბუ ხიფუს მთელი მისი სპორტული კარიერის მანძილზე თან სდევდა წარმატება. ცურვაში პირველი ტურნირი მან 10 წლისამ მოიგო. 1951 წელს ათი ეგვიპტელი მოცურავიდან აბუ ხიფუმ ერთადერთმა შეძლო, სამჯერ გადაეცურა ლა მანშის სრუტე. ამავე დროს, იგი იყო პირველი არაბი მოცურავე, რომელმაც ცურვაში მარათონულ მანძილზე 1962 წელს აშშ-ში გაიმარჯვა. ერთი წლის შემდეგ კი მიჩიგანის საერთაშორისო ტურნირზეც პირველი იყო, თანაც მაშინ წყალში 36 საათზე მეტხანს დაჰყო. სპორტს კი საკმაოდ დიდმა, 45 წლისამ დაანება თავი. ეს მაშინ, როდესაც 30 წლის მოცურავეც უკვე ვეტერანად ითვლება. აღსანიშნავია, რომ „ნილოსის ნიანგმა“ სპორტული კარიერა დაუმარცხებელმა დატოვა. ყოველივე ეს, როგორც იგი აცხადებს, ტიტანური შრომისა და თვითდისციპლინის დამსახურებაა.

**გიგა გურასაშვილი**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### იტალია. სერია A. 33-ე ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 001 | ატლანტა-უდინეზე | 2,0 | 2,8 | 3,6 |
| 18.00 | 002 | ბარი-ინტერი | 7,0 | 4,2 | 1,35 |
| 18.00 | 003 | ბოლონია-ლეჩე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 004 | ლაციო-ფიორენტინა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 005 | მილანი-ბრეშა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 006 | ნაპოლი-რომა | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 18.00 | 007 | პარმა-ვერონა | 1,8 | 3,6 | 2,9 |
| 18.00 | 008 | პერუჯა-რეჯინა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 009 | ვიჩენცა-იუვენტუსი | 3,6 | 3,2 | 1,85 |

### იტალია. სერია B. 38-ე ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ანკონა-ჩიტადელა | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 011 | კოზენცა-რავენა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 012 | ჯენოა-კალიარი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 013 | მონცა-პისტოიეზე | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 014 | პესკარა-სამპდორია | 3,6 | 2,7 | 1,9 |
| 18.00 | 015 | პიაჩენცა-ტრევიზო | 1,35 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 016 | სალერნიტანა-ტორინო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 18.00 | 017 | სიენა-კიევო | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 018 | ტერნანა-კროტონე | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 019 | ვენეცია-ემპოლი | 1,8 | 2,9 | 4,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 37-ე ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 020 | ესპანიოლი-ლას პალმასი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 24.00 | 021 | ბილბაო-სოსიედადი | 2,5 | 3,2 | 2,1 |
| 24.00 | 022 | მალაგა-რასინგი | 1,55 | 3,8 | 4,4 |
| 24.00 | 023 | ვალენსია-დეპორტივო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 24.00 | 024 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 24.00 | 025 | ოვიედო-რეალი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 24.00 | 026 | ალავესი-მალიორკა | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 24.00 | 027 | რაიო ვალეკანო-ნუმანსია | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 24.00 | 028 | სელტა-ვილიარეალი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 24.00 | 029 | ოსასუნა-სარაგოსა | 1,95 | 3,1 | 3,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 41-ე ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 030 | კომპოსტელა-ხაენი | 1,6 | 3,2 | 3,6 |
| 21.00 | 031 | ბეტისი-უელვა | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 032 | ფეროლი-ლევანტე | 1,8 | 2,8 | 4,0 |
| 21.00 | 033 | ბადახოსი-ხეტაფე | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| 21.00 | 034 | ატლეტიკო-სპორტინგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 035 | კორდობა-ალბასეტე | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 21.00 | 036 | უნივერსიდადი-ლეგანესი | 2,5 | 2,6 | 2,5 |
| 21.00 | 037 | ტენერიფე-ლეიდა | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 038 | ესტრემადურა-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 039 | ეიბარი-სალამანკა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 040 | მურსია-ელჩე | 2,0 | 2,9 | 2,7 |

### ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. მე-3 ტური
9 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 041 | ზვოლე-ტელსტარი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | 10 ივნისი | | | |
| 17.30 | 042 | ვოლენდამი-სიტარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-4 ტური
9 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 043 | კამბური-იგლსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.30 | 044 | სპარტა-ექსელსიორი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### პოლონეთი. 29-ე ტური
9 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 045 | ზაგლებე-პლოცკი | 1,7 | 3,6 | 2,4 |
| 20.00 | 046 | ოდრა-ამიცა | 1,6 | 3,4 | 3,4 |
| 20.00 | 047 | რაძიონკოვი-რუხი | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 20.00 | 048 | პოგონი-პოლონია | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| 20.00 | 049 | ვიძევი-კატოვიცე | 1,55 | 3,3 | 4,7 |
| 20.00 | 050 | გროცლინი-შლიონსკი | 2,1 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 051 | ლეგია-ვისლა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 052 | გურნიკი-სტომილი | 1,6 | 3,2 | 4,4 |

### რუსეთი. მე-12 ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 053 | ჩერნომორეცი-ანჟი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 16.00 | 054 | სპარტაკი-ალანია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 16.00 | 055 | როტორი-ტორპედო | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 16.00 | 056 | ზილ-დინამო | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| 16.00 | 057 | სატურნი-ფაკელი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 058 | სოკოლი-ლოკომოტივი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 059 | როსტსელმაში-კრილია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | | 11 ივნისი | | | |
| 16.00 | 060 | ცსკა-ზენიტი | 1,8 | 2,9 | 4,0 |

### დანია. 32-ე ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 061 | ორჰუსი-ოლბორგი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 062 | ჰერფიოლგე-აკადემისკი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 063 | მიდტიულანდი-ჰადერსლევი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 18.00 | 064 | ლიუნგბიუ-ოდენსე | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 18.00 | 065 | კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 066 | ვიბორგი-სილკებორგი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

### შვედეთი. მე-9 ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 067 | სუნდსვალი-ელფსბორგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.00 | 068 | ჰალმსტადი-იორგრიტე | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 20.00 | 069 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | 11 ივნისი | | | |
| 22.00 | 070 | გიოტებორგი-ჰაკენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 071 | ნორჩიოპინგი-იორებრო | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.00 | 072 | ტრელებორგი-მალმიო | 2,5 | 3,2 | 2,4 |

### ნორვეგია. მე-10 ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 073 | ბრანი-ბოდიო გლიმტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 074 | ლილესტრიომი-მოლდე | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 075 | ლინი-რუსენბორგი | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 21.00 | 076 | ოდ გრენლანდი-მოსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 21.00 | 077 | სოგნდალი-ტრომსიო | 2,1 | 3,4 | 2,9 |
| 21.00 | 078 | სტრიომგოდსეტი-ბრინი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 23.05 | 079 | სტაბეკი-ვიკინგი | 2,2 | 3,3 | 2,8 |

### ფინეთი. მე-11 ტური
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 080 | ატლანტისი-იოკერიტი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 081 | ტამპერე-ჰიკ | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 18.00 | 082 | კუოპიო-როვანიემი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 20.00 | 083 | ვაასა-ჰაკა | 3,0 | 3,1 | 2,0 |
| | | 11 ივნისი | | | |
| 20.30 | 084 | ინტერი-მიუპა | 2,4 | 3,1 | 2,6 |

### პორტუგალია. თასის ფინალი (ლისაბონში)
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 085 | პორტუ-მარიტიმუ | 1,45 | 3,6 | 6,5 |

### შვეიცარია. თასის ფინალი (ბაზელში)
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 086 | სერვეტი-ივერდონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

### კონფედერაციათა თასი. ფინალი
10 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 501 | იაპონია-საფრანგეთი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

### კალათბურთი. ფინალი
8 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ლეიკერსი-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | | 10 ივნისი | | | |
| 06.00 | 802 | ფილადელფია-ლეიკერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ჰოკეი. ფინალი
9 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 901 | კოლორადო-ნიუ ჯერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



ევერესტზე არიან: ტაში შერპა (მარცხნიდან პირველი), გია თორთლაძე (დროშით), ანა აპრაქსინა (ზურგით) და კიდევ ორი შერპი

# ისტორიული დღე ევერესტზე

***რვაათასიანებზე ასვლის ერთ-ერთი ყველაზე უტყუარ საბუთად მწვერვალზე გადაღებული ფოტო ან კინო თუ ვიდეოკადრები ითვლება. ევერესტიდან დაბრუნებულმა თბილისელმა მთამსვლელმა გია თორთლაძემ, რომელსაც შინ საინტერესოდ ვეწვიეთ, საუბრამდე სწორედ ასეთი ვიდეოკადრები გვიჩვენა. მას მთელი ასვლის ფრაგმენტები გადაუღია, ლამის საბაზო ბანაკიდან მწვერვალამდე, საიდანაც ნათლად ჩანს იქიდან გადაშლილი ჰიმალაური პანორამა. ამ კადრებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ევერესტზე ამსვლელებს იღბლიანობისთვის მშვენიერი ამინდი დასდგომიათ. მოკრიალებული ცა და უქარო ფერდობები ძალზე იშვიათია ევერესტისთვის. ამანაც განაპირობა იმ დღეს მის კენწეროზე მრავალი მთამსვლელის ასვლა მათ შორის ერთი სარეკორდო ლაშქრობა და ლამის ზედ მწვერვალიდან ფრანგი ცოლ-ქმრის დელტაპლანით გადმოხტომა, მათი ზღაპრული ფრენა, რაც გია თორთლაძეს ასევე ვიდეოფირზე აღუბეჭდავს.***



ევერესტი და ტემბა ტშერი

— თავდაპირველად ბუნება საშინლად შფოთავდა და მრისხანებდა — გვიამბობს გია თორთლაძე — მეგონა მწვერვალზე ვერავინ ავიდოდა. სხვებიც ასე ფიქრობდნენ და ამიტომ ბევრმა ექსპედიციამ ხელი ჩაიქნია და შინისკენ გაემგზავრა, მათ შორის ჩვენი ეკოლოგიური ექსპედიციის თითქმის მთელი შემადგენლობა. იმ ექსპედიციიდან მხოლოდ მე და ერთი შერპი, ტაში შერპალა დავრჩით ევერესტის მისადგომებთან. ბედმა გაგვიღიმა, როგორც იქნა გამოიდარა და მწვერვალზე ორივენი ავედით.

**— გამოდის, რომ თქვენს ექსპედიციას ორივე მიზანი შეუსრულებია, რადგან მისი ორი წევრი მწვერვალზე ახვედით, სხვებს კი, როგორც თავად ამბობთ, მწვერვალის ფერდობებიდან სხვა ექსპედიციის მიერ დატოვებული ათასი „ხარახურა“ თუ „ნაგავი“ ჩამოუტანია.**

— უბრალოდ, ჩვენმა ექსპედიციამ დასახულ მიზანს მაქსიმალურად ვერ მიაღწია. ექსპედიციაში, რომელსაც იაპონელი კენ ნოგუჩი ხელმძღვანელობდა, იყო 37 შერპი, ოთხი იაპონელი, თითო კორეელი, ნეპალელი, მე და ექსპედიციის ექიმი ზურაბ ასტახიშვილი. მაქსიმალური სიმაღლე, საიდანაც მათ ნარჩენები ჩამოიტანეს, 8300 მეტრი იყო.

სხვადასხვა სიმაღლიდან ჩამოტანილი ცარიელი ჟანგბადის ბალონების, კონსერვის ქილების, სხვა რკინეულობის, დაგლეჯილი კარვების თუ თოკების საერთო წონა ტონანახევარი გამოვიდა.

სხვათა შორის, შარშანდელი პირველი ანალოგიური ექსპედიციის წევრებმა, რომელთა შორის მე და ზურაბ ასტახიშვილიც ვიყავით, 2100 კილოგრამი ნაგავი ჩამოიტანა. ამიტომ ახლა ბევრიც აღარაფერი დარჩა ზემოთ. რაც დარჩა, იმის მოძებნა ბოლოს შეუძლებელი გახდა, რადგან ექსპედიციის დასაწყისში მძვინვარე ქარი თოვამ შეცვალა და ის ნარჩენები ჩაიმარხა.

რაც შეეხება ამ ექსპედიციის მეორე მიზანს — მწვერვალზე ასვლას, რაც გეგმით მე, ერთ კორეელსა და ორ-სამ შერპს უნდა განეხორციელებინა, ნაწილობრივ შესრულდა. თუმცა, რაც გაკეთდა, არც ეს იყო ცოტა, რადგან ევერესტზე 100-პროცენტიანი შედეგის მიღწევას ვერც ვიხსენებთ.

**— ევერესტის ფერდობებიდან თქვენზე ურთიერთგამომრიცხავი ცნობები მოდიოდა. ჯერ იყო და, შევიტყვეთ, ეკოლოგიურმა ექსპედიციამ საქმიანობა შეწყვიტაო, რამდენიმე დღის მერე ოჯახს დაუკავშირებიხართ, 22 მაისს ევერესტზე ავედიო. იმავე დღეს თქვენი სახელი ამოვიკითხეთ ჰიმალაის სამხრეთ ფერდობზე, ლჰოცზე მოლაშქრე საერთაშორისო ექსპედიციის შემადგენლობის სიაში...**

— იმ სიაში მართლაც იმთავითვე ვიყავი. ორივე ექსპედიციის ორგანიზატორი „აზია ტრეკინგი“ იყო. მისი დახმარებით ორი ექსპედიციის წევრობა პრობლემებს არ წარმოადგენდა. ვფიქრობდი, თუ ევერესტზე დროზე ავალ, ჯიპით ტიბეტიდან ნეპალში გავვარდები და იმ ექსპედიციას შევუერთდები-მეთქი. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ამირან გულში მღეროდაო...

**— გამოდის, რომ თქვენ გაწევრიანდით მესამე ექსპედიციაშიც, რომელმაც მიზანს 22 მაისს მიაღწია.**

— 22 მაისს მწვერვალზე ერთდროულად სხვადასხვა ექსპედიციის წევრები ავედით. ჩვენ, მე და ტაში შერპას გარდა, ერთმანეთთან არაფერი გვაერთიანებდა გარდა იმისა, რომ მიზანს ერთად მივაღწიეთ.

**— ტაში შერპა მერამდენედ ავიდა ევერესტზე?**

— პირველად. ახალგაზრდაა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ისე უნდოდა ასვლა, რომ გიჟდებოდა. მწვერვალამდე მეხვეწებოდა და არ მასვენებდა, შეუჩერებლად ვიაროთ, თორემ ამინდი რომ გაფუჭდეს და მწვერვალს ვერ მივაღწიოთ, გადავირევიო, მაგრამ ჩიჩინი რად მინდოდა, მეც იმის ჭკუაზე ვიყავი.

მართლაც, სულ ვმოძრაობდით და საკმაოდ სწრაფად მივიწევდით ზემოთ. ბევრს გადავუსწარით კიდეც და მწვერვალს 8 საათსა და 40 წუთზე მივაღწიეთ.

**— ბოლოს, გადამწყვეტ იერიშს რამდენი შემორჩით და მიზანს ვინ მიაღწიეთ?**

— 8300 მეტრზე მდებარე ბოლო საიერიშო ბანაკიდან 24 კაცი გავედით. ზოგი ღამის 10 საათზე გაუდგა გზას, ზოგი 12-ზე, ჩვენ ყველაზე გვიან, 2 საათზე შევუყევით სავალს. იმ სიბნელეში დავინახე, რომ ვიღაც ორმა მთამსვლელმა პირი იბრუნა, მერე მათ გზას კიდევ ორი ბრიტანელი გაჰყვა. მწვერვალზე ოთხი კაცი დაგვხდა და მათ ერთდროულად ამდენივე შევემატეთ. მწვერვალზე ერთბაშად ვიდექით: მე, სამი ფრანგი და ოთხი შერპი. იმ დღეს მიზანს სულ 18 კაცმა მიაღწია. წლეულს ჩვენსავით ჩრდილოეთიდან ევერესტზე პირველი ჯგუფი, ორი ამერიკელი და ოთხი შერპი, უამინდობის გამო მხოლოდ 19 მაისს ავიდა.

**— თქვენთან ერთად ამოსული, ქართველწინაპარყოფილი, გაფრანგებული რუსი ანა აპრაქსინა ვინ იყო?**

— თავად საფრანგეთში დაბადებულა და გაზრდილა, მშობლები კი იქ კრასნოდარიდან გადასახლებულან. რომ გაიგო ქართველი ვიყავი, მითხრა, ჩემი ერთ-ერთი წინაპარიც ქართველი იყო, ამილახვარიო. მეტი თავადაც არ იცოდა.

**— სწორედ იმ დღეს, როცა თქვენ ევერესტზე ახვედით, მწვერვალი დალაშქრა ნეპალელმა ტემბა ტშერიმ, რომელიც ევერესტის დაპყრობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მთამსვლელი აღმოჩნდა. იგი 6 მაისს თექვსმეტისა გახდა. ეს ყოველივე მკითხველს უმალ გაუწყეთ, მაგრამ საინტერესოა, ტემბას ხომ არ გადაყრობართ სადმე, ან მის შესახებ ყური ხომ არ მოგიკრავთ?**

— ყური მომიკრავს კი არა, მწვერვალზე ერთად ავედით. ოთხი-ხუთი თავისი თანამემამულე შერპი მიყვებოდა. ბოლო საიერიშო ბანაკიდან მწვერვალამდე ერთად ვიარეთ. ხან ისინი დაწინაურდებოდნენ ხოლმე, ხან ჩვენ. მშვენივრად იარა, ბოლოს კი დაშვებისას ძალიან დაიღალა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოწინავე საბაზო ბანაკს ჩააღწია და იქიდან ძირითადში უნდა დაშვებულიყო.

**— ტემბა ტშერი შარშანაც ხომ იყო ევერესტზე. მაშინ მას მწვერვალის უმაღლეს წერტილამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი დაკლდა...**

— დიახ, ასე იყო. მაშინ იმ დროს იბრუნა პირი, როცა მიზნის მისაღწევად... 22 მეტრიღა დარჩა. სწორედაც მოიქცა. საქმე ის იყო, რომ მაშინ ძლიერ ყინავდა და ქარიც ბობოქრობად. მწვერვალთან ერთი ხელის გაწვდენაზე მისულს ბატინკებზე ზონარი შეეხსნა. ტემბამ მათ შესაკრავად ხელთათმანები წაიძრო და უმალ თითები მოეყინა. იმდენად ძლიერად მოეყინა, რომ სამი თუ ხუთი თითი მოკვეთეს. ამის მიუხედავად არ შედრკა და წლეულს თავისას მიაღწია. ეტყობა, დიდი შეუპოვარი ვინმეა.

**— რა იცით იმ „შერეკილი“ ცოლ-ქმრისა, ევერესტიდან დელტაპლანით თქვენს თვალწინ რომ გადმოხტნენ და გახდნენ პირველნი, რომლებმაც ეს გაბედეს?**

— ისინი ფრანგები არიან. მათი განზრახვის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დღეს ავედით მწვერვალზე, არავინ არაფერი ვიცოდით. მგონი არც იმ დანარჩენმა სამმა ფრანგმა იცოდა, ვისთან ერთადაც მწვერვალზე ვიდექით. ასე იყო თუ ისე, ცოლ-ქმარმა იმ დღეს ყველას დაგვასწრო მწვერვალზე ასვლა. ჩვენ რომ იქამდე ბოლო ნაბიჯებს ვითვლიდით, ისინი ეშვებოდნენ. მერე, ჩვენც რომ დავიწყეთ დაშვება, ვხედავთ, ის ცოლ-ქმარი მწვერვალიდან ორმოცდაათიოდე მეტრის ქვემოთ გაჩერებულა და თავისთვის რაღაცას ჩირთიფირთობს. ვიფიქრე, ისვენებენ მეთქი. მერე წამოდგნენ და ლამის ერთმანეთზე მიკრულნი უფსკრულისკენ გაიქცნენ. მე და „ჩემს“ შერპს ელდა გვეცა ვიფიქრეთ, ჟანგბადის ნაკლებობისგან გონება დაენისლათ-მეთქი და ყვირილი მოვრთეთ, იმათ კი ყურიც არ გვათხოვეს და კისრისტეხით დაეშვნენ. ლამის მართლაც კისერი მოიტეხეს, რადგან ფეხები აებლანდათ და წაიქცნენ, ქარმა კი დელტაპლანი, პარაპლანი თუ პარამეტრი ოღნავ გაშალა და ისინი ათრია. მერე უფსკრულშიც გადაეშვნენ, ამასობაში პარამეტი ბოლომდე გაიშალა და მეც გონს მოვეგე. ვიდეოკამერა ამოვიღე და მივუშვი. მე ერთადერთი აღმოვჩნდი, ვინც ევერესტიდან ადამიანთა ამგვარი ისტორიული გადაფრენა ვიდეოფირზე აღვბეჭდე. ეს ზღაპრული სანახაობა მანამ გადავიღე, სანამ ისინი თვალს მიეფარებოდნენ. 8 წუთის მერე ისინი მოწინავე საბაზო ბანაკში დაეშვნენ. ჩვენ კი ორი დღის მერე ჩავაღწიეთ. ახლა იმაზე ვწუხვარ, რომ მათი არანაკლებ საინტერესო სტარტი ფირზე ვერ აღვბეჭდე. ამ ფრანგების ვინაობა მერეღა გავიგე. ბერტრან როშე და კლერ ბერნიე როშე ყოფილან.

**— ეს ის ბერტრან როშე ხომ არ არის, 1973 წელს ევერესტზე 17 წლისა რომ ავიდა და ამით ამ მწვერვალის ყველაზე ახალგაზრდა დამლაშქრავი შეიქნა ნეპალელ შერპ შამბუ ტამანგთან ერთად?**

— დიახ, სწორედ ის არის. მათ, და მის ცოლს, ამ მართლაც შერეკილ წყვილს თავისი საქორწინო მოგზაურობაც და თაფლობის თვე თოვლ-ყინულეთში და ცაში გაუტარებიათ. ჩამოსულან ჩვენს კავკასიონზე, ასულან მის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე და იქიდანაც ამგვარად გადმომხტარ-გადმოუფრენიათ.

**— ამბობენ, ევერესტის ორთავე მხარე დაღუპულ მთამსვლელთა გვამებითაა მოფენილიო...**

— მართლაც, აქ ყველაზე მეტი მთამსვლელი დაღუპულა, ზოგი მონაცემებით 160-ზე, ზოგის ვარაუდით 180-ზე მეტი. თითქმის ყველა დაღუპული თავისი აღსასრულის ადგილზე განისვენებს, რაკი მათი ჩამოსვენება არავის უცდია, მაგრამ არც ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მწვერვალზე ამსვლელები გვამებზე გადი-გამოდიან. მე, მაგალითად, ამ მარშრუტზე უკვე ბევრჯერ ვიყავი, მაგრამ ათამდე ცხედარსაც არ გადავყრივარ. ბევრი მთამსვლელი იქ უგზო-უკვლოდაა დაკარგული. ახლა გადავეყარე ერთ ამგვარად მიჩნეული მთამსვლელის ცხედარს, რომელიც შარშან დაიღუპა. მას სრულიად შემთხვევით წავაწყდი. დაახლოებით 8500 მეტრის სიმაღლეზე, დაშვებისას, გვერდზე გავიხედე და ვხედავ, 5-6 მეტრის იქით, ფერდობის თავზე კეპივით გადმოხრილი კლდის ქვეშ მთამსვლელი მხართეძოზე გვერდულად წამოწოლილა და ხელი თავქვეშ ამოუდია. ასვლისას ერთი რუსი მთამსვლელი ჩამოგვრჩა და ვიფიქრე, ის არის-მეთქი. აბა, იქ ჩაძინება როგორ შეიძლება, კაცი შეიძლება ძილში გაიპარო. ჰოდა, დავჭყივლე, ეი, ვანია, პადიომ, პრიეხალი-მეთქი. შერპიც ყვირილით და ხელების ქნევით გამოიქცა, რომ გაეღვიძებინა. ხმა რომ არ გაგვცა, მივუახლოვდით და ელდა მეცა — მკვდარი იყო. გვერდზე სამი თუ ოთხი ჟანგბადის ბალონი ეგდო, ფეხებთან ჟანგბადის სასუნთქი ნიღაბი და რედუქტორი. ეტყობოდა, მშვიდად ძილში შეეგება სიკვდილს. ჩინელი იყო. ეცვა წითელი ქურთუკი, ლურჯი შარვალი და მწვანე „კოფლარის“ ფირმის ბატინკები.

თოვლი მხოლოდ ფეხებზე, მტვერივით ჰქონდა წაყრილი და ცოცხალს ჰგავდა. შარშან ერთი ჩინელი მთამსვლელი იქ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ის ზუსტად ასევე იყო შემოსილი და დავრწმუნდით, რომ ეს სწორედ ის მთამსვლელი იყო.

შარშან ეს უბედური რომ დაიკარგა, მეც იქ ვიყავი. მე რომ არა, მის მეწყვილე შერპ ჰეპკა შერპასაც იგივე ბედი ელოდა. მაშინ საშინელი უამინდობის გამო 8700 მეტრის სიმაღლიდან მოვბრუნდი. დაახლოებით 8600 მეტრზე მარტოდმარტო კლდეებზე მჯდომ ჰეპკას წავაწყდი. მთელი ღამე, მეწყვილე დაკარგულს მარტო უვლიდა. ჟანგბადიც შემოლეოდა. ვკითხე, თუ იცი, სად ვართ-მეთქი, მაგრამ უჟანგბადობისგან გონება ისე დანისვლოდა, რომ ვერ მიპასუხა, არარც ხელთათმანები ეკეთა. თურმე ზურგჩანთაში ჰქონია და ჩავაცვი. მთელი 7 საათი მარტოს მომყავდა. ყოველ 2 მეტრში წყდებოდა და ვიჭერდი. ერთხელ სრულიად მოულოდნელად 4-5 მეტრის სიმაღლის კლდიდან გადმოვარდა და ინსტიქტურად ხელები შევაგებე, ზედ დამეცა და ლამის თან გადამიყოლია. გზად ორი კანადელი წამოგვეწია, მაგრამ არ მოგვეხმარნენ, არ შეგვიძლიაო, შენ კი ყოჩაღ, რომ ეგ უბედური არ მიატოვეო.

მთელი 7 საათი ვეხმარებოდი ჩამოსვლაში. მერე მისი თანამემამულე შერპები შემოგვხვდნენ და მათ ბოლომდე ჩაიყვანეს. ამის გამო შერპებში დიდად პოპულარული გავხდი. წლეულს ყველა შერპი ჩემთან მოდიოდა და მეკითხებოდა, ეს შენ ხარ, ჰეპკა რომ ჩამოიყვანეო. მგონი მე პირველი დასავლეთელი ვარ, ვინც შერპი მთამსვლელი სიკვდილს გადავარჩინე, აქამდე კი მუდამ პირიქით იყო, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას: 6 თვე საავადმყოფოში გაატარა და, როგორც მითხრეს, ახლაც ცუდად არის. თურმე რობოტივით მოძრაობს და რიგიანად არც ახსოვს, რა შეემთხვა. მინდოდა მომენახულებინა, მაგრამ ფული აღარ დამრჩა, ხელცარიელი კი ვერ მივედი.

დაახლოებით 8600 მეტრის სიმაღლეზე ვნახე 1998 წელს დაღუპული ფრენკ დისტეფანოს ცხედარიც. ის იყო პირველი ამერიკელი ქალი, ვინც ევერესტზე უჟანგბადოდ ავიდა.

8300 მეტრის სიმაღლეზე ვნახე ქარიშხალისგან დაგლეჯილ კარავში გახვეული ორი ცხედარიც. შარშან იქვე, 15 მეტრში იყო უკრაინელი კოლია შევჩენკოს გვამიც, მაგრამ წლეულს მისი ცხედარი აღარ დამხვდა. ეტყობა, ქარიშხალმა მოიტაცა...

**ავთანდილ გურასპიშვილი**

ჯირო დ'იტალია

# კარი გააღეთ, პოლიციაა!

## ჯიროს პელოტონს 200 კარაბინერი დაესხა თავს

**ველორბოლაში** დოპინგი არსებობს და ეს უკვე ყველამ იცის...

დოპინგთან მრბოლელები უმთავრესად ეპო-ს იყენებენ და ესეც ყველამ იცის...

ერითროპოიეტინი სისხლში წითელი ბურთულების შემცველობას ზრდის, რაც ჟანგბადის გადატანას და შესაბამისად ორგანიზმის გამძლეობის ამაღლებას უწყობს ხელს და ეს მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია...

ეპო-ს გამოყენება ყველაზე მეტად მთებშია მისწრება, სადაც ყველაზე მეტი ენერგია იხარჯება და ეს სხვებზე უკეთ მრბოლებმა იციან...

გუშინ „ჯიროზე" საკმაოდ რთული ეტაპი იყო, დაბრკოლებებით სავსე და ამის გაგება ყველას შეეძლო, ვინც ტურნირის მარშრუტს ჩახედავდა...

ყველაზე დიდი შანსი, რომ მრბოლები ეპო-ს მიიღებდნენ, გუშინ იყო და ეს იტალიურმა პოლიციამაც ივარაუდა...

ყველაფერი აქედან გამომდინარე, ალარანაირ გაოცებას არ იწვევს კარაბინერების წინასწარ დაგეგმილი და გუშინწინ გვიან ღამით განხორციელებული ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომლის მიზანიც სპორტის თეთრ სიკვდილთან, დოპინგთან ბრძოლა იყო.

200 კარაბინერი მეჩვიდმეტე ეტაპის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ შეესია სან რემოში განთავსებულ პელოტონს და დილის ექვს საათამდე საფუძვლიანადაც გაჩხრიკა, რის შედეგადაც უამრავი საეჭვო ფლაკონის კონფისკაცია მოხდა.



„ჯიროს" დირექტორი კარმინე კასტელანო, ალბათ, ტურნირის მოსალოდნელი ჩაშლით აღშფოთებულ სპონსორებს აწყნარებს

ჩხრეკისას, იტალიური საინფორმაციო სააგენტო „ანსას" თანახმად, სამართალდამცავებმა ტესტოსტერონი, კაფეინი და სხვა აკრძალული ნივთიერებებიც აღმოაჩინეს ეპო-ს გარდა.

„მითხრეს, რომ ოპერაციის ხელმძღვანელმა სხვადასხვა დოპინგის პოვნა დაადასტურა" — განუცხადა „როიტერს" იტალიის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო ჩერუტიმ.

ალნიშნული პრეპარატების გარდა, პოლიციელებს უწარწერო ფლაკონები და სისხლით სავსე ამპულებიც უპოვიათ. მთელი მათი ნადავლი რომისა და ფლორენციის ლაბორატორიებში გაიგზავნა შესამოწმებლად და საბოლოო პასუხებისთვის.

პოლიციამ ისიც ალნიშნა, რომ ზოგიერთი გუნდი აბსოლუტურად უბრალო ყოფილა.

მოწმეები ამბობენ, რომ ერთ-ერთი სასტუმროს ფანჯრიდან ოპერაციის დაწყებისთანავე რაღაცეები გადმოყარეს.

„ინგლისელთა სასტუმროში" 10 კარაბინერი შევარდნილა და გერმანული „ტელეკომი" და იტალიური „მერკატონე უნო" გაუჩხრიკავთ. მარკო პანტანის, რომელმაც „ჯირო" ოფიციალურად მიატოვა გრიპის გამო, პირადი მასაჟისტის ჩანთა კონფისკაციაში მოყოლილა და თავად რობერტო პრენიალოტოც დაუკითხავთ. ყველა გუნდის თითოეული წევრისთვის პოლიციელებს მობილურებიც კი გამოურთავთ და საჭმელის ჭამის უფლებაც არ მიუციათ ჩხრეკვის დამთავრებამდე.

დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა 1998 წლის „ტურ დე ფრანსზეც", მაგრამ მაშინ მხოლოდ რამდენიმე გუნდი შეამოწმეს. იმ ამბავს „ფესტინას" საქმე" მოჰყვა, რომელიც ჯერჯერობით მთელ სპორტულ სამყაროში უდიდეს დოპინგსკანდალად ითვლება.

1998 წელს პროტესტის ნიშნად ესპანურმა გუნდებმა „ტური" მიატოვეს, ერთი ეტაპი კი მრბოლებმა ბრძოლის გარეშე, ნელა გაიარეს და მისი შედეგებიც საერთო ჩათვლაში არ შევიდა.

ამჯერად „ჯირო" არავის მიუტოვებია, მაგრამ დიდი ბჭობის შედეგად მრბოლებმა გუშინდელი ეტაპის გაუქმება გადაწყვიტეს.

თუმცა ტურნირი დღეს მაინც გაგრძელდება და კვირას მილანში დასრულდება კიდეც.

„მრბოლებს ალვუთქვით, რომ შეჯიბრის დამთავრების შემდეგ მრგვალ მაგიდასთან დავსხდებით და ყველა პრობლემის გადაჭრას შევეცდებით. თანაც სპონსორებმაც სთხოვეს „ჯიროს" გაგრძელება. მათაც კეთილი ნება გამოიჩინეს და დაგვყაბულდნენ" — თქვა „ჯიროს" დირექტორმა კარმინე კასტელანომ გუშინ საღამოს გამართულ პრესკონფერენციაზე.

ასე რომ, დღეს მეცხრამეტე ეტაპი მაინც გაიმართება.

კარაბინერთა ოპერაციის შედეგები კი სრულად ახლო მომავალში გამოჩნდება...



პელოტონის წევრები „ჯიროს" გაგრძელება-არგაგრძელებაზე ბჭობენ

**გაგი გურული**

ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი

# ყაჭეიშვილი ჯობავას ჩაენაცვლა

**ევროპის** ჩემპიონატის მე-6 ტურმა ლიდერთა დუეტი კვარტეტად აქცია. მანამდე წინ მავალმა რუსმა კონსტანტინ ასეევმა და უკრაინელმა გეორგი ტიმოშენკომ ერთმანეთში ითამაშეს და ქულა უშფოთველად, 18 სვლაში გაიყვეს, რითაც, მოლოდინისამებრ, მდევარი ჯგუფიდან ზოგიერთებმა ისარგებლეს და მოწინავეთა შორის გაერივნენ. ესენი არიან სომეხი სმბატ ლპუტიანი და ვადიმ მილოვი შვეიცარიიდან. მილოვმა თეთრებით ჰოლანდიელ დენის დე ფროიტს მოუგო, ლპუტიანმა კი შავებით ბულგარელ ალექსანდრ დელჩევს სძლია. უფრო უკან მავალთაგან გუშინწინ, როგორც საერთოდ, მთავარი ყურადღება ზურაბ სტურუასა და იუდით პოლგარის დაფას ერგო, რადგან იქ ჩემპიონატის ერთადერთ მანდილოსანს გაეწყო შავი ფიგურები. ქართველმა და ქალბატონმა ფიგურებით თხლად დაფარულ ველზე ბრძოლა ამჯობინეს, რისთვისაც უკვე მე-8 სვლაზე ლაზიერები მოიშორეს. პოლგარმა პაიკი გაწირა და ინიციატივა მიილო. მისი ეტლი ერთადერთ ღია ვერტიკალზე გაბატონდა, ხოლო სტურუას თეთრუჯრიანი კუ სრულიად განუვითარებელი იდგა საწყისი დისლოკაციის ადგილას. ქართველმა პირველად სწორედ კუს გამოსაყვანად იზრუნა და როცა ეს მოახერხა, პოლგარს მატერიალური წონასწორობა უკვე ალედგინა. მერე უნგრელმა მოიგო პაიკი, მერე მეორე, ხოლო სტურუამ ამასობაში ის მოახერხა, რომ შავების პაიკთა სიმწყობრე გაფანტა და შედეგად 43-ე სვლაზე მეტოქეები დაზავდნენ.

კიდევ წააგო ბადურ ჯობავამ დიდად ხაპატიო მეტოქესთან. რუსმა დიდოსტატმა სერგეი რუბლიოვსკიმ ქართველ იუნიორს კარგა ხანს ვერაფერი მოუხერხა. სანახავად ლამაზ პარტიაში ჯობავა დიდხანს უალრესად აქტიურობდა ლაზიერის ფრთაზე, ენდშპილში იქ ორი გამსვლელი პაიკი შექმნა, მაგრამ ცენტრიდან ტაქტიკური დარტყმა გაეპარა და ეტლის დაკარგვამდე დანებდა. სხვა ქართველებიდან გამოირჩა გიორგი ყაჭეიშვილი, რომელმაც მოიგო და ქულებით სტურუას გაუთანაბრდა. ესენი 4-4 ქულით მეორე ეშელონში მიდიან, ცხრილის სათავიდან ქულა აშორებთ.

ზოგადად, ოპრიდში მძიმე არტილერია ჯერ არ ამოქმედებულა და თუ საერთოდ ამოქმედდება, საკითხავია. წინ დუნედ მიიწევენ ვლადიმირ აკოფიანი, ალექსანდრ ბელიავსკი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და სხვა რეიტინგ-ლისტის თავმდგომარეები, თუმცა ეს შეიძლება ტაქტიკაც იყოს, შვეიცარიულ სისტემაში ბოლო წყვეტს ყველაფერს, იქამდე კი ტურების ნახევარზე მეტი დარჩა.

**დავით გულუა**

ვითარება 6 ტურის შემდეგ

1-4. კონსტანტინ ასეევი (რუსეთი), სმბატ ლპუტიანი (სომხეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), გეორგი ტიმოშენკო (უკრაინა) 5; 5-14. ბორის ავრუხი (ისრაელი), ლუის გალეგო (პორტუგალია), ალექსანდერ გრაფი (გერმანია), ვიორელ იორდანესკუ (რუმინეთი), ბარტოლომეი მაჩეიხა (პოლონეთი), ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი), კონსტანტინ საკაევი (რუსეთი), რაფაელ ვაგანიანი (სომხეთი), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 4,5



# პრივალოსანი



ფრანსუა ბოთა

**IBF-ის** ყოფილმა ჩემპიონმა, ფრანსუა ბოთამ კარიერა მას მერე გადაარჩინა, რაც 5 ივნისს, ლას ვეგასში, 10 რაუნდიან ბრძოლაში დევიდ ბოსტიკი დაამარცხა. გეხსომებათ, გასული წლის ივლისში, ბოთამ ლენოქს ლუისთან როგორ წააგო, მაგრამ ახლა იყოჩალა. არიზონელი ბოსტიკი მე-6 რაუნდში სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა, თუმცა ბოთამ საქმის იქვე მომთავრება ვერ შეძლო. ჯამში კი მაინც ისე გამოვიდა, რომ დაღლილი ბოსტიკი კუთხეში მიიყუჟა, ბოთა კი ბატონივით დააბიჯებდა რინგზე.

ბრძოლაში ნოკდაუნები არ ყოფილა, ქულები კი ასე დაიწერა: 96:93, 96:94, 97:92

იმავე ბრძოლის ანდერქარდში მარიო რამოსმა მსუბუქი წონის ტიტულის ყოფილი პრეტენდენტი დევიდ სემპლი გააგდო — 10 რაუნდიან ჩხუბში სამივე არბიტრის დათვლით გაიმარჯვა.

**ქვემძიმე წონაში WBC-ს, WBA-ს, IBF-ის და IBO-ს ჩემპიონი როი ჯონსი ტიტულს გლენ კელის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცავს, თუმცა მანამდე, 28 ივლისს ლოს ანჯელესში ხულიო გონსალესს უნდა შეხვდეს. რაც შეეხება კელისთან ჩხუბს, იგი 28 ოქტომბრისთვის დაინიშნა.**

**ორიოდ სიტყვა კელიზე: მან 26 მოგებიდან 15 ნოკაუტით იზეიმა, ხოლო ჯონსის ოპონენტად მას მერეა აღიარეს, რაც 24 თებერვალს ბილი ლუისი ნოკაუტით დასცა. ეს ამბავი ტამპაში, ჯონსისა და დერიკ ჰერმონის ჩხუბის ანდერქარდში მოხდა.**

**ამასობაში ჯონსის მრჩეველი, ბრედ ჯეკობსი ამბობს, რომ ყველა ეს ბრძოლა სამომავლოდ ფელიქს „ტიტო" ტრინიდადთან სუპერდაპირისპირების შესამზადებლადაა დაგეგმილი.**

**„მთავარი ახლა ტრინიდადთან ბრძოლისთვის თარიღის შერჩევაა. ჯონსი კი მოსამზადებლად იმდენჯერ იჩხუბებს, რამდენიც საჭირო შეიქნება".**

**როგორც ჩანს, ჯონსს ჩამოთვლილის გარდა კიდევ ბრძოლას უმზადებენ. მისთვის WBO-ს ქვემძიმეწონოსან ჩემპიონ დარიუშ მიხალჩევსკის იგულებენ.**

**ლას ვეგასელი** მძიმეწონოსანი ჩარლზ შაფორდი WBO-ს ჩემპიონის, ვლადიმირ კლიჩკოს მეტოქედ დასახელდა. მათი ბრძოლა 4 აგვისტოს მშობლიური ლას ვეგასის სასტუმრო-კაზინო „მენდალი ბეიში" გაიმართება.

შაფორდის კარიერაში 17 ბრძოლა ყოფილა, რომელთაგან 16 შემთხვევაში გაიმარჯვა (8 ნოკაუტით), ხოლო ერთხელ წააგო. წესით კლიჩკომდე მაიკლ გრანტთან უნდა მოესინჯა ძალა, მაგრამ მათი დაპირისპირებიდან არაფერი გამოვიდა, რადგან მოკრივე აფრიკაში გახლდათ, სადაც მუჰამედ ალიზე ფილმს იღებდნენ და ის ჯორჯ ფორმენის როლს ასრულებდა.

28 წლის შაფორდი არ გახლავთ დიდად სახელმოხვეჭილი, მაშინ როდესაც კლიჩკო 36-1 (33) ძალიან შთამბეჭდავ ფორმაშია და მარტში დერიკ ჯეფერსონს ორ რაუნდში მოუღო ბოლო.

კლიჩკოსა და შაფორდის ბრძოლას ტელეკომპანია HBO გადასცემს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ კლიჩკოსთვის მაინც უფრო სახელოვანი მოწინააღმდეგის გამოჩხრეკვა სცადოს.

**მძიმე** წონაში მსოფლიოს უპირობო ჩემპიონი, ჰასიმ რაჰმანი, ყველა ღონეს ხმარობს, რათა 11 ივნისს ხასამართლოში საქმის გარჩევას თავი აარიდოს. მოგეხსენებათ, დონ კინგმა ჰასიმ რაჰმანს კონტრაქტი გაუფორმა და 4 აგვისტოს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ბრძოლაც დაუნიშნა. თავიდან რაჰმანის მეტოქედ კინგმა დანიელი ნილსენი შეარჩია, მაგრამ, შემდეგ იგი ნიგერიელი დევიდ აიზონით შეცვალა, მაშინ როდესაც ლენოქს ლუისის მძლეველს კონტრაქტის თანახმად უპირველეს ყოვლისა სწორედ ლენოქს ლუისთან უნდა გაემართა რემატჩი.

„ჩვენი არგუმენტები რკინისაა" — ამბობს ლუისის ვექილი ჯად ბერნსტეინი — „ბატონი რაჰმანი თავადაც აღიარებს, რომ ვალდებულია რემატჩი გამართოს. ერთი სიტყვით, სხვა გზა არ არის".

შემდეგ ბერნსტეინი დასძენს: „რაჰმანი მაინც ცდილობს სასამართლოსგან თავის დაძვრენას, მაგრამ, უნდა იცოდეს, რომ ამისთვის ერთადერთი გზა არსებობს, რემატჩზე თანხმობის განცხადება".

და ბოლოს: „აქ საფიქრალიც არაფერია. ათი ათასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ჩვენს სასარგებლოდ განსჯის".

**მსოფლიო** კრივი ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, 79 წლის ჯო მაქსიმს დაემშვიდობა. იგი დიდების დარბაზის წევრი და ქვემსუბუქ წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ და იყო ერთადერთი, ვინც შუგარ რეი რობინსონის დამარცხება შეძლო.

ლეგენდა გასულ შაბათს კლივლენდში გარდაიცვალა. ორი კვირის წინ მან გონება დაკარგა და გონს აღარ მოსულა. ფლორიდიდან კლივლენდში მაშინვე ჩაფრინდნენ მისი ქალიშვილები, რომელთაც განაცხადეს, რომ ბოლომდე მამასთან იქნებოდნენ.

ჯო მაქსიმის ნამდვილი სახელი და გვარი იყო ჯუზეპე ანტონიო ბერარდინელი. იგი 1922 წლის 28 მარტს დაიბადა და სახელი მეტისმეტად მწვავე სტილის ჩხუბით გაითქვა. საკრივო მეტსახელი კი ავტომატური იარაღის გამო შეარქვეს.

**ტუტა სიხარულიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლინტონის პარადოქსი



REUTERS პარიზიდან

სებასტიან გროჟანი ანდრე აგასის ძლევამ გაახარა

მეოთხედფინალი

ვაჟები

**სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) — ანდრე აგასი (3, აშშ) 1:6, 6:1, 6:1, 6:3**

ანდრე აგასი, როგორც ყველა ნამდვილი ჩემპიონი, მარცხს ბუნებით ვერ ეგუება, პარიზში წაგებას კი რატომღაც პირად შეურაცხყოფადაც მიიჩნევს. შარშან მეორე წრეში კაროლ კუჩერასგან ძლეული ხოტორა ლასვეგასელი კორტიდან პირდაპირ მუქმინებიან ლიმუზინში შეხტა და თავი „ორლის“ აეროპორტამდე არ აუწევია, ჟურნალისტებთან გასაუბრებას კი ჯარიმად 10 ათასი დოლარის გადახდა არჩია.

წლეულს ანდრემ მოწყალება გაიღო და მეოთხედფინალური ფიასკოს შემდეგ მასმედიას თვალი გაუსწორა, თუმცა ფილიპ შატრიეს სახელობის ცენტრალურ კორტზე შუადღით დატრიალებულ უცნაურ მოვლენებზე საინტერესო ბევრი არაფერი უთქვამს, მხოლოდ მოკლე წინადადებებს თუ ამოიყეფებდა.

**— რა შეიძლებოდა გაგეკეთებინათ სხვანაირად?**

— მატჩი მომეგო.

**— რაიმე ხომ არ გაწუხებდათ შეხვედრის დროს?**

— კი, სებასტიან გროჟანი.

**— ტაქტიკურად რაიმე შეცდომა ხომ არ დაუშვით?**

— არა, მე კარგად ვითამაშე, მან — ჩემზე უკეთ.

**— ბილ კლინტონის ტრიბუნაზე ყოფნამ ხელი ხომ არ შეგიშალათ?**

— არც კი ვიცოდი, თუ ჩვენ გვიცქერდა.

ანდრეს ბოლო პასუხი საერთოდ ძნელად დასაჯერებელი ჩანს. პარიზში მყოფი აშშ-ის ექსპრეზიდენტის როლან გაროსზე გამოჩენამ მაყურებელთა ომახიანი ღრიანცელი გამოიწვია, თავად კლინტონიც კარგა ხანს ესალმებოდა ხალხს და ამის გამო პირველ და მეორე სეტებს შორის ორწუთიანი შესვენება ლამის ორმაგად გაიწელა. თუ თეთრი სახლის ყოფილი ბინადრის მხარდაჭერის შედეგებს გავითვალისწინებთ, არავის გაუკვირდეს, თუ დემოკრატი აგასი მომდევნო არჩევნებზე ხმას რესპუბლიკელებს მისცემს.

კლინტონის გამოჩენამდე მსოფლიოს მესამე ჩოგანი მასპინძელთა ჯილას აშკარად ჩაგრავდა, კორტის ერთი კიდიდან მეორეში უმოწყალოდ არბენინებდა და პირველი ხელის მოგებას სულ 20 წუთი დაახარჯა. საკმარისი იყო, ექსპრეზიდენტს მის უკან, ბობოლათა ლოჟაში ადგილი დაეკავებინა, რომ ლასვეგასელის საქმე უკან-უკან, თან საოცარი სისწრაფით წასულიყო.

სინამდვილეში ამაში დამნაშავე, რა თქმა უნდა, კლინტონი არ ყოფილა. 23 წლის სებასტიან გროჟანმა კარიერის საუკეთესო სამი სეტი ჩაატარა და მისი მეტოქე ნებისმიერი სხვა ჩოგბურთელი რომ ყოფილიყო და ტრიბუნებზე უცხოპლანეტელთა მთელი ურდოც ჩამომსხდარიყო, ჩია ფრანგის მძლეველი ამ დღეს, ალბათ, არ მოიძებნებოდა.

„მეორე ხელში პირველი გეიმი მოვიგე თუ არა, საოცარი თავდაჯერება ვიგრძენი, მაყურებელთა ქომაგობამაც ძალები შემმატა. ასე მეგონა, ერთ დარტყმასაც კი არ ავაცილებდი. ბურთები ჩემი ჩოგნიდან თითქოს ჩვეულებრივზე სწრაფად მიფრინავდა და თავად ეშვებოდა ხაზებზე“ — გაიხსენა მოგვიანებით ფრანგმა.

თუ გინდა, საჩოგბურთო სტანდარტებით დაბალ, 1,78-მეტრიან გროჟანს აჯობო, მის ტყვიასავით ფორჰენდს ბურთები როგორმე უნდა აარიდო. მეორე ხელიდან მოყოლებული აგასი ყველანაირად ცდილობდა ამის გაკეთებას, ბურთებს გამუდმებით ფრანგისგან მარცხენა კუთხეში გზავნიდა, მაგრამ საქმეს არაფერი შველოდა: გროჟანი, ერთ-ორი მშვიდი, მოჭრილი დარტყმით აღუნებდა მეტოქის სიფხიზლეს, მერე კი ოდნავ გვერდით გადანაცვლებული მარჯვენის მოსაქნევად დროს და ადგილს ითავისუფლებდა და აუღებელ ყუმბარებს გზავნიდა ბადის მეორე მხარეს.

სრული უმწეობის შეგრძნებამ აგასი გონის დაკარგვამდე გაალიზიანა და თავადაც უკანმოუხედავ შეტევაზე გადავიდა, ოღონდ მისი დარტყმები უფრო ხშირად ბადეში ლაფავდა სულს, ან წინ გაჭრილს გროჟანის ზუსტი აბრაგანშემოვლებულები აბრიყვებდა.

მატჩში უმნიშვნელოვანესი მომენტი მეოთხე ხელში, 3:4-ზე დადგა. აგასიმ ორი ბრეიკ-პოინტი დიდი გაჭირვებით კი გადაარჩინა, მაგრამ თანაბარზე ხანგრძლივი და ლამაზი გათამაშება გროჟანის მორიგი ფანტასტიკური აბრაგანით დასრულდა და ამერიკელიც გატყდა. კიდევ კარგი, აღფრთოვანებულმა ფრანგებმა ფრიადი იღრიალეს, თორემ ანდრეს ისტერიკულ ლანძღვა-გინებას მახლობელ ბულონის ტყეში გაიგონებდნენ.

თიხნარზე ოთხსეტიანი ორთაბრძოლისთვის უჩვეულოდ მოკლე, საათ და 50-წუთიან მატჩს გროჟანმა თავისი მეათე ეისით დაუსვა წერტილი.

„მატჩის ბოლოს საოცარი გრძნობა დამეუფლა, დავინახე, ყველა ფეხზე როგორ წამოდგა და აცრემლებას ცოტა დამაკლდა. კორტის დატოვება არ მინდოდა, მსურდა, იქ კიდევ დიდხანს დავრჩენილიყავი და ჩემი სიხარული ყველასთვის გამეზიარებინა — აღნიშნა აგასიზე გაცილებით მჭერმეტყველმა ფრანგმა — არ ვიცი, ანდრეს რა დაემართა, ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ თამაში აღარც სურდა. შეიძლება პირველი ხელის მერე სიტუაციის ასე შეცვლამ გამოიყვანა წყობიდან“.

ნახევარფინალი

ქალები

**კიმ კლაისტერსი (12, ბელგია) — ჟუსტინ ენენი (14, ბელგია) 2:6, 7:5, 6:2.**

თავის მე-18 დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე კიმ კლაისტერსი ისტორიაში პირველი ბელგიელი ჩოგბურთელი გახდა, ვინც დიდი სლემის ტურნირის ფინალში გააღწია (თუ არ ჩავთვლით ვინმე ნელი ადამსონ-ლანდრის, რომელმაც 1948-ში როლან გაროსი მოიგო კიდეც, მაგრამ უკვე მეუღლის სამშობლოს — საფრანგეთის სახელით ასპარეზობდა).

ფაქტობრივად გუშინ ამ პატარა ევროპული ქვეყნის ჩოგბურთის ქომაგები წაუგებელ სიტუაციაში იყვნენ, რადგან კლაისტერსის მეტოქე ჟიუსტინ ენენიც ბელგიელი გახლდათ. თანამემამულეთა ისტორიული მატჩიც სწორედ ამ უკანასკნელს სრული უპირატესობით დაიწყო და მომეტებული ვნებათაღელვა რომ არა, კლაისტერს დღეობა ნაღდად ჩამწარდებოდა.

მთელი სეტნახევრის მანძილზე ქერა, კლასით და ნიჭით მეტოქის აშკარად მჯობნი ენენი მძლავრი ცალხელა ბექჰენდებითა და დროული შემოკლებულებით აბუჩად იგდებდა თანამემამულეს. სასწორზე „მეიჯორის“ ფინალის საგზური რომ არ დებულიყო, 19 წლის ბელგიელი, ალბათ, მატჩს გამარჯვებამდეც იოლად მიიყვანდა, ასე კი ტრიუმფის სიახლოვემ ხელ-ფეხი აუკანკალა და შეცდომა შეცდომაზე დააშვებინა.

ენენმა მეორე ხელში 4:2-ზე მეტოქისთვის მოწოდების ართმევის სამი შანსი გაუშვა ხელიდან და იქიდან მოყოლებული თავდაჯერებაც და ინიციატივაც თანამემამულეს გადაულოცა. ტრიბუნებზე მჯდომი, შესამჩნევად მონერვიულე ბოიფრენდის, ლეიტონ ჰიუიტის გასახარად, კლაისტერსს მეტოქეზე გაცილებით მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

„თავიდან ის აშკარად მჯობდა, მაგრამ მე არ დავნებდი და შედეგიც მოვიმკე. მძიმე სიტუაციებში ჩემი ქომაგებისკენ ვიყურებოდი და ეს ძალიან დამეხმარა — განაცხადა ბედნიერმა კლაისტერსმა — წარმომიდგენია, ახლა ბელგიაში რა ხდება, ყველა გაგიჟებული იქნება“.

**ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:4, 6:3.**

შაბათს კაპრიატისა და კლაისტერსს შორის ფინალი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

***როლან გაროსზე მოასპარეზე ერთადერთმა ჩვენებურმა სალომე დევიძემ, რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად, სამწუხაროდ, იუნიორ გოგონათა წყვილების ტურნირის მეორე წრეში 1:6, 3:6 წააგო პეტრა ჩეტკოვსკასა და რენატა ვორასოვას ჩეხურ დუეტთან.***

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS პარიზიდან

კიმ კლაისტერსი პირველი ბელგიელია, ვინც „მეიჯორის“ ფინალში გავიდა

## ტაი-ბრეიკი

# პრეზიდენტის სტუმრობაო...

**აშშ-ის** ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი როლან გაროსზე თანამემამულე ანდრე აგასის მხარდასაჭერად ძალიან ცუდ დროს მივიდა — მისი გამოჩენა და ხოტორა ლასვეგასელის გაბითურება ერთი იყო.

საფრანგეთში დიდად პოპულარული ექსპრეზიდენტი ფილიპ შატრიეს სახელობის ცენტრალურ კორტზე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა აგასიმ მეოთხედფინალში სებასტიან გროჟანს პირველი ხელი 6:1 მოუგო. ნარინჯისფერ პერანგსა და მუქ პიჯაკში გამოწყობილ კლინტონს ტრიბუნები ხმამაღალი ოვაციებით მიესალმნენ და მის პატივსაცემად ტალღაც კი მოაწყვეს. მოღიმარმა ამერიკელმა VIP ლოჟაში საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის კრისტიან ბიმის გვერდით დაიკავა ადგილი.



ბილ კლინტონის ქომაგობამ ანდრე აგასის ვერ უშველა

„უკვე რამდენიმე წელია, ანდრე აგასის ვიცნობ და ჩემს მეგობრადაც ვთვლი. ის ყოველთვის მიჭერდა მხარს და ძალიან კარგი პიროვნებაა — განუცხადა საფრანგეთის ტელევიზიის წარმომადგენლებს კლინტონმა, როდესაც მეოთხე ხელის დასაწყისში რამდენიმე წუთით დატოვა თავისი ადგილი — მაგრამ აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ანდრეს ახალგაზრდა მეტოქე საოცრად სწრაფია, დიდი ხანია, არ მინახავს, ვინმეს ისე კარგად ეთამაშოს, როგორც მას ბოლო ორ სეტში“.

უცნაურია, მაგრამ კლინტონის ტრიბუნებზე ყოფნის დროს აგასიმ ოციდან სულ სამი გეიმი მოიგო, მისი არყოფნისას კი — რვიდან ექვსი. თავის დროზე ექსპრეზიდენტმა ანდრე და სერენა უილიამსი თეთრ სახლში მიიწვია სტუმრად, შარშან კი ნიუ იორკში აშშ-ს ღია პირველობის ნახევარფინალებს დაესწრო. პარიზში კლინტონი ისრაელ-პალესტინის კრიზისზე სასაუბროდ და საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან შესახვედრად იყო ჩასული.

# საზოგადოების მტერი

**მსოფლიოს** პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი, ბილ კლინტონისგან განსხვავებით, პარიზელ ქომაგებს გულზე დიდად არ ეხატებათ. 20 წლის შვეიცარიელი იმითაც კმაყოფილია, თუ მატჩის დროს გამაყრუებელი სტვენით და ლაყე კვერცხით არ დააჯილდოებენ.

„ვფიქრობ, პარიზელები წლეულს ნაკლებად მტრულად არიან ჩემს მიმართ განწყობილნი. მაგალითად, დღეს, კორტზე რომ გავედი და მერეც, მატჩის დასრულებისას რაღაც ტაშისმაგვარიც კი გაიმეტეს“ — ღიმილით განაცხადა მეოთხედფინალში ფრანჩესკა სკიავონეს დამარცხების შემდეგ ჰინგისმა, რომელიც ფრანგებმა 1999-ის ფინალში შტეფი გრაფთან ბავშვური გამოხტომების გამო აითვალწუნეს.

ჯერჯერობით მარტინასა და როლან გაროსელი ქომაგების ურთიერთობას მთლად შეხმატკბილებულსაც ვერ უწოდებ. გასულ კვირაში შვეიცარიელს მსაჯთან კამათის გამო უსტვინეს, სამშაბათს — გეიმებს შორის შესვენების დროს წულების გამოცვლისთვის (!): „იქნებ ამას მართლაც დიდი დრო მოვანდომე, მაგრამ თასმები მოეშვა და აბა, რა მექნა? უნდათ თუ არ უნდათ, კორტზე ხომ უნდა ვირბინო. ყველაფერი ეს გულთან ახლოს არ მიმაქვს, ისინი სხვებსაც ასევე ეპყრობიან“.

# სპაზმური შეტევა

**ზოგჯერ** სალანძღავი სიტყვებიც დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიო — 20 წლის ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი ორიოდ დღის წინ ამაში ძალიან კარგად დარწმუნდა. ფიცხმა ჩოგბურთელმა წლეულს როლან გაროსზე რატომღაც სიტყვა „სპაზმიანი“ აიჩემა და პირველ წრეში გვერდითი, მერვედფინალში კი მთავარი მსაჯი ასე შეამკო.

ბილწსიტყვაობისთვის ჰიუიტი 1000 დოლარით დააჯარიმეს, თუმცა ოზის უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. ოთხშაბათს ჩოგბურთელს მშობლიური ავსტრალიიდან ნამდვილი „სპაზმიანები“ შეეხმიანნენ.

„სამარცხვინოა, რომ ასე დამამცირებლად მოიხსენიებიან ტვინის დამბლით დაავადებული ავადმყოფები. დიდი ხანია, ვცდილობთ, მათ შესახებ საზოგადოებაში შეურაცხმყოფელი არაფერი ითქვას. ასე რომ, ორმაგად სამწუხაროა, რომ ლეიტონი, არაერთი ავსტრალიელი ბავშვის კერპი, ასეთ ცუდ მაგალითს იძლევა — განუცხადა სპაზმიანთა ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა რობ უაიტმა გაზეთ „ჰერალდ სანს“ — მინდა, ამ შემთხვევით ვისარგებლო და ლეიტონი ჩვენს ცენტრში მოვიწვიო, რათა თავად დარწმუნდეს, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ ასე დაავადებულ ადამიანებს“.

ჰიუიტს საოცრად პოპულარული თანამემამულის, პატრიკ რაფტერისგან განსხვავებით, მწვანე კონტინენტზე არც ისე სწყალობენ, ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაფუჭება ხეირს ნამდვილად არ დააყრის. მეოთხედფინალში ხუან კარლოს ფერეროსთან დამარცხების შემდეგ ჩოგბურთელი ყრუ თავდაცვაზე გადავიდა: „როდესაც კორტზე იბრძვი, ძალიან გაღიზიანებული ხარ, სურვილი გიჩნდება, ბოლმა ვინმეზე გადმოანთხიო, ხშირად ვერც კი ამჩნევ, რას ამბობ. არავის შეურაცხყოფა არ მინდოდა, მრცხვენია ჩემი ნათქვამის და ბოდიშს ვიხდი, თუ ვინმეს ვაწყენინე“.

ერთი ცხადია, სიტყვა „სპაზმიანი“ ჰიუიტის სალანძღავი ლექსიკონიდან სამუდამოდ გაქრება, თუმცა ისიც ფაქტია ჩოგბურთელის ხასიათიდან გამომდინარე, მომავალში მსაჯები უფრო „დახვეწილი“ ტერმინებით შეიმკობიან.

# მოკითხვა ოკეანის გაღმიდან

**ჯენიფერ კაპრიატიმ** თავისი საუკეთესო სურვილები ლეიკემიით დაავადებულ ჩოგბურთელ კორინა მორარიუს მიმართ მეტად ორიგინალურად გამოხატა — სერენა უილიამსთან მეოთხედფინალური მატჩის დაწყებამდე სატელევიზიო კამერების წინ მან საგანგებოდ მომზადებული პლაკატი ასწია, რომელზეც ეწერა: „მალე გამოჯანმრთელდი, კორინა“.

1999 წლის უიმბლდონის ჩემპიონს წყვილებში, 23 წლის მორარიუს, ლეიკემია ორი კვირის წინ დაუდგინეს და ამჟამად მაიამის ერთ-ერთ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. „ეს მე მოვიფიქრე, მაგრამ სხვა მოთამაშეებმაც მომიწონეს. მინდოდა, კორინასთვის რაღაც განსაკუთრებული გამეკეთებინა. იმედია, ის გვიცქერდა“ — აღნიშნა კაპრიატიმ, რომელსაც ცხოვრებისეული კრიზისების შესახებ სხვებისგან არ ესწავლება.



ბადრი კეთილაძის ფოტოები

# ტაიგერის მესამე

ტაიგერ ვუდსს ზედიზედ მესამედ მოუგია მაირფილდ ვილიჯის გოლფ კლუბის შეჯიბრი. მაირფილდი ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსის ახლო ძევს, შეჯიბრის ტროფეი კი, რომელსაც ლეგენდარული ჯეკ ნიკლაუსი გადასცემს ვუდსს, მართლაც მოხდენილია.



REUTERS კოლუმბუსიდან

# სასახლის სურათები



თბილისის სპორტის სასახლეში ქართველთა და ბელარუსთა საკალათბურთო ჭიდილის ერთ-ერთი მთავარი გმირი სტუმართა დევკაცი ალექსანდრ კული იყო, რომელმაც სწორედ თამაშის გარდამტეხ წუთებში დატოვა მოედანი ხუთი პერსონალურით. „გალათასარაის“ მოთამაშე კული, შეხვედრის თურქ მსაჯს, თოლგა შაჰინს საერთაშორისო სიმწრის სიცილით, თურქულ ენაზე ანამუსებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ტრიბუნაზე კი ქართველი გოგონები ხარობდნენ. სხვები ვერა, მაგრამ მარცხნიდან პირველი კი ამოვიცანით, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი მაია კუპრაშვილი. სამწუხაროა, საქართველოს ქალთა ნაკრები აღარ არსებობს.

# დიდი განქორწინება

აი, მთავარი სპორტული განქორწინება: სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მძლეოსნობის დედოფალი მარიონ ჯონსი თავის მძიმეწონოსან ქმარს, ბირთვის კვრის ჩემპიონ სიჯეი ბრაუნს ეყრება. ჩვენაო, უთქვამს მარიონს, ცხოვრების სხვადასხვა გზას მივუყვებით და განშორებაც ამიტომ გადავწყვიტეთო. ეს ფოტო კი სიდნეიშია გადაღებული, სადაც მარიონმა იმარჯვა, სიჯეი კი დოპინგზე ჩავარდნის შიშით თუ განერიდა შეჯიბრს.



# ვილნევი აგვარებს

ამ ივნისს მონრეალის ჟილ ვილნევის სახელობის საფორმულო გზაზე კანადის დიდი პრიზი გათამაშდება. მანამდე კი ჟილ ვილნევის ვაჟი, ფორმულას ვარსკვლავი ჟაკ ვილნევი ერთ პატარა საქმეს აგვარებს — ღამის კლუბი გაუხსნია მონრეალში და მის კართან ავტოგრაფებს არიგებს.



REUTERS მონრეალიდან

# ახალი მერი და ძველი ვარსკვლავი



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლოს ანჯელესს ახალი მერი ჰყავს, ჯეიმს ჰანი. ჰანს საარჩევნო რბოლაში დაუმარცხებია ანტონიო ვილარაიგოსა, ვისთვისაც საქმე იმას წაუხდენია, რომ ხუთი წლის წინათ პრეზიდენტ ბილ კლინტონისთვის წერილი მიუწერია, მავანი გასამართლებული ნარკომოვაჭრე ციხიდან გამოაშვებინეო. გამარჯვებულს კი, მთელი კამპანიის მანძილზე გვერდით ჰყავდა კალათბურთის დიდი ვარსკვლავი მეჯიქ ჯონსონი, ვისი სახელიც ლოსანჯელესელთათვის ლამის საფიცარია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge